ხეხსურეთის ჰიდროგრაფია წარმოადგენს შემდეგ სურათს: პირაქეთ ხეხსურეთის მთავარი წყლის ძარღვი არის ხეხსურეთის არაგვი, რომელიც იწყება არხოთის მთაში და ფშავეთის არაგვის შეერთებამდე იღებს მთელ რიგ შენაერთებს, რომელთა შორის უმთავრესი არიან მდინარეები: ხანმატის, ორხევის, ლიქოქის, დათვისის და აკუმოს წყლები. პირიქეთ ხეხსურეთში აღვნიშნავთ სამ საკმარისად დიდ მდინარეს: არდოთი, არგუნი, არხოთი. უკანასკნელს ადგილობრივი მცხოვრებნი უწოდებენ არხოთის არაგვს.

მდინარე არგუნის სათავე იწყება დათვის ჯვარის მთაში, ამაზედ გადადის გზა. უკეთ რომ ვსთქვათ ის ბილიკი, რომელიც აერთებს სოფ. ბარისახოს შატილთან. მდინარე არდოტი დასაწყისში შესდგება ორი პატარა მდინარისაგან, რომლებიც გამოდიან ანდაკის და არჯილოს მთებიდან. მდინარე არხოტი იწყება მთელი რიგი მუინვარებიდან გამომდინარე მთის ნაკადულებისგან.

მცენარეულობის განრიგების მხრივ ხეხსურეთი იყოფა სამ ზონათ: ტყის, სუბ-ალპური და ალპური ზონები. ტყის განაწილება თანამედროვე ხეხსურეთ-



ში ერთგვარი არ არის: პირაქეთ ხევსურეთი შედარებით კიდევ ტყეებით მდიდარია, მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი მოსახლეობა არ ნოვაჯდა მათ. უღრან ტყეში ალაგ-ალაგ ხედავთ დიდ მანძილზე ახოს (ვაჩხილ ტყეებს), აქვე ხევსური აწყობს თავის მეურნეობას: აშენებს სახლს, ბოსიელს, და სთესავს ყანებს, თივის დასამზადებლად-კი მიდის მაღლა მთებში — სუბ-ალპურ ზონაში. ხევსურებმა ტყეში დასახლება დაიწყეს თითო-ორი კომლით, მის შემდეგ, რაც ცხოვრებისათვის შეიქმნა უშიშარი პირობები, როგორც ცნობილია, ძველათ კი ხევსურები სახლდებოდნენ ძალიან მჭიდროდ.

პირიქეთ ხევსურეთში ტყეები ძალიან გაჩეხილია: ოდესღაც უღრან, ასწლოვან ტყეებიდან დარჩა უმნიშვნელო ნაწილი.

ჩემი აზრით ამის მთავარი მიზეზია ის, რომ პირიქეთ ხევსურეთში, როგორც ძნელათ მისადგომ ადგილას, თავს იფარავდა შედარებით დიდი მოსახლეობა, რომელიც ინტენსიურად და დაუზოგავად სარგებლობდა ტყით. განსაკუთრებით დაზიანებულია წიწვიანი ტყეები — მთავარი საშენი მასალა.

შორეულ წარსულში ხშირად აქაური მოსახლეობა მსხვერპლი ხდებოდა თავის მტრულად განწყობილ მეზობლებისა; ესენი ცეცხლით და მახვილით დაუზოგველად ანადგურებდნენ მათ კარ-მიდამოს, აღდგენა-კი განადგურებულ სახლკარისა ხდებოდა ამ ტყეების ხარჯზე; ამავე დროს მკაცრი და ხანგრძლივი ზამთარი დიდ ხარკს ადებდა ადგილობრივ ტყეებს. ამ სამწუხარო მოვლენის ილუსტრაციას იძლევა სოფელი არდოტი, რომელსაც მედიდურ ტყეებიდან შერჩენია მხოლოდ რამდენიმე ფიჭვის ხე. ესენი თავისი ფესვებით მჭიდროდ ჩასჭიდებიან სალ კლდეებს და ამით თითქოს იმეორებენ დიდი მგოსნის სიტყვებს:

„არ გავცვლი სალსა კლდეებსა უკვდავებისა ხეზედა,

არ გავცვლი ჩემსა სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა“.

სუბ-ალპური ზონის მცენარეულობა კიდევ მდიდარია, მიუხედავად იმისა, რომ აქ ყოველ-წლიურად ხევსურები აძოვებენ თავის სახელგანთქმულ მსხვილფეხა საქონელს.

განსაკუთრებით მცენარეულობით მრავალფეროვანია სათიბებისათვის გამოყოფილი ნაკვეთები. საძოვრებზე-კი ადგილი აქვს სარეველა ბალახების გაბატონებას.

ალპური ზონა დაფარულია თავისებური და მასთან დამახასიათებელი მცენარეულობით, რომელიც იძლევა საუკეთესო და ნოყიერ საკვებს ადგილობრივი საქონლისათვის.

## ფ რ ი ნ ვ ე ლ ე ბ ი

### I. ყორანი

*Corvus corax corax L.*

ჩემი დაკვირვებით ყორანი მიეკუთვნება ხევსურეთის შედარებით იშვიათ ფრინველებს. ის რამდენჯერმე შემხვედრია, როგორც ტყის ზედანაწილში, ისე





საქართველოს  
მეცნიერებათა  
აკადემია

სუბალპურ და ალპურ ზონათა რაიონში. ივლისის მეორე ნახევარში ეკონომიკური მნიშვნელობის მთელი ოჯახი, შემდგარი ორი მოზრდილი და ოთხი ახალგაზრდა ეკზემპლიარისაგან. ეს უკანასკნელი სიდიდით ძალზე განსხვავდებოდნენ თავიანთი მშობლებისაგან. საკმაოდ ვრცელ საძოვრებზე მოსიარულე მრავალრიცხოვანი ცხვრის ფარა, უეჭველია, საზრდოს აწვდის ყორანს გაზაფხულსა და ზაფხულში; ზამთრობით კი საკვების მოპოების მიზნით, ყორანი დღისით მიეშურება პირაქეთ ხევსურეთის მოსაზღვრე ფშავეთის არაგვის ქალებისაკენ და საღამოობით ბრუნდება ტყის იმ ნაწილში, რომელიც წელიწადის ამ დროსათვის თითქმის დაცულია ადამიანისაგან.

2. რუხი ყვავი

*Corvus corone scharpii* Oates

ყორანისაგან განსხვავებით რუხი ყვავი მეტ წილად გვხვდება ტყის ზონის ქვედა ზოლში, რომელიც ესაზღვრება ფშავეთს. „მეტწილად“ ვამბობ სიფრთხილისა გამო, ვინაიდან შესაძლებელია, რომ რუხი ყვავი ესტუმროს ალპურ ზონასაც. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ამიერ-კავკასიაში ტყის ზედა ზონა, ისევე როგორც ალპური ზონაც, არ წარმოადგენს ამ ფრინველის ჩვეულებრივ საბინადრო ადგილს.

3. მთის ჭილყვავი

*Pyrrhocorax pyrrhocorax docilis* Gm.

არ შეიძლება დავეთანხმოთ მ. ნ. ბოგდანოვს იმის შესახებ, რომ თითქოს მთის ჭილყვავი ჩვეულებრივი ფრინველია ყველგან კავკასიის მხარეში. ჩემი დაკვირვებით უეჭველია, რომ ის უფრო ხშირად გვხვდება კავკასიის ალპურ ზონაში, ვინემ ალპური ქვა.

როგორც ეს ცნობილია, ბუნების ყოველ მკვლევარისათვის ფაუნის გამოკვლევის დროს აქვს ადგილი ისეთ შემთხვევებს, რომელიც საგონებელში აგდებს მკვლევარს, მაგალითად, ესა თუ ის ცხოველი, რომელიც ბუნებრივი პირობების მიხედვით უნდა არსებობდეს ამა თუ იმ რაიონში, სინამდვილეში აქ არ მოიპოვება. ასეთ შემთხვევას აღნიშნავს კავკასიისათვის პ. ს. სერებროვსკი, რომელმაც ლავოდების მეზობლად მდებარე ყოფილ ზაქათალის ოლქის საძოვრებში, მიუხედავად ზედმიწევნითი ძიებისა, ეს ფრინველი ვერ იპოვა.

მე მოის ჭილყვავი პირაქეთ ხევსურეთში შემხვდა საკმარისად დიდი რაოდენობით მთა საჩალის ფერდობებზე, დაახლოებით 3.000 მეტრის სიმაღლეზე. აქ ამ ფრინველის მრავალრიცხოვანი გუნდები რამდენიმე ასეული ეკზემპლიარის რაოდენობით ეტანებოდნენ მაღალ, მიუვალ ციცაბო კლდეებს. ხოლო დროს უქონლობის გამო, მე ვერ მოვახერხე მეტი ხნით შეგჩერებულიყავი მათზე სანადიროდ. მოპოებული ეკზემპლიარის ზედმიწევნითმა შედარებამ დასავლეთ ამიერ-კავკასიის ეკზემპლიარებთან არ მოგვცა საშვალეობა დაგვედგინა მათ შორის რაიმე განსხვავება. თუშეთში, ზემო სვანეთში და ჯავახეთში ის იშვიათად შემხვედრია.

## 4. ალპური ჭკა

*Pyrrhocorax graeculus* L.

საკვლევ რაიონში ალპური ჭკა ნაპოვნი იყო საკმარისად დიდი რაოდენობით, მხოლოდ პირიქეთ ხევსურეთში სოფელ არდოტის საძოვრებზე. მე მინდა აქ მოვიყვანო ამ ფრინველის ყოფა-ცხოვრებიდან რამდენიმე საინტერესო მოვლენა, რომელიც, როგორც მე ვიცი, არ არის ცნობილი ლიტერატურაში. ბუნების მოყვარულ და კულტურულ მონადირის ვ. მლოკოსიევიჩის სიტყვით, ეს ფრინველი საკმარისად ბლომად მოიპოება ლაგოდეხის ნაკრძალის ალპურ ზონაში. აქ ჯიხვებზე ნადირობის დროს მას რამოდენიმეჯერ განუცდია მთის ჭკების თავდასხმა, როდესაც მოუხდა გავლა ამ ფრინველის კოლონიალური საბინადრო ადგილების მახლობლად. არა ნაკლებად საინტერესოა ის ცნობა, რომელიც მთის ჭკას შესახებ მომაწოდეს სოფელ შატილის მცხოვრებლებმა: მათი სიტყვით ეს ფრინველი საკმარისად აზიანებს ნათესებს, ხოლო ზამთარში თავს ესხმის ქერის ძნებს. ამ ცნობის დასტური მივიღე სოფელ არდოტის მცხოვრებლებისაგანაც.

## 5. კავკასიის ჩხიკვი

*Garrulus glandarius krynicki* Kalen.

საკვლევ რაიონში საკმაოდ ხშირად გვხვდება ჩხიკვი. უფრო ხშირად ის მოიპოება ტყის ქვედა და შუა ზონაში, თუმცა ერთეული ეგზემპლარები გვხვდება გაცილებით უფრო მაღლა, ტყის ზედა საზღვრამდე. ჩვენს მიერ მოპოებული ეგზემპლარები სხვადასხვა ასაკისანი იყვნენ. ახალგაზრდებს ჭკონდათ არა სავსებითი განვითარებული ნაკრტენები. ზოგ ასაკში შესულ ეგზემპლარებს ჭკონდათ ვაცვეთილი სამოსელი. მოზრდილი ეგზემპლარები, ტიპურ ფორმასთან შედარებისას, რამდენიმედ უფრო მურა ფერის არიან და ნაწილობრივ ემზგავსებიან ირანში მობინადრე ჩხიკვებს. როგორც შემჩნეულია ჩემს მიერ, აღმოსავლეთ საქართველოს ჩხიკვები, ტიპურ *Garrul. glandar. krynicki*—სთან შედარებისას, მეტად ვარიირებენ შეფერვლობაში, ვინემ დასავლეთ საქართველოს ჩხიკვები.

## 6. კავკასიის მოლალური

*Oriolus oriolus caucasicus* Sarud.

თუმცა პირაქეთ ხევსურეთში მოლალური მე არ შემხვედრია, მაგრამ ამას შეიძლება შემთხვევითი ხასიათი ჭკონდეს, რადგან, როგორც ეკოლოგიური პირობები, ისე სიმაღლე პირაქეთი ხევსურეთის ქვედა რაიონებისა, არ წარმოადგენს დაბრკოლებას მისი აქ გავრცელებისათვის.

## 7. კავკასიის კულუმბური

*Coccothraustes coccothraustes nigricans* But.

პირაქეთ ხევსურეთში მხოლოდ ორჯერ შემხვდა კულუმბური აგვისტოს მეორე ნახევარში ტყის შუა ზონაში 1400 მეტრის სიმაღლეზე. რომ ეს ფრინ-



ველი შედარებით იშვიათად ბუდობს აღმოსავლეთ საქართველოში, ეს გარდა პირაქეთ ხევსურეთისა, ჩემ მიერ შემჩნეულია სხვა ადგილების მიმართაც. დასავლეთ საქართველოში ის შედარებით მრავალრიცხოვანია, მაგრამ უნდა მაინც აღინიშნოს, რომ კულუმბური იშვიათად ხვდება ადამიანს ზაფხულის პერიოდში, რაც აიხსნება მისი ზედმეტი სიფრთხილით; შეამჩნევს თუ არა ადამიანს, სწრაფად გაფრინდება, ანდა ერთობ მოხერხებულად მიიმალება ფოთლებს შორის.

### 8. მწვანულა

#### *Chloris chloris menzbieri* Moltsh.

მწვანულა იშვიათი ფრინველია პირაქეთ ხევსურეთისა. გვხვდება განსაკუთრებით ტყის ქვედა ზონაში—კულტურულ ზონაში. თავისი ვერტიკალური გავრცელების მხრივ, ეს ფრინველი აღწევს ტყის ზედა ზონამდე, მაგრამ მხოლოდ ერთეული ეკზემპლარები. ჯერ კიდევ ივლისის დამლევს მე შესაძლებლობა მქონდა მომესმინა ამ ფრინველის საკმაოდ სასიამოვნო ვალობა.

მოპოვებული ეკზემპლარები ნისკარტის სიდიდის მხრივ და სხეულის ქვედა ნაწილის ყვითელ ფერის ინტენსივობით თითქმის არ განსხვავდებიან *Chloris chloris menzbieri* ტიპურ ფორმისაგან.

### 9. კაჰკასიის ჩიტ-ბატონა

#### *Carduelis carduelis brevirostris* Sar.

ჩიტ-ბატონა პირაქეთ ხევსურეთში საკმარისად ჩვეულებრივი ფრინველია, მაგრამ მისი განრიგება ზონების მიხედვით ერთობ არა თანაზომიერია. თუ რომ ტყის ქვედა ზოლში, ნათესების რაიონში, ის საკმაოდ ხშირია, რასაც ხელს უწყობს სხვადასხვა სარეველა ბალახების (ბირკავა, თავცეცხლა და სხვ.) სიუხვე, საბაგიეროთ ტყის შუა ზოლში მისი რაოდენობა ძალზე მცირდება; განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი არსებობა გამოსაკვლევ რაიონის სუბ-ალპურ ზონაში. აქეთ-კენ იზიდავს მას შაბნარი და სხვა სარეველა ბალახები, რომელნიც აქ გაჩნდნენ საქონლის ძოვების შედეგად. მოზრდილი მამლები შეფერილობის მხრივ თითქმის არაფრით არ განსხვავდებიან ნომინალური რასისაგან, მხოლოდ რამდენიმედ უფრო მოდიდო არიან ტიპურ *C. c. brevirostris*-თან შედარებით.

### 10. ჰიჰჰასი

#### *Chrysomitris pinus* L.

ჰიჰჰავი მიეკუთვნება ხევსურეთის საკმაოდ იშვიათ ფრინველებს. მე მხოლოდ სამჯერ მომიხდა მათზე დაკვირვების წარმოება ივლისში და აგვისტოში პირიქეთ ხევსურეთში, მაგრამ სამწუხაროდ ვერ მოხერხდა მისი მოპოვება. 20/VII ნახული მამალი უბრალოდ, მაგრამ სასიამოვნოდ ვალობდა. თანახმად ჩემი დაკვირვებისა, შეიძლება ვსთქვათ, რომ საქართველოს სხვა მაღალმთიან რაიონებში ჰიჰჰავი ბუდობს უფრო მეტად ტყის შუა, იშვიათად კი ზედა ზონაშიც და არასოდეს არ შემხვედრია როგორც მობუდარი მინდორ-ველებში და ბაღებ-



ში. ზამთრის სიცივების დადგომისა და თოვლის მოსვლის დროს ეწევა მომთაბარეობას და ამ დროს ის შემოდგომის მიწურულსა და ხშირად გვხვდება მინდორ-ველებზედაც.

### 11. თურქმანის ჰვინტა

*Acanthis cannabina bella Brehm.*

ჰვინტა შემხვედრია ხევსურეთის სხვადასხვა ადგილას, უფრო ხშირად ტყის ნაპირას, ნათესების მოსაზღვრე ადგილებში, სადაც ტყე ძალზე დაზიანდა გაჩეხისაგან და ამის გამო მედიდური ტყეებიდან განთავისუფლებული უბნები დაიფარა ბუჩქნარით; ამრიგათ შეიქმნა ჰვინტასათვის საყვარელი საცხოვრებელი ადგილი. მე შევხვდი მის რამოდენიმე ნაჩეკს მაღალ მთიან ადგილებში, როგორც ტყის საზღვარზე ისე ალპურ ზონაშიაც. მოპოებულ დედლებსა და მამლებს ნაკრტენები რამოდენიმედ გაცვეთილი ჰქონდათ, რაც მამლებში უფრო მკვეთრათ იყო გამოხატული; წვრილი ნაკრტენი ზოგან უკვე იწყებდა მოცვლას.

### 12. თავწილა


*Serinus pusillus Pall.*

თავწილა წარმოადგენს კავკასიის ალპურ ზონის უმშვენიერეს ფრინველს. უტყველია, რომ ალპური და სუბ-ალპური საძოვრების ზონა წარმოადგენს მის საყვარელ საბინადრო ადგილს. მაგრამ იქ, სადაც ადამიანი თავის მუდმივ ბრძოლაში არსებობისათვის, შეიჭრა მაღლა მთებში და დამკვიდრდა ტყის ზედა საზღვართან, დაიპყრო რა მიწის ახალი ნაკვეთები სათესად, ეს ფრინველი უკვე გვხვდება ადამიანის საცხოვრებელი ადგილის მახლობლად და ნდობითაც ეპყრობა ადამიანს. მე შესაძლებლობა მქონდა რამდენიმე ნაბიჯის მანძილზე მივახლოვებოდი მას. ცხოვრობს გუნდ-გუნდათ, ერთობ მოძრავი ფრინველია და თავისი საქციელით მოგვაგონებს ჩიტ-ბატონას და ნიბლიას. მამლები ერთობ სასიამოვნოდ და მელოდიურად ვალობენ. ხევსურეთში მე ის შემხვედრია სუბ-ალპურ და ალპურ ზონებში და, როგორც ტყეების ზედა ზონის ახლო, ისე იქ, სადაც მოიპოვებია ტყის გაჩეხით შექმნილი მინდვრები ალპურ ზონაში. რამდენიმე გუნდი შემჩნეული იყო შაბნარებში. ზამთარში, განსაკუთრებით მკაცრს ზამთარში, ეს ფრინველი საგრძნობი რაოდენობით გვხვდება თბილისის მიდამოებში და, იმის გამო, რომ ადამიანს არ უფრთხის, ადვილი დასაჭერია.

### 13. კავკასიის სტვენია

*Pyrhula pyrrhula rossikowi Der. et Bianchi.*

კავკასიის სტვენია კავკასიის პირობებში მთის ფრინველია. უყვარს მაღალ ლეროვანი ტყეები, განსაკუთრებით ისეთები, რომლებშიაც მოიპოვება სქელი ქოჩი ტყეები და ბუჩქნარები: ყოლა, კოწახური, კუნელი, ზღმარტილი და სხვ. ასეთ ადგილებში ხშირად ისმის ამ ფრინველის თავისებური მელოდიური სტვენა. დაინახავს თუ არა ადამიანს, ის ხმას უმდაბლებს, რის გამოც



იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ის შორ მანძილზეა, რასაც შეცდომაში შეყვანს გამოუცდელი მკვლევარი. სტენია გაზაფხულსა და ზაფხულში საკმაოდ ფრთხილი ფრინველია, იშვიათად თუ ეჩვენება ადამიანს, და დანახვის უმაღლესი უჩინარი ხდება გარემოსთან გასაოცარი შეგუების გამო; მაგრამ მკაცრს ზამთარში, როცა იძულებულია დასტოვოს მშობლიური მთები და გადაინაცვლოს საკვების საძებნელად მინდორ-ველებსაკენ, ამ შემთხვევაში მისი ყოფაქცევა იმდენად იცვლება, რომ აღმაინასაც კი არ ერიდება. კავკასიაში მისი ბუდობის დროს შესახებ ზუსტი ცნობები არ მოიპოვება. ზემო სვანეთში, იპარის რაიონში, 27. VII მე შემხვდა სუსტად მფრინავი ბარტყი. თუ რომ ის არ იყო ნაყოფი იძულებული, განმეორებითი ბუდობისა, მაშინ დაახლოებით გამოანგარიშებით კვერცხის დება იწყება ივნისის დამლეგს. მაგრამ ვფიქრობ სინამდვილესთან უფრო ახლოა ის, რომ კავკასიაში სტენიას გამრავლება უფრო ადრე იწყება. პირაქეთ ხევსურეთში მე ეს ფრინველი მხვდებოდა ტყის და სუბ-ალპურ ზონებში, მაგრამ ტყის ზონაში მეტი რაოდენობით. შემჩნეული იყო, რომ ეს ფრინველი მაღიანად შეექცევა ჯერ კიდევ მოუმწიფებელ წიწიბოს (წიფლის ნაყოფი).

#### 14. კავკასიის ჩვეულებრივი ჰვინტაკა

*Erythrina erythrina kubanensis* Laubm.

ჰვინტაკას მე ვხვდებოდი უმთავრესად ნათესების მახლობლად და მეტი რაოდენობით პირიქეთ, ვიდრე პირაქეთ ხევსურეთში. რამდენიმეჯერ ვიპოვე ეს ფრინველი სუბალპურ ზონაშიც. საქართველოს დაბლობებში ჰვინტაკა ზაფხულში არ შემხვედრია. თუშეთში და სვანეთში ის მინახავს განსაკუთრებით ტყის ზონაში; მრავალრიცხოვანია იმ ადგილებში, სადაც ტყეებთა შორის მოიპოვება ნათესები, რომელთა გულმოდგინე სტუმარია. ბუდეს ხშირ ბუჩქნარში იკეთებს. 20. VII მე ვიპოვე, მიწიდან ორი მეტრის სიმაღლეზე, მისი ბუდე 5 კვერცხით.

#### 15. კავკასიის სკვინჩა, ნიგლია

*Fringilla coelebs solomkoi* Menzb.

კავკასიის ორნიტოფაუნის ტყის მკვიდრთაგან არც ერთი ფრინველი ისე გავრცელებული და მრავალრიცხოვანი არ არის, როგორც სკვინჩა. დასავლეთ საქართველოში, ძველი კოლხიდის უღრან ტყეებშიაც კი, სადაც სამარისებური მყუდროება სუფევს, მხოლოდ სკვინჩა არღვევს ამ მყუდროებას თავისი დამახასიათებელი ჟივილით—“ტინგ-ტინგ“; დრო გამომწვებით კი, მოქცეული ასწლოვან წიფლის მწერვალზე, სკვინჩა გულმოდგინედ გალობს თავისი სადა, მაგრამ მაინც საკმაოდ სასიამოვნო ხმით. შეიძლება ითქვას, რომ ეს ფრინველი პირაქეთ ხევსურეთში საკმარისი რაოდენობით მოიპოვება, რაც არ ითქმის პირიქეთ ხევსურეთის შესახებ; ის გვხვდება ტყის ზოლის მთელ სივრცეზე, დაწყებული მისი ქვედა საზღვრიდან, და გათავებული ზედა საზღვრით, სუბ-ალპური ზონის გასწვრივ. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს ფრინველი რიცხობრივად მეტია ტყის ქვედა ზოლში. კავკასიაში გაზაფხულზე, ზაფ-



ხულში და შემოდგომის პირველ ნახევარში იკვებება თითქმის მხოლოდ მწერებით. არა ერთხელ მინახავს წიფელაზე, როცა ისინი და გულმოდგინედ ათვალეირებდა ტოტის ყოველ ნაწილს, ფოთოლს. ასეთ პირობებში მყოფ ამ ფრინველს არა ერთხელ შეუყვანივარ შეცდომაში, რადგანაც თავისი საქციელით ის ემზავსება დიდ წიფვიას. მიუხედავად იმისა, რომ სკვინჩა მიეკუთვნება ამიერ-კავკასიის მკვიდრ ფრინველთა რიცხვს, მისი რაოდენობა ზამთარში საგრძნობლად მცირდება საკვების შესამჩნევად შემცირების გამო. მოპოებულ ეკზემპლიართა ნისკარტის ზომები ადასტურებენ *Fringilla coelebs solomkoi*-ის დიაგნოზს. ორი მამლის თავის და სხეულის ზედა ნაწილის რამდენიმედ კაშკაშა შეფერილობა შესაძლოა ინდივიდუალური ცვალებადობით აეხსნათ.

### 16. კავკასიის შინაური ბელურა *Passer domesticus caucasicus* Bogd.

#### ამიერ-კავკასიის მინდვრის ბელურა *Passer montanus transcaucasicus* But.

შინაური და მინდვრის ბელურები. ხევისურეთში არ მოიპოვებიან, მაგრამ მე მინდა შევჩერდე საქართველოში შინაური ბელურას ვერტიკალურ გავრცელებაზე. დიდი ხნიდან ცნობილია, რომ შინაური ბელურა ადამიანის თანმხლებია და მასთან ერთად თავის გავრცელებისას იკავებს სულ ახალ-ახალ ადგილებს; მაგრამ ეს დებულება საესებით გამართლებული არაა საქართველოში მობინადრე შინაური ბელურის შესახებ. მე ეს ფრინველი არ შემიმჩნევია არც ზედა სვანეთში, არც თუშეთში და არც ხევსურეთში. თუ რომ ბელურას არ არსებობა ზემო სვანეთში, თუშეთში და პირიქით ხევსურეთში შეიძლება დაახლოებით აიხსნას უზარმაზარი ტყის მასივების არსებობით, რომელნიც ზღუდავენ მის ვერტიკალურ გავრცელებას კავკასიონის მთებში, ეს ახსნა-განმარტება გამოუსადეგარია ჩვენთვის საინტერესო საკითხის გამოსარკვევად პირაქით ხევსურეთის მიმართ. დაწყებული ქინვალის სადგურიდან (საქართველოს სამხედრო გზა) ბარისახომდე (ხევსურეთის ადმინისტრაციული ცენტრი) მოიპოვებიან ნათესები, კულტურული უბნები, ამ ფრინველის საყვარელი ადგილები. ამ ადგილების ჰავის სიმკაცრეზე ლაპარაკი ზედმეტია, ვინაიდან, როგორც ვიცით, შინაური ბელურა გაცილებით უფრო მკაცრ ყინვებს იტანს, ვიდრე ზედასვანეთის, თუშეთის და ხევსურეთის ყინვებია. დაგვრჩენია დაუშვათ ის, რომ ეს ფრინველი გაურბის დიდ სიმაღლეს. ასევე ითქმის მინდვრის ბელურას შესახებ.

### 17. ბალის გრატა

#### *Emberiza hortulana* L.

პირაქით ხევსურეთში ბალის გრატა საკმაოდ იშვიათია, პირიქით ხევსურეთში ის არ შემხვედრია. მას უყვარს ღია ადგილები და გაურბის ტყეებს. რამდენჯერმე შემიმჩნევია ის ტყეში ნათესების განაპირას; საყურადღებოა და მასთან უნდა აღინიშნოს, რომ ეს ფრინველი ალპურ ზონაშიც იშვიათად მოიპოვება; საჩალას ფერდობებზე, ალპურ ზონაში, მე რამოდენიმეჯერ შემხვედა ის. თითქმის ასეთივე სიმაღლეზე—ეს გრატა მე ვიპოვე ლავოდენის ნაკრძალში. მიუხედავად ამ ორი ფაქტისა, არ შეიძლება უარყოფილი იყოს ის აზრი, რომ



ბალის გრატა ალპური ზონის შემთხვევითი სტუმარია, თუმცა შესაძლოა ემყარება ლისხმით, რომ მაღალღეროვანი მცენარეულობით დაფარული სუბალპური ზონა საკმარისად შესაფერ საბუდარ ადგილს წარმოადგენს.

**18. კავკასიის მთის ზრატა (ქეროზა—ხეც.)**

*Emberiza cia prageri* Laubm.

ეს ფრინველი სავსებით ამართლებს მ. მენზბირის მიერ მინიჭებულ სახელწოდებას — „მთის გრატა“. ხევესურეთში, როგორც ამგვარ სხვა ადგილებში, გაზაფხულსა და ზაფხულში ის გვხვდება თითქმის მხოლოდ და მხოლოდ ტყის ზედა ზოლში განსაკუთრებით კი ალპურ და სუბალპურ ზონებში, ზამთარში კი, იძულებულია დასტოვოს თავისი საყვარელი საბინადრო ადგილები და დაეშვას დაბლობებში.

უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ საქართველოში, შავი ზღვის სანაპიროებზე, გრატა ძალიან იშვიათად თითქმის ზღვის პირად გვხვდება, რაც არ შეიძლება ითქვას მისი კონტინენტალური ნაწილის შესახებ. ეს საინტერესო მოვლენა, ჩემი აზრით, შეიძლება აიხსნას იმით, რომ მთის გრატა, რომელიც ძნელად იტანს მაღალ ტემპერატურას, შავი ზღვის სანაპიროებზე, სადაც ზაფხულის პაპანაქებას საგრძნობლად აზომიერებს ზღვიდან მონაბერი, ეგრედ-წოდებული ქვენა ქარი, პოულობს თავისი არსებობისათვის საკმაოდ ხელსაყრელ პირობებს. მისი საყვარელი ადგილებია ხევები, ქვაკლდოვანი ნაყარით, მათში გაბნეული ჩირგვნარით და მთის ნაკადულებით.

**19. ტაის ტოროლა**

*Lullula arborea* Sar.

მთის ტოროლა საქართველოში საკმაოდ იშვიათი მოპუდარი ფრინველია, მას მე შევხვდი პირაქეთ ხევესურეთში. პირიქეთში არ მიპოვია, თუმცა ის წარმოადგენს სათანადო საბინადრო სტაციას.

**20. კავკასიის მთის ტოროლა. ლივლივა (თუშ.)**

*Eremophila alpestris penicillata* Gould.

მთის ტოროლა ჩვეულებრივია ალპურ ზონაში, მაგრამ სუბალპურში იშვიათად გვხვდება. ჩემი დაკვირვებით, ის თავს არიდებს მაღალ ბალახს, უყვარს კლდოვანი ადგილები დაფარული დაბალი ალპური მცენარეულით; დღის ცხელ დროს ატარებს წყლის მახლობლად. თავისი საქციელით ზოგადად მოგვაგონებს მინდვრის ტოროლას, მაგრამ მისგან განსხვავებული ნიშნებიც აქვს: მე არასოდეს არ მინახავს, რომ მთის ტოროლა გალობდეს ფრენისას, როგორც ეს ახასიათებს მინდვრის ტოროლას. ზამთარში, როდესაც თოვლი დაფარავს მის საბინადრო ადგილებს, ეშვება უფრო ქვემოთ და მხოლოდ განსაკუთრებულ მკაცრს ზამთარში მას ვხვდებით დაბლობებში როგორც გუნდ-გუნდათ, ისე ცალ-ცალკე. აქ ის ნაკლებად ერიდება ადამიანს, არ უფრთხის მას და საკმლის მოსაპოვებლად დადის ქალაქის ქუჩებში.

## 21. ტყის მწყერ-ჩიტა

*Anthus trivialis trivialis L.*

ტყის მწყერ-ჩიტა ხეცსურეთის შედარებით იშვიათი ფრინველია, მაგრამ შემდეგი შენიშვნით: ის უფრო ხშირია ალპურ, ვიდრე ტყის ზონაში. მასთან უნდა აღვნიშნო, რომ ეს ფრინველი უფრო მეტი რაოდენობით შემხვდა პირიქეთ ხეცსურეთში. ვიდრე პირაქეთში, თუმცა ხეცსურეთის პირველი ნაწილი უფრო მდიდარია ტყით, ვიდრე მეორე. იალაღებზე მისი შემხვედრა შეიძლება აიხსნას იმიტომაც, რომ ის აქ მოფრინავს მხოლოდ საცვების მოსაპოვებლად, რაც ცნობილია კავკასიის ბევრ ფრინველისათვის.

## 22. შუა-აზიის მთის მწყერ-ჩიტა

*Anthus spinoletta blakistoni Swinh.*

მ. ა. მენ ზ ბ ი რ ი, აღნიშნავს რა ამ ფრინველის არსებობას კავკასიაში, ამბობს: „მისი საყვარელი ადგილ-სამყოფელოა თოვლის მინდვრების მოსაზღვრე ზოლი. ეს ფრინველი აქ პოულობს საკმაო საცვებს მწყერების სახით, რომელნიც მრავლად მოიპოვებან თოვლზე და ამიტომაც მეტად უყვართ სირბილი ხრე-შიან, მარცვლოვან თოვლზე“. არ უარყოფ რა, რომ ეს ფრინველი გვხვდება ალპურ ზონის თოვლიანი მინდვრების მოსაზღვრე უბნებში, არ შემიძლია დავეთანხმო ავტორს იმაში, თითქოს ეს ადგილები ამ ფრინველისათვის მიმზიდველი და ხელსაყრელი იყოს.

ჩემი დაკვირვებით ის უფრო ხშირად გვხვდება სუბალპურ ზონის მახლობელ უბნებში. ქვიანი რიყე და მასში გამდინარე ნაკადულები განსაკუთრებით იზიდავს ამ ფრინველს. ადამიანს არ უფრთხის. ამის გამო შეიძლება ახლო მათი გაცნობა. ძაღლის დანახვა მათში დიდი ალიაქოთს იწვევს, თავს დასტრიალებენ ძაღლს და ზოგჯერ ძალზე ახლოც უახლოვდებიან მას. ზამთრის დასაწყისიდანვე ისინი თანდათანობით იწყებენ ქვემოთ დაშვებას და მოიპოვებან თითქმის ზღვის დონეზედაც კი. აგვისტოს პირველ რიცხვებში დიდი რაოდენობით მხვდებოდა ახალგაზრდა ფრინველები, რომლებიც მხოლოდ შეფერილობით და არა სიდიდით განსხვავდებოდნენ თავისი მშობლებისაგან

## 23. მთის ბოლოქანქალა

*Motacilla cinerea cinerea Tunst.*

მთის ბოლოქანქალას საყვარელი საბინადრო ადგილებია ტყეებს შორის მიმდინირე მთის ნაკადულების ახლო მდებარე ველები. ეს ფრინველი გვხვდებოდა უფრო ხშირად პირაქეთ ხეცსურეთში. ივლისის ბოლოში მოპოებული ახალგაზრდა ფრინველები ოდენობით თითქმის არ განსხვავდებოდნენ თავისი მშობლებისაგან და კიდევ ეწოდნენ გუნდურ ცხოვრებას. ალპური ზონის იშვიათი სტუმარია. პ. ვ. სერებროვსკის მოწმობით ის ზაფხულობით ალაზნის ველზე მოიპოება. მე პირადად საქართველოში წლის ამ დროს ის დაბლობებში არასოდეს არ შემხვედრია, ზამთარში კი აქ ჩვეულებრივია.



**24. თეთრი ბოლოქანქალა**

*Motacilla alba alba L.*

თეთრი ბოლოქანქალა უფრო დაბლობების მცხოვრებია, თუმცა მთებშიც ვხვდებით, მაგრამ ის არ ეტანება ისეთ მაღალ ადგილებს, როგორც მთის ბოლოქანქალა. ხეცუსურეთში უმთავრესად ქვედა ტყის და სოფლების სიახლოვეს გვხვდება. განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია ეს ფრინველი სოფელ ბარისახოს მიდამოებში, რაც აიხსნება იმით, რომ აქ, შედარებით დაბლა, მოიპოვება ხეცუსურეთისათვის არაჩვეულებრივი დიდი მინდორი, მისი საყვარელი საბინადრო სტაცია. არაუფროს ხეობაში ეს ფრინველი საკმარისად ხშირია. ახალგაზრდები რიცხვით სჭარბობდნენ მოწიფულებს.

**25. ირანის ჩვეულებრივი მგლინავა**

*Certhia familiaris persicasar etloud.*

მ. ა. მენზბერიის მოწმობით, კავკასიის მთებში მგლინავას გავრცელების საზღვრად 5.000 ფუტი (1500 მეტრი) სიმაღლეა აღიარებული. ჩემი დაკვირვებით ამიერ-კავკასიის მთებში ის გვხვდება გაცილებით უფრო მაღლა და ამიტომ ვერტიკალური გავრცელების ზედა საზღვრად უნდა მივიჩნიოთ ტყის ზონის ზედა საზღვარი. მგლინავა ისე ხშირი არ არის, როგორც წივწივა და სინეგოგა. ეს ნაწილობრივ აიხსნება იმით, რომ მისი ქცევა უფრო ნაკლებად თვალსაჩინოა, ვიდრე მისი თანამხანაგებისა (წივწივები, წიწკანები, სინეგოგები) და მგლინავას დაბალ ხმინი უიფვივი არ ისმის წიწკანასა და სინეგოგების მკვეთარ წივილთა შორის. აღამიანს თითქმის არ ერიდება. რამდენიმეჯერ მინახავს ის ორი ნაბიჯის მანძილზე, როცა მოფრენილა მახლობელ ხეზე და მიბლაუჭებულა წვეტიან ბრჭყალებით ღეროზე. მისი უშიშროება იქამდისაც კი მიდის, რომ თოფის გასროლისაც არ ეშინია. რამდენიმეჯერ მომიკლავს ერთ ხეზე ორი მგლინავა. ხეცუსურეთში ის შემხვდა სულ რამოდენიმეჯერ სინეგოგების და წივწივების თანასახოგადობაში.

**26. მავხაჭუნა**

*Tichodroma muraria L.*

ეს ორიგინალური მთის ჩიტი რამდენიმეჯერ შემხვედრია ალბურ ზონაში, ქაოტურად ახორავებულ კლდეებს შორის. უაღრესი სიფრთხილით უნდა მოვეპყრათ იმ ცნობას, თითქოს მათხაჭუნა ზაფხულობით მოიპოვებოდეს თბილისის მიდამოებში, რასაც აღნიშნავს მ. ა. მენზბერი, გ. ი. რადეს სიტყვებით. არც კ. ა. სატუნინს და არც მე მრავალი წლის განმავლობაში თბილისის მიდამოებში ეს ფრინველი არც ერთხელ ზაფხულობით არ შეგხვედრია. ცივსა და თოვლიან ზამთარში, თფილისის მიდამოებში და ზოგჯერ ცენტრშიაც ვხვდებით.

**27. კავკასიის სინეგოგა**

*Sitta europaea caucasica Reich.*

ხეცუსურეთში იშვიათად გვხვდება სინეგოგა, როგორც ტყის ქვედა ზონაში, ისე მაღალ მთებში სუბალპურ ზონამდე; უფრო ხშირია ტყის ქვედა და შუა ზო-



ნაში. ჩემი დაკვირვებით პირაქეთ ხევესურეთში ის უფრო ხშირია ვიდრე მთიანეთში. ამას მე ვხსნი იმით, რომ პირაქეთ ხევესურეთში მეტი რაოდენობით მარწყვებიან მწერები, რომლებითაც ის თითქმის განსაკუთრებით იკვებება. რაც შეეხება გამრავლებას, ჩემი დაკვირვებით ის წელიწადში ორჯერ ბუდობს. ამასში მე მარწმუნებს ის, რომ ზაფხულის დასაწყისში და ბოლოში ერთიდაიგივე ოდენობის გადაფრენილი ბარტყები მოპოვებიან.

მე მინდა აქ აღვნიშნო სინეგოვას ერთი საინტერესო საქციელი, რომლის მოწამე ვიყავი მე ლაგოდხის ნაკრძალში. ერთ ასწლოვან წიფელაზე, რომელიც საკმარისად ძლიერ დაზიანებული იყო სხვადასხვა ქერქამიების მიერ, გულმოდგინედ მუშაობდა დიდი ქრელი კოდალა. მის მახლობლად თავს დასტრიალებდა ორი სინეგოვა, რომელნიც სცდილობდნენ გაესინჯათ კოდალას მიერ ქერქ-გაცლილი ხის ღერო, მაგრამ მათს ასეთს ცდას წინ ელობებოდა კოდალას ენერგიული წინააღმდეგობა. ამასთანავე კოდალა სცდილობდა ჩაენისკარტებია მათთვის თავში, მაგრამ სინეგოვები ერთობ მოხერხებულად იცავდნენ თავს კოდალას ძლიერ ნისკარტისაგან. დაუპატიჟებელი სტუმრების ასეთი თავგასულობით მოთმინებიდან გამოსული კოდალა გამოედევნა ერთ მათგანს; მეორემ კი იხელთა რა ამით მოხერხებული დრო, დამშვიდებით ქერქ-გაცლილ ხის ტანიდან იწყო ამოღება თავისი საკბილო მწერებისა და მატლებისა. რამდენიმე ხნის შემდეგ დაბრუნებულმა კოდალამ კიდევ მეტი გულმოდგინებით განაგრძო შეწყვეტილი მუშაობა, სინეგოვები კი, თითქოს აქ არაფერი მომხდარაო, ხელახლად შეუდგნენ კოდალას გაღიზიანებას. შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში კოდალა სამჯერ გამოედევნა თავხედ სინეგოვებს, დაბოლოს დარწმუნდა რა, რომ მათი თავხედობა უსაზღვროა, მიატოვა თავის სამუშაო და ამით მისცა სინეგოვებს სრული შესაძლებლობა ესარგებლათ მისი ნაშრომით.

## 28. დიდი წიფვივა

*Parus major major L.*

ხევესურეთში ეს ფრინველი საკმაოდ ჩვეულებრივია, მაგრამ პირაქეთში სჭარბობს. არ შეიძლება დავეთანხოთ პ. ვ. სერებროვსკის იმაში, რომ ეს ფრინველი „მთის მალლობებს“ არ ეტანება. დიდი წიფვივა მინახავს ამიერ-კავკასიის მრავალ ადგილას მაღალ მთებში, ტყის ზონის ზედა ზოლში, სუბალპურ ზონის ქვედა ნაწილში, ბუჩქნარებში. ივლისის მეორე ნახევარში და აგვისტოს პირველ რიცხვებში უმთავრესად გვხვდებოდა ახალგაზრდობა; ზოგი მათგანი, ახლად გადაფრენილები, მშობლიურ მზრუნველობას ჯერ კიდევ მოკლებულნი არ იყვნენ.

## 29. კავკასიის წიფკანა

*Cyanistes coeruleus satunini Sar.*

თუ რომ წიფვივა, ბუდობის დროს გვხვდება როგორც დაბლობში, ისე მაღლა მთებში, ეს არ შეიძლება ითქვას წიფკანას შესახებ, რომელიც ჩემი დაკვირვებით ამიერ-კავკასიაში ამ დროს, უნდა მიეკუთვნოს მთის ფრინველებს. ბუდობს თითქმის მხოლოდ მთებში და მარტო შემოდგომით ეშვება ველებსაყენ, სადაც ეწევა ხეტი-



აღს. პირაქეთ ხევსურეთში ის არა ერთხელ შემხვედრია უღრან ტყეებში ზოგჯერ ცალკე ოჯახებად, ზოგჯერ კი სხვადასხვა ფრინველების საზოგადოებაში.

**№ 0. კავკასიის შავი წივწივა**

*Parus ater michalowskii* Bogd.

წივწივას ეს სახეობა საკმარისი რაოდენობით მეტწილად გვხვდებოდა ტყის ზონის ზედა და შუა ნაწილში. ჩემის დაკვირვებით, მთის წივწივა დანარჩენ წივწივებისაგან განსხვავებით გაუბრბის გუნდურ ცხოვრებას სხვადასხვა ფრინველებთან. ის ხშირად გვხვდება წყვილ-წყვილად, ან გუნდ-გუნდად, როდესაც მშობლებსა და შვილებს შორის კიდევ არსებობს კავშირი. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ის მთების ბინადარია და მხოლოდ იშვიათად ველების სტუმარი.

**№ 1. კავკასიის გრძელ-კუდა წივწივა (თოხის-ტარა)**

*Aegithalos caudatus major* Radde

თოხის-ტარა გავრცელებულია მთელ კავკასიაში გარდა ტალიშისა (ყოფილი ლენქორანის მაზრა). ის მე ვიპოვე მხოლოდ პირაქეთ ხევსურეთში, თუმცა პირიქეთის ეკოლოგიური პირობები არ უარყოფენ მის არსებობას აქ. ჩემი დაკვირვებით ეს ფრინველი იშვიათი სტუმარია ტყის ზონის ზედა ზოლის. ივლისის პირველ ნახევარში ახალგაზრდები ოდნავ განირჩეოდნენ სიდიდით და შეფერილობით მშობლებისაგან.

**№ 2. კავკასიის ლაჯო**

*Lanius collurio kobylini* But.

საქართველოში ლაჯო ჩვეულებრივი ფრინველია. მას მე შეეხვდი მხოლოდ პირაქეთ ხევსურეთში, მისი იმ ნაწილში, სადაც საკმაო რაოდენობით მოიპოება ტყეში ხელოვნურად შექმნილი მისთვის გამოსადეგი სანადირო ადგილები. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ უფრო ხშირია დაბლად მდებარე რაიონებში. მაღლა მთებში შევნიშნე მხოლოდ რამოდენიმეჯერ, რასაც, ჩემის აზრით, შემთხვევითი ხასიათი ქონდა, რადგანაც ეს ფრინველი უპირატესობას აძლევს დაბლობებს, როგორც თავის საბინადრო ადგილებს. ივლისის დამლევს ახალგაზრდების რიცხვი ჭარბობდა ასაკოვანთ, რომელნიც განგურობას განიცდიდნენ.

**№ 3. რუხი მემატლია**

*Muscicapa striata striata* Pall.

ეს ფრინველი აქ (პირაქეთ ხევსურეთში) როგორც საქართველოს მრავალ ადგილს, საკმარისად ჩვეულებრივია, მაგრამ ერთგვარი შენიშვნით: მისი ვერტიკალური გავრცელება თანაზომიერად არ არის განაწილებული ტყის მთელ ზონაში. ტყის ქვედა ზონაში ის ხშირია, რაც უკვე არ შეიძლება ითქვას ტყის შუა ზონის შესახებ. ზედა ზონაში რუხი მემატლია მხოლოდ იშვიათი სტუ-



მარია განსაკუთრებით მაშინ თუ ტყე კარგად დაცულია და გაჩენს მხოლოდ ადგილი, ე. ი. ტყეში ხელოვნურად არ არის შექმნილი მინდვრები, მხოლოდ საყვარელი საბინადრო და სანადირო ადგილები.

#### 34. კაჰკასიის ჟარანა

##### *Phylloscopus collibitus Vieillot*

ხევსურეთში, ტყის ზონაში მე არ შემხვედრია ეს ყარანა, რაც შეიძლება ახსნილი იქნას იმით, რომ, სააზიკო პერიოდის გარეშე, ის საკმაოდ ჩუმი და ამიტომაც ტყეში მისი აღმოჩენა ძნელია. ალპურ ზონაში გვხვდებოდა ცხენის მკეპავს შაბნარში. მიუხედავად იმისა, რომ ივლისის დამლევები იყო, აქა-იქ მოისმოდა მისი ვალობა.

#### 35. მწვანე ჟარანა

##### *Phylloscopus nitidus nitidus Blyth*

მწვანე ყარანა ჩვეულებრივი ფრინველია ტყის ზონისა, მაგრამ გაურბის დაბლობებს. ტყის შუა და ზედა ზონაში საკმაოდ ხშირია და გვხვდება თვით ალპურ ზონამდე. მისი მელოდიური, მაგრამ ამასთან სადა. ვალობა თითქმის მთელი დღე გაისმის. პაბანაქებაშიც კი, როდესაც განაბულია ყველა ფრინველი, ის ტოტს, ყოველ ფოთოლს გულმოდგინედ სინჯავს. მე თითქმის არასოდეს არ მინახავს ის დამშვიდებულ მდგომარეობაში. ამ ფრინველს ახასიათებს უაღრესი მოძრაობა და მოუსვენრობა. ბარისახოს მიდამოებში კოკის-პირული წვიმის დროს, თავი შევაფარე ასწლოვან წიფელას; არც ერთი ფრინველი არ განაგრძობდა საკვების ძებნას, მხოლოდ მწვანე ყარანამ არ შეწყვიტა თავისი ჩვეულებრივი ფუსფუსი. აქვე მე მოწამე ვიყავი ამ ფრინველის ყოფაცხოვრების არაჩვეულებრივი მოვლენისა. რამოდენიმე ათეული მწვანე ყარანა გაერთიანებულიყვნენ წივწივების, სინეგოგების, მგლინავების კრებულ გუნდში და ისე გულმოდგინედ შინჯავდნენ ფოთლებს და ტოტებს, რომ განსხვავებას ვერ შეამჩნევდა ადამიანი მათი და დანარჩენ თანამგზავრთა შორის.

#### 36. კაჰკასიის შავთავა ასპუჰაჰა

##### *Sylvia atricapilla dammholzi Stres.*

შავთავა გრატა შედარებით იშვიათია ხევსურეთში. საერთოდ უნდა ითქვას, რომ დასავლეთ საქართველოში ის უფრო მრავალრიცხოვანია, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოში. ეს ასპუჰაჰა უფრო ხშირია პირაქეთ ხევსურეთის ტყის ზოლში, სადაც პოულობს თავის საყვარელ საკბილოს—სხვადასხვა მცენარეულობის ნაყოფს. ჩემი დაკვირვებით, ეს ფრინველი უფრო ეტანება მცენარეულობას, ვიდრე ცხოველურ საკვებს. შემთხვევითი სტუმარია. ჯერ კიდევ ივლისის დამლევს, მშობლები კვებავდნენ თავის ახალთაობას, მაგრამ აგვისტოს შუა რიცხვებში ეს უკვე არ იყო შემჩნეული. ჩემი დაკვირვებით რუხი მემატლია. ამიერკავკასიაში წლის განმავლობაში ორჯერ ბუდობს. მე რამდენჯერმე მოწმე ვყოფილვარ იმისა, თუ როგორ მამაცათ ესმოდა თავს ეს პატარა ფრინ-



ველი კრუხს, როცა ის დადიოდა იმ ხის ქვეშ, რომელზედაც მემატლიას ქვეყნიდან და ბუდე. ეს შეტევა ხშირად გათავებულა მემატლიას გამარჯვებით მოქმედა მან მწყერ-ჩიტას მიმართ წარმატებით.

### 37. პატარა მემატლია

*Muscicapa parva parva* Bech.

პირაქეთ ხევსურეთში ეს ფრინველი შემხვდა რამოდენიმეჯერ ტყის ქვედა ზონაში და არასოდეს არ მინახავს ის ზედა ზონაში. ივლისის დამლევს მე მხედებოდა ბუდიდან მხოლოდ ახლად გადაფრენილი ბარტყები, რომელნიც ტოტიდან ტოტზე გადაფრენის ცდისას ვარდებოდნენ მიწაზე. ამიერ-კავკასიაში მცხოვრებ პატარა მემატლიას გამოყოფდნენ განსაკუთრებულ ქვესახეობათ მხოლოდ იმის გამო, რომ მათ უფრო გრძელი და უფრო ღიად შეფერადებული ნისკარტი აქვთ, ვინემ აღმოსავლეთ ევროპის მემატლიას, მაგრამ ეს ნიშანთვისებები ძალიან მერყეობს. ამის გამო სახელწოდება *M. P. colchica* სინონიში უნდა გადავიდეს.

### 38. კავკასიის რუხი ანკუჭაპა

*Sylvia communis icterops* Mén.

მიუხედავად მოლოდინისა, ეს ანკუჭაპა საკმარისად დიდი რაოდენობით შემხვდა პირაქეთ ხევსურეთში, პირიქეთში-კი არ შემხვედრია. მისი პოვნა უღრან ტყეში ძნელია სააზიკო პერიოდის გარეშე, როგორც ეს ცნობილია ყველა იმ ფრინველებისათვის, რომელნიც თავის საცხოვრებელ ადგილებად ირჩევენ ხშირ ტყეს.

მას ჩვენ ვხვდებით ხშირად სხვადასხვა ჩირგვნარებში. მთებში გვხვდება საკმაოდ დიდ მალლობებზე. მთლიან ტყეებში ის ირჩევს ველებს. ნაპოვნი ეკუმპლიარების გასინჯვისას, მე ვერავითარი განსხვავება ვერ ვნახე ტიპურ ფორმასთან. ამ ფრინველს ინდივიდუალური ცვალებადობა სუსტად აქვს გამოხატული. მე რამდენიმეჯერ ნაჩეკები შემხვედრია. ახალგაზრდები, მიუხედავად თავისი მშობლების გაფრთხილებისა, ჩემი მიახლოებისას არ აფარებდნენ თავს ბუჩქნარს და საგრძნობ ცნობისმოყვარეობას იჩენდნენ აღამიანის მიმართ.

### 39. ჩხარტში

*Turdus viscivorus viscivorus* L.

ეს ფრინველი გვხვდებოდა პირაქეთ ხევსურეთში დაახლოებით 2.000 მეტრის სიმაღლიდან. ტყის ზედა ზონაში ის საკმაოდ ჩვეულებრივია. არ გაურბის სუბალპურ და ალპურ ზონებსაც, სადაც მოფრენენ მთელი ნაჩეკებით საკვების მოსაპოვებლად. ახალგაზრდები, რომლებიც ივლისის ბოლოს შეგვხვდა, სიდიდით არ ჩამოუყარდებოდნენ თავის მშობლებს.

## 40. წრივა

*Turdus ericetorum philomelos* Brehm

წრივა ჩხართვს რიცხობრივად ვერ შეედრება, მაგრამ უკანასკნელის საწინააღმდეგოდ ბუდობს ხევსურეთში ტყის ზონის, როგორც ქვედა ისე ზედა ნაწილებში. ივლისის ბოლოს მოპოვებული ახალგაზრდები ოდენობით თითქმის მშობლებს უდრიდნენ. უფრო ხშირია ეს ფრინველი სოფლის პირად მდებარე ადგილებში, სადაც მოიპოება ყოლი და სხვა კენკრი. სხვა შაშვებთან შედარებით ადამიანს არ უფთხის. ჩემი დაკვირვებით ამიერ-კავკასიაში წრივას არ უყვარს მაღალი ადგილები, ჩხართვის მზგავსათ, მაგრამ მაინც მცირე რაოდენობით და მასთან იშვიათად გვხვდება ალპურ ზონის ქვედა ნაწილში.

## 41. კავკასიის თეთრ-ყელა შაშვი

*Turdus torquatus amicorum* Hart.

კავკასიის თეთრ-ყელა შაშვი პირადათ მე არასოდეს არ შემხვედრია ტყის ზოლში და ყოველთვის მინახავს ის სუბ-ალპურ ან ალპურ ზონებში. აქ ის თავისი საბინადრო ადგილად ირჩევს მყავანას შაბნარს. საზოგადოდ მას უყვარს ნაკადულთა ხეები, ალპური ველები, რომლებიც იზიდავენ მას საკვების სიუხვით; პირაქეთ ხევსურეთში ის რამოდენიმეჯერ შემხვდა მყავანას შაბნარში.

## 42. შაშვი

*Turdus merula aterrimus* Mad.

შაშვი მიეკუთვნება ხევსურეთის იშვიათ ფრინველთა რიცხვს, და ეს გასაკვირიც არაა, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამიერ-კავკასიაში ის იშვიათად აღის მაღალ მთებში. შაშვი უმთავრესად ეტანება ტყის ქვედა ზოლს; ჩვეულებრივად მე ვპოულობდი მიყრუებულ შაბნარებში ან და მათ მახლობლად. მოპოვებული ეკვმპლიარები მკაფიოდ არ განსხვავდებიან ტიპურისაგან. დედლების შეფერადება სხვადასხვანაირია.

შაშვი ამიერ-კავკასიის ზოგ ადგილას, ბარათ ძალზე ადრე იწყებს ბუდობას; მაგალითად დასავლეთ საქართველოში უკვე აპრილის დასაწყისში გვხვდება გადაფრენილი ბარტყები. აქ ხალხური თქმულებაც კი არსებობს შაშვზე, რომელმაც დაიკვება „ნეტავი მიჩვენა ისეთი დიასახლისი, რომელმაც ჩემზე ადრე მოახერხა წიწილების გამოჩეკა“-ო.

არ ვეთანხმები ს. პ. სერებროვსკის, თითქოს ამიერ-კავკასიაში მობინადრე შაშვები უფრო ნაკლები მზიშარანი იყვნენ, ვიდრე შუა რუსეთის შაშვები, რომელნიც „ადამიანის დანახვისას სასწრაფოდ აფრინდებიან და იმალებიან. კავკასიაში კი თითქოს ის საკვებს ეძებს ხალხით სავსე ქუჩებზე და ფეხებ ქვეშ დაუხტის ცხენებს“. შესაძლოა მან ასეთი უშიშარი შაშვები მართლაც ნახა ზაქათალის მიყრუებულ ადგილებში, მეც არა ერთხელ მინახავს ასეთები იმ ადგილებში, სადაც ადამიანი იშვიათად დადის, მაგრამ აქედან, რა თქმა უნდა,

შორს ვართ იმ დასკვნამდე, თითქოს ყველა შაში კავკასიაში აღმოჩნდეს. ამიერ-კავკასიის მრავალ ადგილას, სადაც ამ შაშეს სდევნიან, და საზოგადოდ აწუხებენ, ის ისევე გაურბის ადამიანს, როგორც რუსეთში მობინადრე შაში.

#### 43. კლდის შაში

*Monticola saxatilis* L.

ხევსურეთში ისევე, როგორც ყველგან ამიერ-კავკასიაში კლდის შაში გვხვდება დაწყებული სუბ-ალპურ ზონიდან თოვლის ხაზამდე, მაგრამ ყველგან მცირე რაოდენობით. „იღუმალ ველური ალპური ზოლის ფრინველთა შორის, კლდის შაში ჩინებული მგალობელია. დაბალხმიანი, მაგრამ მელოდიური, სალამურისებური მისი გალობა, გაისმის როგორც მზიან დღეში ისე მაშინაც, როდესაც ცივი, სქელი ღრუბლები ზაფხულის საუცხოვო დღეს აქცევენ ჩამობნელებულ ცივ შემოდგომის დღედ რაც სევდასა გვრის ყოველ ცოცხალ არსებას გარდა ამ საყვარელი ფრინველისა“. ამ ფრინველის საყვარელ საბინადრო ადგილებს წარმოადგენს კლდის ქანები, ზოგჯერ შაშველი ზოგჯერ კი დაფარული სხვადასხვა მცენარეებით, რომლებთანაც შეხამებულია მისი სხეულის შეფერილობა.

#### 44. მელორღია

*Oenanthe isabellina* Temm.

მელორღია გვხვდება მთელს ხევსურეთში, რომელიც მას უქმნის საუკეთესო ეკოლოგიურ პირობებს: გაშლილი, უტყეო ადგილები, ზოგ შემთხვევაში, ნაკლებად დაქანებული ფერდობები და კლდეები, უხვი საკვები სხვადასხვა მწერების სახით. მე შევხვდი რამდენიმე ოჯახს. ახალგაზრდები კიდევ მშობლების ზეგავლენის ქვეშ იყვნენ, რაც ცხადად ემჩნეოდათ, როდესაც იძულებით გადააფრენდნენ ხოლმე ერთი ადგილიდან მეორეზე; ისინი ყოველთვის მიფრინავდნენ მშობლების მიერ აღებულ მიმართულებით.

#### 45. მინდვრის მელორღია

*Saxicola rubetra* L.

მინდვრის მელორღია გვხვდება ხევსურეთის ორივე ნაწილის სუბ-ალპურ და ალპურ ზონებში საკმარისი რაოდენობით, მაგრამ სუბალპურ ზონაში შედარებით მეტი, რაც აიხსნება შესაფერისი ეკოლოგიური პირობებით, სახელდობრ, მაღალი ბალახისა და საკმაო საჭმელის არსებობით (სხვადასხვა მწერების და მათი მატლების სახით).

ზოგან ის შემხვედრია იმ შაბნარებსა და სარეველა ბალახებში, რომელნიც საკმაოდ ხშირად გვხვდებიან ნათესების სანაპირო ადგილებში და თვით ნათესებშიც. ჩემი დაკვირვებით ამიერ-კავკასიაში ეს ფრინველი გაურბის დაბლობებს და მხოლოდ მის ალპურ ნაწილში ბუდობს. მხოლოდ მოფრენისას ის გვხვდება დაბლობებში და თოვლის დადნობასთან ერთად თანდათანობით აღის მაღლა მთებში.

## 46. შავთავა მელორღია

*Saxicola torquata variegata* Gmel.

ეს ფრინველი ზემოთ აღნიშნულ სახეობასთან განსხვავებით, მალაღ მთებს არ ეტანება; ამიერ-კავკასიაში გვხვდება დაბლობებშიაც. მე ის ვნახე პირაქეთ ხევსურეთში ტყის ზონაში, როგორც ნათესების რაიონში, ისე მდინარეების ქალებზე სარეველა ბალახებში. პირაქეთ ხევსურეთში მე ის არც ერთხელ არ შემხვედრია. ვფიქრობ, რომ ამას შემთხვევითი ხასიათი აქვს. აგვისტოს პირველ ნახევარში ნახული ახალგაზრდა მელორღიები კარგად ვერ ფრინავდნენ.

## 47. კავკასიური ზოლოცეცხლა

*Phoenicurus ochruros ochruros* Gmel.

ეს ფრინველი ყველგან გვხვდება ხევსურეთში, როგორც ტყის ისე სუბალპურ და ალპურ ზონებში და საკმაო დიდი რაოდენობით.

პროფესორ ნ. ა. ხოლოდკოვსკის თავის შრომაში „ევროპის ფრინველები“ მოჰყავს შემდეგი ცნობები კავკასიის ბოლოცეცხლაზე: „ცხოვრობს მცირე-აზიაში და კავკასიაში, ძალზე მიუვალ მთებში; ყოველთვის ბუდობს კლდეების ნაპრალებში, გაურბის ადამიანის სადგომს, რითაც მკვეთრად განსხვავდება თავის ყოფაცხოვრებით ევროპული ბოლოცეცხლასაგან“.

პაჭივცემული ავტორის ეს განმარტება აგებულია იმ ყალბ ბიო-ეკოლოგიურ ცნობებზე, რომლებიც მოიპოებოდნენ მის განკარგულებაში. კავკასიური ბოლოცეცხლა არ ირჩევს თავისი საბინადრო და საბუდარ ადგილებად მიუვალ კლდეებს, არამედ ერთობ ხშირად გვხვდება ის ტყის ზონაშიც, რომლის საკმაო დიდი ნაკვეთები სხვადასხვა კულტურებს უკავია; გვხვდება როგორც სუბალპურ, ისე ალპურ ზონებში. ადამიანის სადგომს არ გაურბის და ხშირად ბუდობს შენობების ქვის კედლებში. ზემოდ თქმული დასტურდება აგრეთვე ჩვენი დაკვირვებითაც თუშეთში და ზემო სვანეთში. აქ ის ასრულებს შინაური ბელუჩას როლს და სრულიადაც არ გაურბის ადამიანს. მე ამ ფრინველზე დაკვირვება მიწარმოებია ორ-სამ ნაბიჯზე.

სოფელ შატილის მიდამოებში დიდი რაოდენობით გვხვდებოდნენ მოზრდილი, დაფრენილი ბარტყები.

## 48. კავკასიის გულწითელა

*Erithacus rubeculus caucasicus* But.

კავკასიის გულწითელა მე შემხვდა რამდენიმეჯერ ხევსურეთში ტყის ზონაში. ხევსურეთში მოიპოება საუკეთესო ბიო-ეკოლოგიური პირობები მისი არსებობისათვის. ამის გამო არ შეიძლება ავხსნათ მისი მცირე არახელსაყრელი ეკოლოგიური პირობებით. ამ გაუგებრობის გაგება ადვილია, თუ ჩვენ მივიღებთ მხედველობაში, რომ სახეობრივი განსაზღვრა ფაუნისა ძნელია მთიან, მრავალი ხეებით დასერილ ადგილებში და განსაკუთრებით იმ ფრინველების აღმოჩენა, რომელნიც აშოკობის პერიოდის გარეშე თითქმის ხმას არ იღებენ და არაფრით არ ამჟღავნებენ თავის არსებობას.





49. *Prunella modularis obscura* Habl.

ეს ფრინველი მე შემხვდა სუბალპურ ზონაში, ტყის საზღვარზე, ბუჩქებით და მალალი, ბალახოვანი მცენარეებით დაფარულ ადგილებში.

50. *Prunella collaris montana* Habl.

ხევსურეთში ეს ფრინველი საგრძნობი რაოდენობით არსად შემხვედრია, ერთეული ეკზემპლარები გვხვდებოდა ალპურ საძოვრებზე. საქართველოში მისი ვერტიკალური გავრცელება აღწევს დაახლოვებით 3.000 მეტრის სიმაღლეს. ბუდობს მთელ კავკასიის მთიან ადგილებში. ზამთარში, თოვლის მოსვლის შემდეგ, ჩამოდის მინდორ-ველებზე, საიდანაც ხშირად ეწვევა ხოლმე სოფლებსა და ქალაქებსაც კი. ცხოვრობს წელიწადის ამ დროს გუნდ-გუნდათ.

ეს ფრინველი იკეთებს ბუდეს მიწაზე-მაბნარებში, ზოგჯერ კი კლდის ნაპრალებშიც.

ახალგაზრდა ფრინველები, არდოტის ალპურ საძოვრებზე მოპოებულნი, 5. VIII უკვე ამთავრებდნენ განვურებას და თავის სიდიდით თითქმის არ ჩამოუვარდებოდნენ მშობლებს.

51. ლობემძვრალა, ზინძარაჲ

*Troglodytes troglodytes hyrcanus* Zar. et Loud.

საკმარისად ხშირი ფრინველია ტყის ზონაში და იშვიათია ალპურ ზონაში. მთელი დღის განმავლობაში ისმის მისი ბგერა ხან გალობის, ხან კიკჭიკის სახით. ეს კი ადვილად შესამჩნევს ხდის მას იმ ადგილებში, სადაც ბუნებრივი პირობების გამო ის შეუმჩნეველია.

მისი გალობა თავისი სიძლიერით იმდენად არ შეეფერება ლობემძვრალას სიდიდეს, რომ ადამიანი მისი გალობის მოსმენისას ვერ იფიქრებს, რომ ესოდენი დიდი ხმა ეკუთვნის ამ პატარა ფრინველს. ჩემი დაკვირვებით საქართველოში ის არ რჩება ზაფხულში ბარში და მხოლოდ შემოდგომის მეორე ნახევარში და განსაკუთრებით ზამთარში ჩვეულებრივია აქ. მკაცრ ზამთარში, როდესაც ღრმა თოვლით დაფარულია არა მარტო ნიადაგი, არამედ ბუჩქებიც, მისი საყვარელი საბინადრო ადგილი, ის არა ერთხელ მინახავს ბედლებში, სასიმიინდეებში და ზოგჯერ თვით ადამიანის ბინაშიც, სადაც მოურიდებლად დაეძებს საკვებს ობობას ან სხვადასხვა მწერის კვერცხების და ჭურჭების სახით.

52. წყლის შაშვი

*Cinclus cinclus caucasicus* Mad.

წყლის შაშვი რამდენიმეჯერ შემხვდა პირაქეთ ხევსურეთში. პირიქეთ ხევსურეთში-კი არც ერთჯერ. ამას აქვს შემთხვევითი ხასიათი, რადგანაც პირიქეთ ხევსურეთი ამ ფრინველს სათანადო პირობებს უქმნის არსებობისათვის. მდინარეების უმეტესი ნაწილი შეიცავენ მისთვის საჭირო საკვებ მასალას აქ-

მაო რაოდენობით. საქართველოში მოზინდარე ფრინველებს ჩვევია საქმარისად  
თვალსაჩინო ინდივიდუალური ვარიირება. ივლისის შუა რიცხვებში  
ახალგაზრდა ფრინველები კარგად დაფრენდნენ და ოდენობით თითქმის მშობ-  
ლებს უსწორდებოდნენ.

### 53. ქალაქის მერცხალი

*Delichon urbica urbica* L.

ქალაქის მერცხალი მე მხოლოდ პირაქეთ ხევსურეთში შემხვდა. დასასვე-  
ნებული სახლის აივანზე გაკეთებულ ბუდეში (სოფ. ბარისახო) 10. VII ნაპოვნი  
იყო ჯერ კიდევ ახალდამჯდარი კვერცხები. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს იყო  
ხელმეორედ დადებული კვერცხები, ვინაიდან საქართველოში ის სოფლის მერც-  
ხალთან ერთად მოფრინდება აპრილის პირველ რიცხვებში, მთებში-კი ცუდი  
ამინდების გამო, რამდენიმე კვირის დაგვიანებით მოდის, ამიტომაც ზემო-  
ხსენებული შემთხვევა ამ ფაქტით დასტურდება.

### 54. შავი კოდალა

*Dryocopus martius martius* L.

შავი კოდალა, როგორც ყველგან ამიერ-კავკასიაში, მიეკუთვნება ხევსუ-  
რეთის იშვიათ ფრინველთა რიცხვს. მე რამოდენიმეჯერ მქონდა შემთხვევა და-  
კვირვება მომეხდინა მასზე. უფრო ხშირად ის გვხვდება პირაქეთ ხევსურეთში  
მიყრუებულ ტყეებში, სადაც მრავლადაა ფულუროიანი მატლიანი ხეები და  
პირიქით გაფრბის ტყის დაუზიანებელ უბნებს. ძნელი მოსაპოვებელი ფრინვე-  
ლია. არ შემიძლია არ აღვნიშნო შეხვედრის ერთი შემთხვევა ლაგოდეხის  
ნაკრძალში. მომესმა თუ არა მისი დამახასიათებელი რაკა-რუკი, ბგერა—„რ“-ს  
განუწყვეტელი განმეორების მზგავსი, შევეცადე მივსულიყავი უფრო ახლო. მე  
და ფრინველმა თითქმის ერთდროულად შევამჩნიეთ ერთმანეთი. გაშემებული  
დავრჩი ადგილზე, ის კი ელვისებური სისწრაფით ამოეფარა ხის ღეროს. რა-  
მოდენიმე წუთის შემდეგ ხის ღეროდან გამოჩნდა მისი კარმინ-წითელფერად  
შეფერილი თავი, კოდალა გულმოდგინეთ ათვალეირებდა ადგილმდებარეობას  
და ცდილობდა ჩემს დანახვას. ჩემი განძრევისთანავე ის ხელმეორედ ამოეფარა  
ხეს. მე კი ვისარგებლე ამ გარემოებით და გადავიხაცვლე სხვა ადგილას; ველოდი  
რა მოხდება შემდეგ. რამდენიმე დრომ განვლო და კოდალა გამოჩნდა ღეროს  
იმ უბანზე, რომელიც მიმართული იყო ჩემი წინახდელი ადგილ-სამყოფელი-  
საკენ. როგორც ჩანს, კოდალა, როცა ვერ დამინახა, შეეცადა გამოერკვია,  
გავშორდი მე იქაურობას, თუ კიდევ იქვე ვიმყოფები. ასეთი ცნობის მოყვარეო-  
ბა მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

### 55. სპარტოველოს დიდ ჭრელი კოდალა

*Dryobates majorae kurae* Laubm.

სანამ შევეხებოდეთ საქართველოს დიდ ჭრელ კოდალას გავრცელებას  
ხევსურეთში, საჭიროდ მიმაჩნია შევეხო საქართველოში მოზინდარე დიდ ჭრელ



კოდალას სისტემატიკის თვალსაზრისით. ს. ა. ბუტურლინი აღნიშნავს, რომ ჭრელი კოდალას რასებს, სავსებით სამართლიანად შენიშნავს, რომ მორკვევას, გარდა პირადი ცვლილებებისა, ხელს უშლის საკმაოდ ხანგრძლივი-შემოდგომით და ზამთრობით მომთაბარეობა, აგრეთვე ნაკრტენების გაქუქვანება ხის ფულუროებში ძრომის გამო. საქართველოში შობინადრე დიდი, ჭრელი კოდალას მიმართ პირველი შენიშვნა მიუღებელია, ვინაიდან ადგილობრივი კლიმატიური პირობების გამო, მას არ უხდება ხანგრძლივი მომთაბარეობა; ზამთრობით მხოლოდ მაღალ მთიან ადგილებში მოზინადრე კოდალები იძულებულნი არიან მოკლე ხნით დაეშენენ უფრო დაბალი ადგილებისაკენ. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ბარში კლიმატიური პირობები არ აიძულებენ მათ მიმართონ შემოდგომა-ზამთრის მომთაბარეობას.

ს. ა. ბუტურლინი ეხება რა მის მიერ აღწერილ წვრილნისკარტა, კავკასიის დიდ ჭრელ კოდალას *Dryobates major tenuirostris* But. მორფოლოგიურ თავისებურებებს, ამბობს: მოკლენისკარტა დიდი ჭრელი კოდალა უფრო მომცროა ვიდრე ტიან-შანის და ამასთან კიდევ უფრო წვრილი ნისკარტი აქვს, ქვედა მხარე უფრო შეფერილია, საშუალოდ ოდნავ მკრთალია, ვინემ ეს აქვს შუა ევროპის ჭრელ კოდალებს, „რომელთაც წააგავს ფრთასა და კუდზე თეთრი ფერის გავრცელების მხრივ“. შუა ევროპის დიდი ჭრელი კოდალას ტანის ქვედა ნაწილის შეფერილობა, იმავე ავტორის სიტყვით, „ოდნავ უფრო მუქია“ (ვინემ ჩრდილო ევროპის დიდი ჭრელი კოდალა ი. ჩ.) უკანასკნელისა კი „ქვედა მხარე ღიად შეფერილია, მკაფიოდ გამოხატულია და თიხის ფერისაა, ან ყავისფერ-ყომრალი ზამთარში“.

ს. ა. ბუტურლინი აღმოსავლეთ საქართველოს მოზინადრე დიდ ჭრელ კოდალას, რომელიც ბაუმანის მიერ აღწერილი იყო „*Dryobates major curae*“ — „საქართველოს დიდ ჭრელ კოდალას“ სახელწოდებით, ათავსებს კავკასიის დიდი ჭრელი კოდალას სინონიმში შემდეგი შენიშვნით: „საქართველოს დიდი ჭრელი კოდალა თითქოს ოდნავ განსხვავდება წინამორბედისაგან (*Dryobates major tenuirostris*-იდან) ტანის ქვედა ნაწილისა და მხრების რამდენიმედ უფრო მუქი შეფერადებით. ნისკარტი აგრეთვე შესამჩნევად უფრო წვრილია. ჩვენ ვერავითარ განსხვავებას ვერ ვამჩნევთ და დიდად საეჭვოდაც მიგვაჩნია მისი რეალობა“.

უნდა აღინიშნოს, რომ *Dryobates major tenuirostris* გავრცელების არეალად ს. ა. ბუტურლინს მიაჩნია დასავლ. ამიერ-კავკასია (რიონის აუზი) ჩრდილო კავკასია, ყირიმის და დუნაის აუზის ქვედა ნაწილი. გ. პ. დემენტიევს არავითარი ცნობები არ მოყავს ამ კოდალას გავრცელების შესახებ. *Dryobates poelzami*-ს გავრცელების არეალად ს. ა. ბუტურლინს მიაჩნია „კასპიის სამხრეთ სანაპიროს ტყეები ლენქორანიდან ასტრახადის მთების ძირამდე“. ასეთივე ცნობებს იძლევა ამ კოდალას გავრცელების შესახებ გ. პ. დემენტიევი. ძალაუნებურად იბადება კითხვა, რომ, თუ *Dryobates m. tenuirostris* ბინადრობს დასავ. ამიერ-კავკასიაში და *Driobates poelzami* კი ამიერ-კავკასიის უკიდურეს ფამხრეთ განაპირა ადგილებში, სახელდობრ ლენქორანში, მაშინ დიდი, ჭრელი კოდალას რომელი ფორმაა გავრცელებული აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიის

მთელ ვრცელ სივრცეზე, დაწყებული ლენქორანიდან სურამის ქედამდე, რომელიც ჰყოფს ერთმანეთისაგან აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს, სიმაღლე არ შეიძლება გამოიზიაროს ეს ვრცელი რაიონი დიდი ჭრელი კოდალას ვაკე-ცვლების არეალიდან, როგორც მისთვის შეუფერებელი სტაცია; აღმოსავლეთ საქართველოში, აზერბაიჯანში და ტყეებით ღარიბ სომხეთშიაც კი მოიპოვება ამ კოდალასათვის ხელსაყრელი საცხოვრებელი ადგილები. შევეცდები პასუხის გაცემას ამ საკითხზე. ჩემს განკარგულებაში მოიპოვება საკმაო რაოდენობის კოდალების მასალა (ასამდე ეკვ.). მათი გაცნობამ დაძარწუნა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში მოხინაძრე დიდი ჭრელი კოდალები ტახის ქვედა ნაწილისა და შუბლის შეფერილობით ძალზე კარგად განირჩევიან დასავლეთ საქართველოს *Dryobates m. tenuirostris*. აბსოლუტურად მეტ წილ შემთხვევაში სხეულის ქვედა ნაწილი მკერდი და მუცელი შეფერილია ყავისფერ-ყომრალ ფერად და ზოგი ეკვმპლიარები კი ქვედა ნაწილის შეფერილობის სიმუქით არ გაირჩევა ტიპურ *Dryobates poelzami*-საგან. კ. ა. სატუნინიც აღნიშნავს აღმოსავლეთ საქართველოში მოხინაძრე დიდი ჭრელი კოდალას მზგავსებას ქვედა ნაწილის შეფერილობით *Dryobates poelzami*-სთან. ასეთივე მსგავსება შეინჩეულია პ. ვ. სერებროვსკის მიერაც, როცა ის იკვლევდა ყოფილი ზაქათალის ოლქის ორნიტოფაუნას.

მისი აზრით ყავისფერ-ყომრალ ფერად შეფერილია თითქმის მხოლოდ და მხოლოდ ახალგაზრდა კოდალები. ამ საინტერესო მოვლენის ახსნას ის ხედავს ატავიზმში. მე არ ვეთანხმები ამ მოვლენის ასეთ განმარტებას. მე საკმაოდ ხანგრძლივად და სხვადასხვა დროს ვმუშაობდი ლავოდების ნაკრძალის ორნიტოფაუნის შემადგენლობის გამორკვევაზე. ნაკრძალი უშუალოდ ესაზღვრება ყოფილ ზაქათალის ოლქს. აქ მუშაობის დროს შევძელი დამეგროვებია საკძარი-სად დიდრიცხვოვანი კოლექცია ადგილობრივი ჭრელი კოდალებისა. ამ მასალის ზედმიწევნით შესწავლამ მიმიყვანა იმ დასკვნამდე, რომელიც ეწინააღმდეგება პ. ვ. სერებროვსკის დასკვნას. ჩემს მიერ მოპოვებულ კოდალებს, როგორც ახალგაზრდებს, ისე ასაკოვანებსაც სხეულის ქვედა ნაწილი და შუბლი შეფერილი ჰქონდათ ყავისფერ-ყომრალ ფერად, რომლის სიმუქე როგორც ახალგაზრდებში, ისე ასაკოვანებში ვარიირობს ხან ინტენსიურობის, ხან-კი ექსტენსიურობის მიმართულებით. არ ვეთანხმები აგრეთვე პ. ვ. სერებროვსკის მტკიცებას იმის შესახებ, რომ ამ მოვლენის ახსნა უნდა ვეძიოთ ატავიზმში. ატავიზმი, როგორც ცნობილია, თავს იჩენს ერთეულ შემთხვევებში, მაგრამ, როდესაც რამე მორფოლოგიური, ან ბიო-ეკოლოგიური მოვლენა მიიღებს მასობრივ ხასიათს (როგორც ამას აქვს ადგილი ამ შემთხვევაშიც), ის არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მივიჩნიოთ ატავიზმად.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის უფროსმა მეცნიერმა მუშაკმა ორნიტოლოგ მტეგმანმა ჩემი მასალის სსრ. მეცნიერებათა აკად. ზოოლოგიური ინსტიტუტის მასალასთან შედარების შემდგომ, აღნიშნა რა ჩემი კოლექციების ეკვმპლიარების ქვედა ნაწილის შეფერილობის საგრძნობი განსხვავება *Dr. m. tenuirostris*-თან შედარებით, ისე რომ ადგილი ჰქონდა მეტ გათალხებას, გამოსთქვა მოსაზრება,



რომ ქვედა ნაწილის შეფერილობის სიმუქე შესაძლოა გამოწვეული იყოს მხოლოდ ბის მოპოვებით და ან თვით საკვებითაც.

პირველი მოსაზრება, ჩემის აზრით, არ მართლდება შემდეგი მოსაზრებათა გამო: თუ რომ დაუშვებთ, რომ ლავოდებისა და მისი მოსაზღვრე ზაქათალის კოდალების ქვედა ნაწილის და შუბლის შეფერილობის სიმუქე გამოწვეულია მხოლოდ საკვების მოპოვებით, ე. ი თითქოს ხეზე ცოცვისას კოდალებს ესვრებოდათ სხეულის ქვედა ნაწილი და შუბლი, მაშინ გაუგებარი ხდება, თუ რატომ ისეთივე შეფერადება არ მიიღო კულის ნაკრტენებმაც, ვინაიდან, როგორც ვიცით ხეზე ცოცვისას კოდალა ებჯინება კულით.

ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგება ისიც, რომ განგურობის შემდეგ ახალი ნაკრტენი მკერდსა და მუცელზე შეფერილია ყავისფერ-ყომრალ ფერად.

შტემგანის მეორე მოსაზრება იმის შესახებ, რომ შესაძლოა შეფერილობა მიზეზობრივ კავშირში იყოს მცენარეულ საკვებთან, არ დასტურდება, ვინაიდან ზამთარში იმავე რაიონში ნაპოვნი კოდალები, ზაფხულში ნაპოვნიდან განსხვავდებოდნენ ქვედა ნაწილისა და შუბლის რამდენიმედ ინტენსიურ შეფერადებით, რაც ადასტურებს მხოლოდ საერთოდ ცნობილ მოვლენას—სეზონურ შეფერილობას.

ვუკეთებთ რა ზემო თქმულის საფუძველზე ანალიზს, აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში გავრცელებულ დიდი, ჭრელი კოდალას სისტემატიკას, და ამასთანავე აღვნიშნავთ რა ამ კოდალათა ფორმების ურთიერთ ტაქსონომიურ კავშირს და მათ დამოკიდებულებას აღმოსავლეთ ევროპის *Dr. m. major*-ის ძირითად ფორმასთან, მივდივართ შემდეგ დასკვნამდე: დიდი ჭრელი კოდალები, რომელნიც ბინადრობენ აღმოსავლეთ საქართველოში, აზერბაიჯანში და, უნდა ვიგუთავით, სომხეთშიაც, სხეულის ქვედა ნაწილისა და შუბლის შეფერილობის მხრივ, აგრეთვე ზომის მიხედვით წარმოადგენენ გარდამავალ ფორმას, აღმოსავლეთ ევროპის ჭრელ კოდალათა ჯგუფის ვარიაციისა.

ჩემს მიერ აღნიშნული ამ კოდალათა ქვედა ნაწილისა და შუბლის შეფერილობის ინტენსივობა *Dr. m. tenurostris*-თან შედარებით და ამ მოვლენის მასობრივი ხასიათი, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება აღიარებულ იქნას, როგორც ინდივიდუალური ვარიაცია. ეს ნიშანი აგრეთვე არ შეიძლება შეფასდეს, როგორც ასაკობრივი ცვალებადობა, ვინაიდან, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, ეს დამახასიათებელი შეფერილობა სჩვევია, როგორც ახალგაზრდებს, ისე ასაკოვან კოდალებს.

დასასრულ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს დიდი ჭრელი კოდალა უნდა გამოიყოს განსაკუთრებულ რასად და მიეცეს მას *ლ ა უ ბ მ ა ნ ის* მიერ მინიჭებული სახელწოდება *Dryobates major curae* Laubm. მისი გავრცელების არეალად კი აღიარებული იყოს აღმოსავლეთი საქართველო, აზერბაიჯანი, ტალიშის გამოკლებით და, შესაძლოა, სომხეთიც.

თუ რომ კავკასიაში მობინადრე კოდალათა სისტემატიკა ცოტად თუ ბევრად კარგადაა გაშუქებული, იგივე არ შეიძლება ითქვას მათი ბიო-ეკოლოგიაზე, რომლის შესახებ მოიპოება მცირე და ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობები. განმეორება კი კოდალების ყველა იმ თავისებურებათა, რომლებიც აღნიშნულია



ვერობის და ჩრდილო აზიის ორნიტოფაუნის მკვლევარების მიერ, შემცდარა ბუნების შესაბამისად. ამიტომ, მე მინდა რამდენიმედ შევეხო საქართველოში მობინადრე დიდი ჭრელი კოდალას ბიო-ეკოლოგიას. ექვს გარეშეა, ყველა კოდალათაგან, რომელიც საქართველოში ბინადრობენ, დიდი ჭრელი კოდალა რიცხობრივად და მიკრო-არეალების მრავალწარმოების მხრივ, დომინირებს საქართველოში. მისი საბინადრო სტაციები ერთობ მრავალფეროვანია: ბაღები, ჭალები, დიდი და პატარა ტყეები წარმოადგენენ ამ კოდალას საყვარელ ადგილებს.

თავისი ვერტიკალური გავრცელების მხრივ, ის აღწევს სუბალპურ ზონამდე და ამ მხრივ კავკასიის კოდალათა შორის ალბათ, კონკურენტებიც არა ჰყავს. აზერბაიჯანში მე ის მინახავს ბუდობაზე 2.000 მეტრამდე სიმაღლეზე. ამიერ-კავკასიის კოდალათა დანარჩენი სახეობანი იშვიათად ბუდობენ ტყის ზონის შუათანა ზოლის ზემოთ.

ბ. ვ. სერებროვსკი აღნიშნავს, რომ ყოფილ ზაქათალის ოლქში დიდი ჭრელი კოდალა საკმაოდ ხშირად უნახავს ბუჩქნარებშიაც. მე კი პირადათ საქართველოს ორნიტოფაუნის ჩემს მიერ მრავალი წლის კვლევის მანძილზე მხოლოდ რამდენჯერმე შემხვედრია ეს კოდალა მისთვის ასეთს შეუფერებელ გარემოებაში. საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო ერთი საინტერესო მოვლენა დიდი ჭრელი კოდალას ცხოვრებიდან ამიერ-კავკასიაში. ორნიტოფაუნის მრავალი მკვლევარის მიერ, როგორც დასავლეთ ვერობაში, ისე ჩვენში, აღნიშნულია, რომ დიდს ჭრელ კოდალას აქვს თავისი განსაკუთრებული სამონადირო რაიონი, რომლის საზღვრებშიაც ის ვერ ითმენს არათუ თავის მზავას ფრინველებს, არამედ საკუთარ ასაკოვან ბარტყებსაც კი; თუ რომ მისი სამონადირო რაიონში გამოჩნდება სხვა კოდალა, ის მაშინვე ღებულობს ზომებს დაუპატიჟებელი სტუმრის განსადევნად და გაუპართავს მას ჩხუბს. ამ ფრინველის სიფხიზლე იმდენად დიდია, რომ თუ განზრახ მოვახდენთ კოდალას ტოტზე კაკუნის იმიტაციას, კოდალა უმალ გაჩნდება იმ ხესთან, საიდანაც გამოდის ხმა და იწყებს ამ ხის გულმოდგინედ დათვალიერებას, ცდილობს მისი მყუდროების დამრღვევი კონკურენტი იპოვოს. ამ მოვლენას, რომელიც ესოდენ დამახასიათებელია შუა ვერობისა და ჩრდილო აზიის მობინადრე დიდ, ჭრელ კოდალასათვის, ამიერ-კავკასიაში ადგილი არ აქვს. მე არაერთხელ მოწმე ვიყავი იმისა, რომ ორი მამალი დიდი ჭრელი კოდალა ერთდროულად და გულმოდგინედ უკაკუნებდნენ ორ მეზობელ ხეზე და არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ ერთმანეთს. მიუხედავად მრავალი ცდისა, ვერ მოვახერხე კოდალას კაკუნის იმიტაციით მომეტყუებია ეს ფრინველი. ამიერ-კავკასიაში დიდი ჭრელი კოდალას ასეთი საქციელი ჩემის აზრით აიხსნება იმით, რომ ამიერ-კავკასია მდიდარია კოდალასთვის საჭირო ნაირნაირი საკვებით. ამ დასკვნის დასამტკიცებლად მომყავს შემდეგი მოსაზრება: კოდალას მიერ თავისი „სანადირო ადგილის“ დაცვას საფუძვლად უდევს დიადი ბიოლოგიური კანონი—ბრძოლა არსებობისათვის.

საკვების რესურსების სიმცირე ფრინველის მიერ დაკავებულ უბანში, რა თქმა უნდა, აიძულებს მას მიიღოს ენერგიული ზომები კონკურენტის წინააღ-

დგე, რასაც ადგილი აქვს შუა და აღმოსავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ევროპაში საკვების სიუზუნისას-კი ასეთი კონკურენცია ზედმეტია, რასაც ადგილი აქვს ამიერ-კავკასიაში. როგორც ვიცით, დიდი ჭრელი კოდალა გვხვდება სხვადასხვა წივწივათა და სინეგოვათა საზოგადოებაში, რაც არ შეიძლება ითქვას კოდალას სხვა სახეობათა შესახებ (მაგალითად მწვანე კოდალა, შავი კოდალა).

ჩემი დაკვირვებით დიდი ჭრელი კოდალა ზოგჯერ თითქოს წინამძღოლობს ფრინველთა ასეთ საზოგადოებას და მისი წევრები ხშირად სარგებლობენ ჭრელი კოდალას ნასუფრალით. ეს ფრინველი დასავლეთ საქართველოში საგრძნობლად აზიანებს ბამბუკის ნარგავებს, კორტნის და აკეთებს მათ ლეროში მოდიდო ნახვრეტებს. ჩემის აზრით, დიდი ჭრელი კოდალას ასეთი მავნე საქციელის მთავარი და ერთად-ერთი მიზეზია—სიცარიელის ბგერა, რომელსაც გამოსცემს ბამბუკის ლერო მასზე კოდალას ნისკარტის დარტყმისას. ასეთ ბგერას კოდალა შეცდომაში შეყავს: ის დარწმუნებულია, რომ ბამბუკის ქერქის ქვეშ მრავლად მოიპოვება მისი საკბილო ხოჭოები, მათი მატლები და ამიტომაც ესოდენი გულმოადგინებით ხვრეტს ამ მცენარის ლეროს. ინსტიქტი კი, რომელმაც ასეთი შეცდომისაგან უნდა დაიცვას კოდალა, ჯერ კიდევ არ გამოუშუშავებიათ ადგილობრივ კოდალებს, ვინაიდან საქართველოში და ამიერ-კავკასიაში ბამბუკის კულტივაციის დაწყებიდან შედარებით დიდი დრო არ გასულა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი საინტერესო მოვლენა დიდი ჭრელი კოდალას ყოფაცხოვრებიდან საქართველოში. მთელი რიგი ორნიტოლოგები დასავლეთ ევროპასა და ჩვენს კავშირშიაც აღნიშნავენ, რომ ეს კოდალა დიდად დახელოვნებულია დაუკრას გამხმარ ტოტზე თავისი ნისკარტით სასიყვარულო რაკრაკი. ჩვენს მიერ საქართველოში ასეთი რამ შემჩნეული არ ყოფილა. ჭრელი კოდალას ასეთი საქციელის მიზეზი ევროპულ თანამეტომეთაგან განსხვავებით ძნელი გააოსარკვევია. მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ სერებროვსკის ცდა ახსნას ეს მოვლენა კავკასიის დიდი ჭრელი კოდალას ნისკარტის სისუსტით, საკმაოდ დამარწმუნებლად არ მიმაჩნია.

ერთ-ერთი ბრალდება, რომელსაც უყენებენ კოდალებს და მათ რიცხვში დიდ ჭრელ კოდალას, ეს არის ხეების რგოლური შემოკორტნა. მრავალწლიანი დაკვირვებების მანძილზე საქართველოს ფრინველებზე, მე არასოდეს არ შენგვედრია ხე, რომლის ირგვლივაც კოდალას რგოლი გაეკეთებინოს. ენტომოლოგი ლაზოვსკის სიტყვით, მას ასეთი დაზიანება შეხვედრია სვანეთის ტყეებში, თუმცა ძალიან იშვიათად.

ამიერ-კავკასიაში დიდი ჭრელი კოდალას საკვები ერთობ მრავალ-ფეროვანია, მაგრამ ჭარბობს ცხოველური საკვები.

მცენარეული საკვები შესდგება სხვადასხვა ხილისაგან, კენკრისაგან, ზოგჯერ ჭყინტი სიმინდისაგან. ცხოველური საკვები არანაკლებ მრავალგვარია: სხვადასხვა მწერები, მათი მატლები, ჭუბრები და კვერცხები.

მე ორჯერ ვყოფილვარ მოწამე დიდი ჭრელი კოდალას ისეთი საქციელისა, რომელიც სახელს უტეხავს მას, როგორც ხის ნარგავთა მცველს. ლაგოდების ნაკრძალში ჩემათ მივებარე საშინლად აღელვებულ ფრინველთა



საზოგადოებას და დაეინახე, რომ მიუხედავად მათი უსაზღვრო პროტესტისა, კოდალამ აულელებლად ამოიღო ბუდიდან უკვე შებუმბლული ბარტყი მატყისა, ხემატლიისა, გაუტეხა მას თავი და შეექცა. მეორე მზავს შემთხვევას ჰქონდა ადგილი დასავლეთ საქართველოში: კოდალამ ჩემს თვალწინ გაანადგურა სკვინ-ჩას კვერცხები.

#### 56. კავკასიის შუალედი კოდალა

##### *Dendrocopus medius caucasicus* Bianchi.

ეს კოდალა ყველგან გვხვდება პირაქეთ ხეგსურეთში დიდ კოდალასთან ერთად, მაგრამ გაცილებით უფრო იშვიათად. ჩემი დაკვირვებით, დიდი ჭრელი კოდალას და მის შორის არ არსებობს ანტაგონიზმი, რადგანაც არა ერთხელ მინახავს, როდესაც ორივე კოდალა დამშვიდებით მუშაობდნენ ერთდამივე ასწლოვან წიფელზე. უნდა ვიფიქროთ, რომ დიდი ჭრელი კოდალა ვერ ხედავს მასში კონკურენტს და ამის გამო არც აქცევს მას სათანადო ყურადღებას.

#### 57. პატარა ჭრელი კოდალა

##### *Xylocopus minor quadrifasciatus* Radde.

პატარა კოდალა ხშირად გვხვდება წიფწივათა და სინეგოგათა საზოგადოებაში.

მენზბირს კავკასიაში მისი ვერტიკალური გავრცელების საზღვრად მიაჩნია 3.000 ფუტი, ვილკონსკის-კი უფრო ნაკლები, სულ 1.000 ფუტი. ჩემი დაკვირვებით, საქართველოში ის მიეკუთვნება საკმაოდ იშვიათ ფრინველთა რიცხვს. არა დამარწმუნებელი იქნებოდა, რომ ამ ფრინველის სიიშვიათე აგვეხსნა სხვა კოდალებთან შედარებით მისი მცირე ზომით და ჩემი ცხოვრებით. ალტუმის აზრით, პალეარქტიკის კოდალათა შორის ეს სახეობა ყველაზე სასარგებლოა.

#### 58. მწვანე კოდალა

##### *Gecinus viridis saundersi* Tacz.

კოდალათა შორის მწვანე კოდალა, გარდა დიდი, ჭრელი კოდალასი, ყველაზე ჩვეულებრივია.

პირაქეთ ხეგსურეთში ის ტყის საზღვრებში გვხვდება მის სხვადასხვა უბნებში, მაგრამ განსაკუთრებით ხშირად იმ უბნებში, რომლებშიც ჭარბობს ფუტურო ხეები. ტყის ზედა ზონაში თითქმის სუბალპურ საზღვარზე მხოლოდ ერთხელ შევხვდი. მწვანე კოდალა ჩემის აზრით ყველა კოდალებზე უფრო ფრთხილია, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც მის სიმშვიდეს ხშირად არღვევენ. ადამიანის მიახლოებისას იმ ხესთან, რომელზედაც ის კორტნის, ეს კოდალა სწრაფად გადადის ღეროს მოპირდაპირე მხარეზე, საიდანაც ხშირად და ფრთხილად იცქირება ხის ტანიდან თავის ოდნავი გამოყოფით და შემდეგ პირველ შეძლებისთანავე შეუმჩნეველად, უხმოდ გაფრინდება. გაივლის





რა საკმაო მანძილს, ხმამალა დაიკვილებს თითქოს-და ამით სიხარულს, რომ მან მოატყუა თავის მტერი. უღრან ტყეში ძნელია მისი ხელთ გდება, რადგანაც აქ ის მხოლოდ გესმის და ვერ ხედავ.

**59. კვირიონი**

*Merops apiaster* L.

ეს ფრინველი არა ერთხელ შემხვედრია პირაქეთ ხევსურეთში, როგორც ტყის, ისე ალპურ ზონებში. სუბალპური და ალპური რაიონი მათ იზიდავს იმით, რომ აქ ბლომად მოიპოება ფუტკარი, რომელიც, თაფლის დაგროვების მიზნით, თავს დასტრიალებს ადგილობრივ ყვავილოვან მცენარეებს; როდესაც ფუტკრები მდიდარი ნადავლით ბრუნდებიან სუბალპურ საძოვრებიდან, ისინი თავს ესხმიან მათ და ასობით და ათასობით იჭერენ.

**60. გუგული**

*Cuculus canorus* L.

გუგული იშვიათია ხევსურეთში. მას მე შევხვდი მხოლოდ პირაქეთ ხევსურეთში და ერთხელ ალპურ საძოვრებზე. მისი იშვიათობა ხევსურეთში შეიძლება აიხსნას იმითაც, რომ, გამრავლების პერიოდის გარეშე, ეს ფრინველი ძალიან ჩუმია და მასთან ფრთხილი. ადგილობრივი მცხოვრებთა მოწმობით, გაზაფხულზე და ივნისშიაც პირაქეთ ხევსურეთის ტყეებში გაისმის მისი ხმა.

**61. ქვლანი**

*Colymba oenas oenas* L.

ჩემდა მოულოდნელად, ეს ფრინველი საკმარისად ხშირია ხევსურეთში. როგორც ყველგან ამიერ-კავკასიაში, ის ბუდობს ასწლოვან წიფლის ტყეებში. ქედანი ორჯერ შემხვდა სუბალპურ ზონაშიც. ადგილობრივ მონადირეებისათვის ეს ერთ ერთი და მასთან საინტერესო ობიექტია. მთავარ მის საკვებს შეადგენენ წიწიბო და აგრეთვე ხორბლეულობა. მოპოებული ეკზემპლიარები არაფრით არ განსხვავდებოდნენ ნომინალურ ფორმისაგან.

**62. მუქირი**

*Cypselus apus* susp.

პირაქეთ ხევსურეთში, ტყის და ალპურ ზონებში ეს ფრინველი მხედვ-ბოდა, მაგრამ არც ერთხელ არ მინახავს ის პირაქეთ ხევსურეთში, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ხევსურეთის ეს ნაწილი თავისი კლდიანი ლანდშაფტით ერთობ შეეფარდება მეკირიისათვის საჭირო ადგილებს. ამის გამო, თუ მისი



აქ არ მოპოვებას შემთხვევითი ხასიათი არ აქვს, უნდა ვიგულისხმოთ, მიზეზია მისთვის საჭირო მწერების სიმცირე, განსაკუთრებით, ისეთების, რომლებიც ჰაერის ხშირი სტუმრები არიან. კავკასიის ორნიტოფაუნის ზოგიერთი მკვლევართა რწმუნების საწინააღმდეგოდ, ეს ფრინველი ამიერკავკასიაში ბინადრობს, როგორც მაღალ მთებში (ალპურ ზონამდე) ისე დაბლობებშიც, სადაც ის იკეთებს ბუდეს სხვადასხვა ქვის შენობებში, უპირატესობას კი აძლევს ეკლესიების და ციხის ნანგრევებს.

### 63. ზარნაშო

*Bubo bubo interpositus* Rotsch. et Hart.

ხევსურეთში რამოდენიმეჯერ მოვისმინე ამ მტაცებელ ფრინველის დამახასიათებელი ხარხარი, რომელიც ღამის წყვილადში, დაბურულ ასწლოვან ტყეში, თავზარს სცემს ცრუმორწმუნე ადამიანს. ადგილობრივ მცხოვრებთა რწმუნების თანახმად, თივის თიბვის დროს ზარნაშო სუბალპურ ზონაშიაც მოიპოვება. უნდა ვიფიქროთ, თივის დათიბვისას, ის ნადირობს საკმარისი რაოდენობით აქ მობინადრე მღრღნელებზე, რომლებიც თავშესაფარს მოკლებულნი, ადვილად ხდებიან ამ მტაცებლის მსხვერპლი. ეს ცნობა სინამდვილეს შეეფარდება.

### 64. ტყის ბუ

*Syrnium aluco* L.

ტყის ბუ ტყის ტიპური მცხოვრებია. ვერ ვეთანხმები პროფ. ხოლოდკოვსკის იმის შესახებ, რომ ყირიმში და კავკასიაში ეს ფრინველი ბინადრობს მხოლოდ მთიან ტყეებში და დროგამოშვებით, განსაკუთრებით ზამთარში, ეშვება ბარში. პირადად მე ის არაერთხელ მინახავს ამიერ-კავკასიის სხვადასხვა რაიონებში, ბარში, დიდ ტყეებში, რომელსაც თან ახლავს ხშირი ქვეტყე. ხევსურეთში ბუ რამოდენიმეჯერ შეხვედრია სქელ ქვეტყეში. ამგვარ ადგილას ის ძალიან ახლო უშვებს ადამიანს. საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ დღისით ის ერიდება ფრენას, რადგან იცის, რომ მისი მოძრაობა შეიძლება ადვილად შემჩნეული იყოს რომელმე დღის ფრინველის მიერ, რომელიც აუცილებლივ ასტეხს განგაშს, ეს კი გამოიწვევს ალიაქოთს ადგილობრივ ფრინველთა შორის, რომლებიც თავს დაესხმიან მას.

### 65. ოჟოჰი

*Upupa epops* L.

პირაქეთ ხევსურეთში ოფოფი საკმარისად ხშირია სხვადასხვა სტაციებში. პირიქეთში ის არ მინახავს, თუმცა არ შეიძლება უარყოფა მისი აქ არსებობისა. ოფოფი გაუბრის მაღალ, მთიან ადგილებს, მაგრამ უმნიშვნელო რიც-



ზეთ აქაც ვხვდებით, როგორც მოზუდარს. ოფოფი ბარის ფრინველი ირჩევს თავის საბინადრო ადგილებად ბუჩქნარით იშვიათად დაფარულს ველებს. ფრინველი იშვიათად გვხვდება, როგორც სუბალპურ ისე ალპურ ზონაში. მაგალითად 1933 წელს, ზემო სვანეთიდან დაბრუნებისას, მე ის 26 აგვისტოს შემხვდა ლატბარის უღელტეხილზე.

**66. გარეული მტრედი**

*Columba livia livia L.*

გარეული მტრედი, მტრედების ოჯახის სხვა წარმომადგენელთა განსხვავებით, გაურბის ტყეს. ის ბინადრობს მთიან, უტყეო სალი კლდეებით მდიდარ ადგილებში. არ გაურბის ის დასახლებულ ადგილებს, თუ კი იქ მოიპოვებიან ქვითკირის შენობები. ბუდეს იკეთებს კლდის ნაპრალებში, ქვის შენობების ჩაღრმავებებში. გავრცელებულია მთელ ხევისურეთში, მაგრამ უფრო მეტად პირიქეთ ხევისურეთში, სადაც მოიპოვება მისთვის ხელსაყრელი ეკოლოგიური პირობები. სოფ. არდოტში მოკლულ ეკზემპლიარებს განგურის დაწყების ნიშნები ემჩნეოდათ.

**67. კავკასიის როჭო**

*Lyrurus mlkosiewiczzi Tacz.*

ეს ფრინველი, როგორც კავკასიის ორნიტოფაუნის ენდემური ფორმა, დიდად საყურადღებოა. სამწუხაროდ მისი ბიოლოგია ნაკლებად შესწავლილია. ხევისურეთში, როგორც ყველგან კავკასიაში, ის ბინადრობს ტყის და ალპურ ზონათა საზღვრებზე. უფრო მეტად ეტანება ტყის ზედა ნაწილს. ალპურ საძოვრებზე გამოდის ტყიდან დილაობით და საღამომით საჭმელის მოსაპოვებლათ. მისი საჭმელი მრავალნაირია: მაცვალის, მოცვის, მარწყვის ნაყოფი, სხვადასხვა ბალახეულ მცენარის ფოთოლი და თესლი, დეკას და არყის ხის კვირტები, აგრეთვე მრავალი სხვადასხვა მწერი და მათი მატლები. როგორც შემჩნეულია, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მცენარე Polygonum-ის თესლს. ადგილობრივი მცხოვრებლების მოწმობით კვერცხების დებას იწყებენ მაისის დასაწყისში, იშვიათად უფრო ადრე; ახლად გამოჩეკილ შურთხის წიწილებს პოულობენ ივნისის პირველ რიცხვებში. ეს ცნობები ადასტურებენ კავკასიის ორნიტოფაუნის მკვლევართა ასეთივე ცნობებს. მინდა აღვნიშნო ერთი საინტერესო შემთხვევა როჭოს კვერცხების მოპოებისა. 1934 წელს ზემოსვანეთში, სოფ. იჯაჩის ზემოთ მდებარე ალპურ საძოვრებზე, 15/VIII ვიპოვე როჭოს 10 სალი კვერცხი, რომლებშიც ჩანასახი ჯერ კიდევ განვითარებული არ იყო. რადგანაც კავკასიის ორნიტოფაუნის არცერთი მკვლევარი არ აღნიშნავს, რომ კავკასიის როჭო ორჯერ წელიწადის განმავლობაში ჩეკს კვერცხებს, დაგვრჩენია მხოლოდ ერთი მოსაზრება, რომ ეს იყო დაგვიანებული და არა ჩვეულებრივი კვერცხის დება. 20/VIII მოკლული ახალგაზრდა როჭოები სიდიდით უდრიდნენ ვნოლს. როჭო საქმარისად დიდი რიცხვით მოიპოვება ხევისურეთში.

## შ უ რ თ ხ ი

*Tetraogallus caucasicus* Pall.

შურთხი თავისი საბინადრო ადგილებად ირჩევს მაღალ მთებს. მას ხშირად ვპოულობთ მარადი თოვლის მოსაზღვრე ადგილებში. ზამთარში კი შეწუხებული მკაცრი სიცივით ჩამოდის უფრო ქვემოთ ტყის ზონის ზედა საზღვრამდე. მის საყვარელ საჭმელს შეადგენს *Potentilla*-ს ყვავილები და ფოთლები.

შურთხები ცხოვრობენ წყვილ-წყვილად. ძლიერ ფრთხილი და შორს მხედველი, ის იშვიათად უვარდება ადამიანს ხელში. მწყემსების მოწმობით კვერცხებზე მჯდომი დედალი შურთხი ახლოს უშვებს ადამიანს, ამის გამო ხშირად ის ბუდიდან ავდებულის, როდესაც მიბაძავს დაპრილს, ადვილად მწყემსის მიერ გასროლილ კომბალის მსხვერპლი ხდება. შურთხი საკმარისი რიცხვით მოიპოვება ხევსურეთში. ამხ. გიორგი ჩხაიძემ სოფ. არდოტის მიდამოებში იპოვა ამ ფრინველის რამდენიმე გუნდი. სამწუხაროდ შურთხის ყოფა-ცხოვრება კავკასიის პირობებში ნაკლებად არის შესწავლილი.

## 69. კავკასიის კაკაბი

*Alectoris kakelik caucasica* sushk.

კაკაბის პატარა გუნდები რამოდენიმეჯერ შემხვდა სუბალპურ ზონაში მთის ისეთ ჩამოკვეთილ ფერდობზე, რომ შეუძლებელი იყო მათი მოპოება. მათზე არავინ ნადირობს, რადგანაც ადგილობრივი მონადირეები მსხვილი ნადირის მოტრფიალე არიან. 11/VIII სოფ. შატელში ადგილობრივი სკოლის მოწაფეებმა მომიყვანეს კაკაბის ორი წიწილი, რომლებიც თავისი სიდიდით ახლად გამოჩეკილ ქათმის წიწილს უდრიდნენ. სოფ. ბარისახოს მიდამოებში 7/VIII ნახული ახალგაზრდა კაკაბები საკმარისად მოზრდილი იყვნენ და კარგად ფრენდნენ. თითქმის ერთიდაიმავე დროს ნახული კაკაბის წიწილების ოდენობის ასეთი განსხვავება ბადებს აზრს, რომ კაკაბი ხევსურეთში შესაძლოა ორჯერ ჩეკს წიწილებს.

## 70. მ წ უ ხ რ ი

*Coturnix coturnix coturnix* L.

თუმცა მწყერი ველების ფრინველია და გაურბის მაღალ მთიან ადგილებს, მაგრამ უმნიშვნელო რაოდენობით ბუდობს სუბალპურ ზონაშიც ხევსურეთში. რამოდენიმეჯერ შევხვდი.

## 71. ღიღი ძვე-პარფიზი

*Aquila clanga clanga* Pall.

ჩემდა მოულოდნელად, ამ ფრინველს იშვიათად ვხვდებოდი ხევსურეთში და განსაკუთრებით მის პირიქეთ ნაწილში. აქ ტყეში რამოდენიმეჯერ მოვისმინე მისი დამახასიათებელი ტიკინი. ამ მტაცებლის ხელში ჩავდება ვერ მო-

ხერხდა მისი ზედმეტი სიფრთხილის გამო. პირიქეთ ხევსურეთში მხოლოდ ერთხელ მოვკარი თვალი, როდესაც ის ნადავლით ბრჭყალებში მიეშურებოდა თავისი ბუდისაკენ. შეიძლება ითქვას, რომ ეკოლოგიური პირობები აქ ამ ფრინველისათვის არა ხელსაყრელია.

## 72. კავკასიის კაკაჩა

*Buteo buteo menetriesi* Bogd.

ხევსურეთში ეს ფრინველი ყველა მტაცებელ ფრინველზე უფრო ხშირია. მას ვხვდებით, როგორც სუბალპურ, ისე ტყის ზონაში, ძაგრამ ამ უკანასკნელში უფრო ხშირად. პირაქეთ ხევსურეთში არა ერთხელ შემხვედრია. აქ საკმარისად მოიპოვებიან მისთვის საჭირო საბუდაო ადგილები. ივლისის ბოლოში ნახული ახალგაზრდა ფრინველები, თითქმის არაფრით არ განსხვავდებოდნენ თავისი მშობლებიდან, ხოლო მათი შეფერილობა იყო ოდნავ ღია. ამ ფრინველის მთავარ საკვებს ივლისსა და ნაწილობრივ აგვისტოში, წარმოადგენენ სხვადასხვა ხვლიკები და მწერები. ტყეებში ის აგრეთვე ნადირობს მორღნელებზედაც. ყანების მომკის შემდეგ, ეს ფრინველი გატაცებით ნადირობს მინდრულეებზე და რუხ ზაზუნებზე.

სოფელ ლიკოკის ერთმა მცხოვრებმა მიაჩნო ამ ფრინველის შესახებ შემდეგი: მან ბუდიდან ამოიყვანა კიდევ უსუსური ბოლობეჭედას ბარტყი და აღზარდა ის. ბარტყი მთელი დღეობით იჯდა სახლის ახლო ღობეზე და მხოლოდ პაპანაქება სიცხის დროს ის თავს შველოდა იქავე, მახლობლად ტყეში. კარგად იცნობდა თავის მეკობარს და აგრეთვე მის ბავშვებს; როგორც კი დაინახავდა მათ, იწყებდა კიკინს და ამით თხოულობდა საჭმელს. მას უმეტეს შემთხვევაში აჭმევდნენ ჭიაყელებს, რომლებიც აქვე მოიპოვებოდა მრავლად საკონლის ნეხში. როდესაც ბარტყი წამოიზარდა, ის ხშირად მიფრინავდა სანადიროდ ახლო მდებარე ტყეში, მაგრამ შუადღისას და საღამოთი ყოველთვის ბრუნდებოდა თავის ძველ ბინაზე. თუ კი მას აქ უმასპინძლებოდნენ მისთვის საყვარელი ჭიაყელებით, ის ნებას აძლევდა თავის ყოფილ პატრონს ხელი შეეხო მისთვის. ასეთივე შემთხვევების შესახებ მე მიაჩნეს სხვა სოფელელებმაც. ამგვარად, ეს კიდევ ერთი ფაქტია იმისა, რომ მტაცებელი ფრინველები ადვილად ერევიან ადამიანს.

## 73. ძ მ რ ი

*Astur gentilis caucasicus* Kleinschm.

ქორი არც ისე იშვიათია ხევსურეთში; რამოდენიმეჯერ მე შემხვედრია ის სოფ. ბარისახოს დასასვენებელ სახლის სიახლოვეს, სადაც ეს მტაცებელი თავს ეხსნოდა დიასახლისის ქათმებს. თანახმად მისი განცხადებისა ამ მტაცებელმა



ქართული  
საზოგადოებრივი  
მეცნიერებათა  
აკადემია

შედარებით მოკლე დროის განმავლობაში მოიტაცა ათზე მეტი ქართველი, ყოველთვის ჩნდებოდა მოულოდნელად და სხვადასხვა დროს, ამის გამო, მიუხედავად ჩემი ცდისა, მე ვერც ერთხელ ვერ შევქელი თოფის გასროლა. ერთხელ ტყეში უეცრად წავაწყდი ქორს, როდესაც ის შეექცეოდა მის მიერ დაჭერილ საკმარისად დიდ ბაჭიას, რომელსაც შექმული ჰქონდა უკანა ფეხების კუნთები.

ხევსურეთის ბევრ სოფელში გამიგონია საჩივარი ამ მტაცებელზე და ვფიქრობ ეს ჩივილი არ არის გადამეტებული. ეკოლოგიური პირობები ხელს უწყობენ ქორს ადვილად ჩაიგდოს ხელში შინაური ფრინველები. ეჭვს გარეშეა, რომ ის საკმარის დიდ ზიანს აყენებს ისედაც დაბეჩავებულ მექათამეობას. ეს მტაცებელი არ ზოგავს ავრეთვე გარეულ ფრინველებსაც: კაკბები, როჭოები, კოდალები და შაშვები ხშირი მსხვერპლია მისი.

მე ვიყავი მოწამე ამ მტაცებელის ნადირობისა კოდალაზე; ტყეში მოგზაურობის დროს, მომესმა ზედმეტად შეშინებული შავი კოდალას ხმა. მივედი რა იმ ადგილას, საიდანაც ისმოდა ეს ხმაურობა, დავინახე, რომ ქორი დაფრინავდა, უკეთ რომ ვთქვამთ გარს უვლიდა ასწლოვან წიფელას ხეს და ცდილობდა ხელში ჩაეგდო შავი კოდალა, რომელიც რაც შეეძლო სისწრაფით ცოცვით გარს უვლიდა წიფელას, რადგანაც კარგად იცოდა, რომ ფრენით თავს ვერ დაახწევდა თავისი უფრო სწრაფად მფრენავი მტრისაგან. ყოველთვის, როდესაც ქორი უახლოვდებოდა მას, ის ასტეხდა საშინელ ჩხავილს, თითქოს სცდილობდა მისი საშვალეებით შეეშინებია მტარვალი. ეს ბრძოლა არსებობისათვის გაგრძელდა საკმარისად დიდხანს და როდესაც ქორი დარწმუნდა, რომ მისი ცდა კოდალას დაჭერისა ამაოა, — გაფრინდა. ამგვარად ამ უთანაბრო ბრძოლაში კოდალა გამოვიდა გამარჯვებული.

#### 74. მიმინო

*Accipiter nisus nisus* L.

ეს მტაცებელი ბუდობს ხევსურეთის ტყის ზონაში. როგორც მე, ისე ჩემ თანამშრომლებს მიმინო იშვიათად შეგვხვედრია. მისი გარჩევა კი არც ისე ძნელია. ამის გამო შეიძლება ჩავთვალოთ ის იშვიათ ფრინველად ხევსურეთისათვის, მხოლოდ ერთი შენიშვნით, რომ მიმინო პირაქეთ ხევსურეთში უფრო ხშირია, ვიდრე პირიქეთ ხევსურეთში, რაც აიხსნება იმით, რომ პირაქეთ ხევსურეთში სხვადასხვა წვრილი ფრინველები ბლომად მოიპოვებიან. მიმინოზე ჩივილი ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან მე არ გამიგონია. ამ ფრინველის სანადირო ობიექტებს უფრო პატარა და შუაზომის ბელურასნაირები შეადგენენ.

75. ა ლ ა ლ ი

*Hypotriorchis subbuteo L.*

გამორკვეულ რაიონში ალალი იშვიათი ფრინველია. ჩემი დაკვირვებით ეს მტაცებელი ფრინველი საქართველოში, როგორც ყველგან ამიერ-კავკასიაში, თავისი საბუდარ ადგილად ირჩევს ტყით დაფარულ მთებს. სანადიროდ ის ხშირად მიდის ალპურ და სუბალპურ ზონაში, სადაც მას შესაძლებლობა ეძლევა გამოიჩინოს მთელი თავისი სიმარდე და სისწრაფე, რომელიც ასე დამახასიათებელია ამ ფრინველისათვის, აქ კი არც ერთი ფრინველი, თუნდაც თვით მერცხალი ვერ გაექცევა მის ბასრ ბრწყალებს. ნადირობის დროს ალალი ხშირად დიდ თავხედობას იჩენს, რის მოწამეც ერთხელ ვიყავი მე.

პირაქეთ ხევესურეთის ალპურ ზონაში, საჩალის მთის ფერდობებზე, მას შევხვდი შემდეგ პირობებში: მე ვეპარებოდი თავწითელებს, ამ დროს მომესმა ჩემს უკან ქარიშხალის მზგავსი შუილი და ამავე დროს რაღაცა დაგარდა ჩემ ფეხქვეშ. თითქმის ამავე დროს საკმარისად მოზრდილმა ფრინველმა ელვასავით გაიქროლა ჩემს თავზე. კინაღამ შემეხო და შემდეგ კი ატრიალდა ზემოდ და იწყო ჰაერში ასვლა. მე ვიცანი ალალი. ჩემ ქვეშ დავარდნილი არსება გამოცოცხლდა. ეს იყო მთის ტოროლა, რომელმაც მტაცებლიდან შველის მიზნით, შესაფარა თავი ჩემს ფეხებს. ავიღე ის ხელში. შეშინებული ის თითქმის არ ინძრეოდა. ასეთ მდგომარეობაში ტოროლამ დაჰყო რამდენიმე წუთი, შემდეგ მოვიდა რა გონზე, ასწია ფრთები და გაფრინდა.

ამიერ-კავკასიაში, დაბლობებში, ჩემი დაკვირვებების თანახმად, მას ვხვდებით მხოლოდ ზამთარში. კოლექციაში არსებული ეკზემპლარი მოპოებული იყო სოფ. არღოთის ახლო 16. VII, იმ დროს, როდესაც ის, მიუხედავად ჩემი და თანამშრომლების ხმაურისა, შემოიჯდა ახლო მდებარე ქვაზე და იწყო თავისი თათით ნისკარტის წმენდა. ეს იქნას მოწმობს, რომ ალალი იქ, სადაც ადამიანი მას არ სდევნის, ნაკლებად ერიდება ადამიანს.

76. შიპარდენი

*Falco peregrinus caucasicus Klein.*

შევარდენს შევხვდი რამოდენიმეჯერ ხევესურეთში ალპურ ზონაში, როდესაც ის საოცარი სისწრაფით თავისი მძლავრი ფრთების საშვალეებით მისრიალებდა ალპური საძოვრების ზედაპირზე და ეძებდა თავის საკბილოს. ერთხელ მასთან ძალიან ახლო მივედი იმ დროს, როდესაც ის კარგი საუზმის შემდეგ, რაზედაც მოწმობდნენ იქვე დაფანტული კაკაბის ნაკრტენები, კლდებზე იჯდა და ნებივრობდა. მე შევძელი დამეთვალეირებია ახლოს, რამაც დამარწმუნა, რომ ის ძალიან ემზგავსებოდა ტიპურ *per. caucasicus*.

78. ს ბ ა ბ ი

*Aegyptius monachus L.*

სვაფი მონათესავე ორბისაგან განსხვავებით, თავის საბინადრო და საბუდარ ადგილად ირჩევს ტყიან ადგილებს. კავკასიაში, როგორც ევროპის ბევრ



ადგილას, ცხოვრობს მალალ მთებში და არ ეწევა კოლონიალურ ყოფას ცხოვრობს. ხევესურეთში ის შემხვედრია იშვიათად ტყის ზონის ზედა ნაპირში სუბალპურ მინდვრების საზღვარზე. ძნელია წარმოდგენა იმისა, თუ რამდენად ძლიერია და მასთან თავხედი ეს მტაცებელი. თავისი მძლავრი ნისკარტის საშუალებით ის ადვილად ჭრის კამბეჩის ტყავსაც. მისი თავხედობის საილუსტრაციოდ მე მინდა მოვიყვანო ერთი შემთხვევა. ფასანაურიდან მოხვედრე მომიყვანა ამ ფრინველის ბარტყი, რომელიც გამოვზარდე. ის თავისუფლად დასეირნობდა საჭ. მუხუჟუმის ეზოში. მაგრამ შემდეგში, როდესაც გახდა ასაკოვანი, გამოიჩინა შეუგუებელი ხასიათი და ამავე დროს ცდილობდა თავს დასხმოდა ეზოში გამვლელებს. განსაკუთრებით მას სძულდა ქალები. აგრეთვე სძულდა კატები და ძაღლები, რომლებსაც ყოველთვის სდევნიდა და ხშირად ბრძოლიდან გამარჯვებული გამოდიოდა. ერთხელ მე მოწამე ვიყავი მისი ბრძოლისა უზარმაზარი მეცხვარეს ძაღლთან, რომელიც თავის პატრონთან ერთად შემოვიდა მუხუჟუმის ეზოში. შეამჩნია რა ძაღლი, ჩემმა სვავმა, დალუნა თავი, ოდნავ გამართა კისერი და ხტუნვით გასწია დაუბატიყებელ სტუმრისაკენ. მივიდა რა ახლო ძაღლთან, გაიმართა მთელ თავის სიმაღლეზე, გაშალა ფრთები და შეუტია ძაღლს, რომელიც თუმცა გაკვირვებული იყო ასეთი თავხედობით, მაგრამ მაინც არ უბასუხებდა. მძლავრი ნისკარტის დაკვრით წელში, სვავმა აიძულა ძაღლი ეფიქრა თავის დაცვაზე. ძაღლი მიბრუნდა სვავისაკენ, აყარა ბალანი, უჩვენა თავისი ბასრი კბილები და იწყო ღრენა. მაგრამ სვავი არ შეუშინდა ამას, ფარის მსგავსად გაშალა ფრთა და ხელახლა შეუტია ძაღლს და მეორეჯერ ჩაჰკრა ნისკარტი. მოთმინებიდან გამოსული ძაღლი და მასთან გაბრაზებული ტკივილით, გადავიდა შეტევაზე, მაგრამ ყოველთვის, როდესაც ის ცდილობდა ეკბინა სვავისათვის, ეს უკანასკნელი თავს იცავდა გაშლილი ფრთით და მძლავრი ფეხის დაკვრით, ეს ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელდა. ძაღლი დარწმუნდა რა, რომ ფრინველი სჯობნიდა მას, დასისხლიანებული, კუდამოძუებული, იძულებული იყო დაეხწია თავი გაქცევით.

მეორე შემთხვევა იმავე სვავის ცხოვრებიდან კიდევ უფრო კარგად მოწმობს ამ ფრინველის თავხედობაზე: ერთხელ მუხუჟუმის ეზოში მუშაობდა რამდენიმე მეკურტნე მუშა. ერთი მათგანი შეეცადა გაელიზიანებია ჯაჭვით დაბმული სვავი. მიუხედავად ჩემი გაფრთხილებისა ის მაინც მივიდა ამ ფრინველთან და ქუდით იწყო მისი გალიზიანება. სვავმა წაართვა ქუდი და დაუწყო გლეჯა. მუშა შეეცადა კურტნის საშვალებით გადაერჩინა თავისი ქუდი, მაგრამ კურტანსაც ქუდის ბედი ეწვია. სვავმა კურტანიც გამოსტაცა ხელიდან და იწყო მისი გლეჯა. მხოლოდ იქვე მყოფ მუხუჟუმის თანამშრომელთა დახმარებით მეკურტნემ წაართვა სვავს კურტანი.

## 78. მ ზ ბ ი

### *Gyps fulvus fulvus* Habl.

ორბი სვავზე უფრო ხშირია. ის ბინადრობს მალალ, პირჩამოკვეთილ კლდეებზე, სადაც სალამოობით გროვდებიან რამოდენიმე ათეული ეკზემპლიარი ერთად. აქ ისინი სხედან ერთმანეთთან ახლო და ამით იცავენ თავის თავს სი-





ცივისაგან. მთებში ზაფხულობითაც ისეთი სიცივე არის ხოლმე დაიძულვებს ადამიანს ჩაიცვას ქურჭი.

ორბი, თავისი მოძრაობის დროს მიწაზე, იმდენად ტლანქია, რომ ძალაუნებურად იწვევს ღიმილს, სამაგიეროდ ფრენის დროს ის ლამაზია. განსაკვირვებელი სიმარდით და სიმჩატიტ მისრიალებს ის მთების გრეხილებზე და თანდათანობით იწყებს სვლას მაღლა და მასთან აკეთებს დიდ წრეებს. ორბი თავის ფრენის დროს, თითქმის არ ანძრევს ფრთებს. ცხოვრობს ის მაღლა მთებში, მაგრამ მას ჩვენ ვხვდებით ხშირად ბარში, სადაც ის პოულობს საკვებ ლეშს. თავისი მძლავრი ფრთების მეშვეობით ის ადვილად სძლევს რამოდენიმე ასეული კილომეტრის მანძილს. როგორც ყველა გრიფების, ისე ორბის გაუმადლობა, უსაზღვროა. ხშირად ორბი იმდენად გაძლება ლეშით, რომ იქვე გაინართხება ფრთა გაშლილი და პირგაღებული მიწაზე.

წასულ იმპერიალისტური ომის დროს ოსმალეთში მე მომიხდა ერთი სოფლიდან მეორე სოფელში გადასვლა. ერთ ადგილას, გზის პირად, შევამჩნიე უზარმაზარი ძკვდარი აქლემი. დაახლოვებით, შვიდი საათის შემდეგ, როდესაც მე ვბრუნდებოდი იმავე გზით, აქლემის მაგივრად დამხვდა მისი ძვლები. ამ ადგილის საახლოვეს იჯდნენ რამდენიმე ათეული მძღარი ორბი. ჩემი მიახლოებისას, მათ ძლივს შესძლეს აფრენა.

**ბატკანჭამია**

*Gypaëtus barbatus L.*

ბატკანჭამია უპირატესობას აძლევს მაღალ მთებს, თუმცა იშვიათად ის ესტუმრება ხოლმე დაბლობებსაც. ბ რ ე მ ის და პ რ ო ფ. ხ ო ლ ო დ კ ო ვ ს კ ის მტკიცების თანახმად, ბატკანჭამია, ვითომცდა ბუდობს კავკასიაში 300 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონედან. ასეთი ცნობები არ აქვს მოყვანილი კავკასიის არც ერთ ორნიტოფაუნის მკვლევარს, მაგრამ მე მაქვს ცნობები იმის შესახებ, რომ ზამთარში ეს ფრინველი ესტუმრება ხოლმე შირაქის ველსაც, სადაც ამ დროს მოიპოვება მრავალრიცხოვანი ცხვრის ფარები. ხევსურეთში შემხვდა ეს მძლავრი მტაცებელი ფრინველი მხოლოდ რამოდენიმეჯერ და ყოველთვის ცალკეული ეგზემპლიარით. ასეთივე იშვიათი არის ის ზემო სვანეთში და აფხაზეთის მთებში. ეს არ ითქმის თუშეთისათვის, სადაც მე თითქმის ყოველდღიურად ვხვდებოდი ამ მტაცებელს ჯგუფურად, რამდენიმე ეგზემპლიარიდან შემდგარ გუნდებს. ისინი ღღეში ორჯერ ათვალეგრებდნენ თავის სანადირო რაიონებს. ადგილობრივი მცხოვრებლების რწმუნებით, ბატკანჭამია არ ესხმის თავს არც შინაურ და არც გარეულ მოზრდილ ცხოველებს, თუქცა ჩემის აზრით ეს ცნობა ეჭვის ქვეშ უნდა დაისვას.

**ძ უ ძ მ ნ ო ვ რ ა ე ბ ი**

**ც ი ყ ვ ი**

*Glis glis caspicus Sat.*

ციყვი თირინასთან განსხვავებით გავრცელებულია მთელ ხევსურეთში, ყველგან, სადაც კი მოიპოვება ამ მორღნელისათვის შესაფერისი საცხოვრებელი პირობები. ამიერ-კავკასიაში მისი საყვარელი ადგილ-საცხოვრებელია წიფლის ტყეები, სადაც ის ბუნაგს იკეთებს ფულუროებში ან სოროებს ფესვებს შორის.



ეს მღრღნელი ღამის ცხოველია. დღისით ღრმით სძინავს, მხოლოდ შებინდდება თუ არა იწყებს საჭმლის მოპოვებას, რის გამოც მოუსვენრად ცოცავს ხეობებში ამათთანავე ერთად ხშირად წრიბინებს.


1936 წელს სსრ მეც. აკადემიის საქართვე. ფოლ. ექსპედიციის წევრები რომელნიც იძულებულნი იყვნენ ღამე გაეთათ ლაგოდეხის ნაკრძალის უღრან ტყეში, შემომხსდარნი წიფელის ქვეშ გაჩაღებულ კოცონის ირგვლივ, შემფოთებულნი იყვნენ იმით, რომ მთელი ღამის განმავლობაში განიცდიდნენ იღვშალ ბომბარდირებას წიფლის წიწიბოთი, რომელნიც ცვივოდნენ ექსპედიციის ხან ერთ, ხან მეორე თანამშრომელის თავზე. ამასთანავე გაისმოდა წრიბინი. პირაქეთ ხეესურეთის სხვადასხვა ადგილებში არა ერთხელ შემხვედრია წიწიბოს ქერქია გროვა. ამაზე დამყარებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ციყვი ამ ადგილებში საქმაოთ ჩვეულებრივი ცხოველია, რისი თქმაც არ შეიძლება პირიქეთ ხეესურეთის შესახებ. ეს რა თქმა უნდა აიხსნება პირიქეთ ხეესურეთის ბუნებრივი პირობებით, რომელიც შედარებით ღარიბია ამ ცხოველისათვის გამოსადეგი საკვები მასალით. ზამთრის ძილის ხანგრძლივობა ამიერ-კავკასიაში დამოკიდებულია ზღვის დონედან იმ ადგილის სიმაღლესთან, სადაც ცხოვრობს ციყვი. საინტერესოა, რომ ეს ცხოველი ზამთრის ძილს ეძლევა ჯგუფ-ჯგუფად, რამდენიმე ერთად, მაგალითად ე. ლ. მარკოვს ფოთიდან დეკემბერში გამოუგზავნეს 17 მძინარე ციყვი, ნაპოვნი ერთ ბუნაგში. ყურადღების ღირსია ის ფაქტიც, რომ ჩვეულებრივად ციყვები ერთობ მოჩხუბარნი არიან და მიუყარებელნი, ხოლო ზამთრის ძილის დაწყების წინ, თითქოს უფრო გულკეთილი ხდებიან და ეწევიან ჯგუფურ ცხოვრებას. ჩემის აზრით ეს მოვლენა აიხსნება იმით, რომ ციყვები, გრძნობენ რა ინსტიქტურად მათთვის საჭირო სითბოს—სასიცოცხლო ენერგიის შენარჩუნების აუცილებლობას, მიმართავენ ურთიერთ გათბობას, მაგრამ მეორე მხრით უნდა აღინიშნოს ის, რომ ეს მოვლენა ზოგჯერ საბედისწერო ხდება ამ ცხოველისათვის წიფელას ხეს ქვეშ ზოგჯერ ფულტროებში მძინარე ციყვებს, თავისი სამონადირო უბნის შემოვლისას, თავს ესხმის კვერნა და ისინი ადვილად ხდებიან ამ მტაცებლის მსხვერპლად.

ციყვი დიდ უარყოფით როლს არ თამაშობს სატყეო ძეგურეობაში, რაც არ შეიძლება ითქვას ბაღების შესახებ, რომელთაც ეს მღრღნელი საკმარისად დიდ ზიანს აყენებს კაკლისა, თხილისა და ხილეულის განადგურებით. მასთან უნდა აღინიშნოს, რომ ის სჭამს მხოლოდ ნაყოფთა თესლს რის გამოც მიჩნეულია უფრო ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მავნებლად მებაღეობაში. უკანასკნელ დროს ციყვი აღიარებულია სარეწაო ცხოველად და მისი ტყავი დიდი რაოდენობით მზადდება.

### ციყვანა

*Dyromis nitedula tichomirovi* Sat.

ეს მღრღნელი შემხვედრია მხოლოდ პირაქეთ ხეესურეთში და თითქმის იმავე ადგილებში, სადაც ციყვი. პირიქეთ ხეესურეთში ის არ მინახავს, თუმცა არ შეიძლება უარყოფილი იყოს მისი აქ არსებობა, ვინაიდან ხეესურეთის ეს



ნაწილი სავსებით შესაფერისია მისი საცხოვრებლად. ციყვანას ბუდე-ბიდან და ბალახებიდან აგებული, ნაპოვნი იქმნა ბუჩქნარში 150 სანტიმეტრებით დედამიწის ზედა პირიდან. მეორე ბუდე-კი ნაპოვნი იყო მთის ფერდობზე ნიადაგის ზედა პირზე, წიფლის ფესვების ქვეშ. ბუდეში ჩაგებული იყო ხავსი და ფრინველთა ბუმბული. გამრავლების პერიოდი ამიერ კავკასიაში იწყება სხვადასხვა დროს და დამოკიდებულია ციყვანას საბინადრო ადგილის სიძალღეზე ზღვის დონედან. ჩემი დაკვირვებით თბილისის მიდამოებში, ამ ცხოველის გამრავლების დასაწყისი მოდის მაისსა და ივნისზე. ივნისში შემხვედრია ჯერ კიდევ თვალ-აუხილავი წრუწუნები 6-8 ეკზემპლ. რაოდენობით, ერთ ბუდეში. არ წარმოადგენს რა საგრძნობლად მავნებელ წევრს ტყის ცენოზისა, ციყვანა საქართველოს ზოგიერთ რაიონში საგრძნობ ზიანს აყენებს ხილის ბაღებს, სადაც ღრღნის და სკამს ხილს. გარდა ამისა, იმავე ადგილებში, სადაც კი მოიპოვებიან თხილის ნარგავები, როგორც, მაგალითად, დას. საქართველოში, ეს მღრღნელი დიდ ზიანს აყენებს ამ კულტურასაც.

**ჩვეულებრივი მინდვრულა**

*Microtus arvalis gudauricus* Ogn.

ჩვეულებრივი მინდვრულა მეტწილად წარმოადგენს გაშლილი, უტყეო ადგილების, ე. ი. ტრამალების, მინდვრებისა და კორდების ბინადარს. ის ბინადრობს არა მარტო ტყის განაპირა ადგილებში, არამედ ტყეებს შორის მინდვრებშიაც. ამგვარ ადგილას ის ვნახე მე პირაქეთ ხევსურეთში, სოფელ ბარისახოს ნათესებში, რომელნიც მოთავსებულნი არიან ტყეებს შორის. ამ მინდვრულას ერთ-ერთი სორო გავთხარე და იქიდან ამოვიყვანე სამი წრუწუნა სიდიდით მშობელის ნახევარზე მეტის, და აგრეთვე სრულსაკოვანი მინდვრულაც. ოამდენიმე მინდვრულა მომიყვანეს მდინარე ლიკოკის ხევიდანაც. პირაქეთ ხევსურეთში ის არ შემხვედრია და როგორც ადგილობრივ მცხოვრებლების დაკითხვიდან გამოიკრვა, მათ მის შესახებ არაფერი სმენია.

კრანიოლოგიური მონაცემები მიუთითებენ იმაზე, რომ ეს მინდვრულა ეკუთვნის სწორედ იმ ფორმას, რომელიც აღწერილია, როგორც ახალი, პროფ. ოგენის მიერ საქართველოს სამხედრო გზის რაიონში შეგროვილი მასალის მიხედვით. ადგილობრივ მცხოვრებთა დაკითხვიდან გამოიკრვა, რომ ეს მინდვრულა არ წარმოადგენს მასობრივ მავნებელს, პირაქეთ ხევსურეთისათვის და ამიტომაც მას ხშირად არც კი არჩევენ ტყის თავვისაგან.

**რუხი ზაფუნა**

*Cricetulus migratorius* Pall.

რუხი ზაფუნა Cricetinae-თა ქვეოჯახის ყველაზე ტანმორჩილი წარმომადგენელია. პირაქეთ ხევსურეთში ის რამდენჯერმე შემხვედრია სოფლების — ბარისახოს, გველეთის, ლიკოკის ნათესებში. ადგილობრივთა დაკითხვით ეს მღრღნელი საკმაოდ იშვიათია აქ, სამაგიეროდ, ჩემდა მოულოდნელად, ბლომად



აღმოჩნდა პირიქეთ ხეცსურეთში. იშვიათია რა სოფ. შატლის მიწებში, საჩავეროდ საგოძნობი რაოდენობით ბინადრობს სოფ. არღოთის მიდამოებში. აქ ის იკეთებს თავის სოროებს კლდეებს შორის და იქიდან თავს ესხმის მეზობლად მდებარე ნათესებს. ხშირად გვხვდება, როგორც ადგილობრივ წისქვილებში, სადაც ის ბლომათ პოულობს საკვებს ფქვილის სახით, რაც არა ერთხელ დადასტურებულა მღრღნელის ლოყის პარკის გაშინჯვით, ისე საცხოვრებელ ბინებშიც. ზოგჯერ შემოდგომიდანვე გადადის საზამთრო საბინადროდ ბელებსა და საკუჭნაოებში, რომლებიც მას უხვად აწვდიან საკვებს. თანახმად პირიქეთ ხეცსურეთის მცხოვრებთა განცხადებისა, რუხი ზაზუნა აქ ცნობილია, როგორც მემინდვრეობის მავნებელი და მასობრივი გამრავლების წლებში, საგოძნობ ზიანს აყენებს ნათესებს, როგორც ბელების მავნებელი ძალზე აწუხებს ადგილობრივ მცხოვრებლებს.

### დალესტნის ზაზუნა

#### *Mesocricetus raddei avaricus* Geph.

მეტად მოულოდნელი იყო ჩემთვის ამ ზაზუნის პოვნა ხეცსურეთის საზღვრებში. დალესტნის ზაზუნას ახასიათებს შავი შეფერილობა, რომელიც მკერდიდან გავრცელებულია მუცლის შუა ნაწილზე. ამ ნიშნით ის წააგავს თავის მახლობელ თანამომძმეს *Mesocricetus nigriculus*, მაგრამ უკანასკნელიდან განსხვავდება სიდიდით და ზოგი სხვა თავისებურობითაც. ეს სახეობა გავრცელებულია მთიანი დალესტნის საკმაოდ პატარა სივრცეზე და იქ ბინადრობს მთის ტრამალებზე იმ კულტურულ ნაკვეთებზე, რომლებიც დაკავებული აქვთ ქერის და პურის ნათესებს.

დალესტნის ზაზუნების სოროები ორგვარი ტიპისაა: ერთი ტიპი ხასიათდება ბარტო ერთი შესავალი ხვრელით, რომლიდანაც გადის თითქმის შეუვლი მილი 18-20 სანტ. სიღრმით; მეორე ტიპის სოროებს, რომელნიც მიეკუთვნებიან უფრო ასაკოვან ინდივიდებს, აქვთ ორი შესავალი—ვერტიკალური და დახრილი. ვერტიკალური შესავალი მილის 75 სანტ. სიღრმეზე. სოროს აქვს რამდენიმე საკუჭნაო და საცხოვრებელი საკანი. ეს მღრღნელი იკეთებს საკმაოდ დიდ მარაგს, რომელიც ზოგ შემთხვევაში ორ კილოგრამამდე აღწევს. დალესტნის ზაზუნა შემთხვევით ნაპოვნი იყო სოფელ შატლის მიდამოებში. ადგილობრივი სკოლის მასწავლებელმა და იმავე სოფლის ზოგიერთმა მცხოვრებელმა მიაშინეს, რომ ფარეხების—საზამთრო ბინების მახლობლად გვხვდება მოზრდილი კატის კნუტის ოდენა მსხვილ-თავიანი და მოკლე კუდით თავგები, რომელნიც თხრიან ღრმა სოროებს. დაინტერესებული ამ ცნობით, და მისი სინამდვილის შემოწმების მიზნით, ამ მღრღნელის მოპოებისათვის დავნიშნე საკმაოდ დიდი ჯილდო. ამით წაქეზებული რამდენიმე ხეცსური, შეიარაღებული ნიჩბებით და წალკატებით წავიდნენ ამ ცხოველის მოსაპოებლად. საღამოთი ისინი დაბრუნდნენ დაქანცული, ხელცარიელი და განაცხადეს, რომ მიუხედავად მედგარი ძებნისა, მაღალი ბალახის გამო, არ მოხერხდა ამ მღრღნელის ხელში ჩაგდება. ვინაიდან მესამე დღეს ექსპედიცია უნდა დაძრულიყო სოფ. არღოთისაკენ, დროს უქონლობის გამო, მე ამ მღრღნელის მოპოება მივანდე ადგილობრივ მასწავლებელს.



უკანასკნელმა მართლაც პირნათლად შეასრულა ეს დავალება და დაამტკიცა დამლევს მომიტანა მუზეუმში დაღესტნის ზაზუნის ერთი ეკზემპლარი. მისი სიტყვით, ეს მღრღნელი გვხვდება უმნიშვნელო რაოდენობით შატილის მიდამოებში და მდინარე არდოტის ხევში. სოროს აკეთებს რბილ, ხშირი ბალახით დაფარულ ნიადაგში. სორო ღრმაა—ერთი მეტრამდე სიღრმისა. ხევსურეთის ფარგლებში ამ ზაზუნის აღმოჩენა ძალიან მნიშვნელოვანია—კავკასიონის მთავარი ქედის გასწვრივ მისი გავრცელების თვალსაზრისით. აქნობამდე ცნობილი იყო მხოლოდ დაღესტანში და ამიტომაც მისი არსებობა ხევსურეთში ზოობიოგრაფიული თვალსაზრისით ახალი რამაა, ჯერჯერობით ხევსურეთი უნდა მიჩნეული იქნას მისი გავრცელების დასავლეთ საზღვრად კავკასიის მთავარ ქედზე. ხევსურეთში მოპოებული ზაზუნა თავისი მორფოლოგიური ნიშანთვისებებით არ განსხვავდება ტიბიურისაგან. ამრიგად, დაღესტნის ზაზუნა შეტანილი უნდა იქნას საქართველოში მობინადრე მღრღნელთა სიაში.

### ტყის თაგვი

#### *Sylvimus silvaticus* subsp?

ტყის თაგვი ფართოდაა გავრცელებული მთელს ხევსურეთში და რიცხოვბრივად სჭარბობს დანაჩენ მღრღნელებს. ის გვხვდება ტყის ზონაში და საკმაო რაოდენობითაც. მისი ბუდეები არა ერთხელ მიპოვნია აუგების ფესვებ ქვეშ, კლდეების ნაპრალებში და ხშირ ბუჩქნარში. ივლისსა და აგვისტოში გვხვდებოდა ნახევრად მოზრდილი ახალგაზრდები. ტყის თაგვი, როგორც ამიერ-კავკასიის მრავალ ადგილას, ისე აქაც იკეთებს საკვების მარაგს, რომელიც შესდგება წიწიბოს, ტყის თხილისაგან და აგრეთვე სხვადასხვა სარეველა ბალახისა და თესლისაგან; ის ხალისით ეტანება აგრეთვე თაფლსაც, რა მიზნითაც ანგრევს ბაზის ფიჭს. მე ერთხელ მოწამე ვიყავი იმისა, თუ როგორ ეს თაგვი გულმოდგინეთ ეწეოდა ასეთ სამუშაოს. დაჭრილ თაგვს მთელი დინგი გასვრილი ჰქონდა თაფლით და მასთან ნაკბენისგან დასივებული.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ, რომ მთელ ხევსურეთში ტყის თაგვი, საცხოვრებელ ბინებში და აგრეთვე ბელლებშიაც ოთახის თაგვის მაგივრობას ეწევა.

აგრეთვე უნდა აღინაშნოს ისიც, რომ ანალოგიური მოვლენა ჩემს მიერ შემჩნეული იყო საქართველოს სხვა მალაღმთიან ადგილებში. მაგალითად: თუშეთში და ზედა სვანეთში. ასეთ ადგილებში ტყის თაგვი შეიძლება აღიარებული იქნას ბელლის საკბაოდ მნიშვნელოვან მავნებლად. მის მასობრივ მავნებლობას საუკეთესოდ ადასტურებს ის ფაქტი, რომ ორი დღის განმავლობაში, სოფელ შატილის სკოლის პატარა ბინაში დაჭრილ იქნა სხვადასხვა ასაკის 42 ტყის თაგვი. ადგილობრივ მცხოვრებთა დაკითხვიდან გამოირკვა, რომ ის ხევსურეთში არ წარმოადგენს მინდვრის კულტურათა მასობრივ მავნებელს, მაგრამ სამაგიეროდ, როგორც ბელლის მავნებელს, პირველი ადგილი უჭირავს მღრღნელთა შორის. სხეულის შეფერილობით ხევსურეთში მოპოებული ტყის თაგვები ოდნავ განსხვავდებიან ტიბიურისაგან.

## პრომეთეოსის თაგვი

## Prometheomys schaposchnikovi Sat.

ხევსურეთის ფაუნის მნიშვნელოვან წარმომადგენელთა შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი უნდა მიეკუთვნოს პრომეთეოსის თაგვს—კავკასიის ფაუნის საინტერესო ენდემიკს. კავკასიის ფარგლებში ამ მღრღნელის გავრცელება პირველად აღნიშნული იყო კ. ა. სატუნიჩის მიერ. ამ მკვლევარმა ის გამოყო ცალკე ტაქსინომიკურ ერთეულად იმ მასალის საფუძველზე, რომელიც შეაგროვა შაპოშნიკოვმა საქართველის სამხედრო გზაზე, გუდაურის ახლო მდებარე მთებში. შემდეგ ეს მღრღნელი იპოვა პროფ. ტუოოვმა კავკასიის ქედის დასავლეთ ბოლოზე, წითელ მინდვრის მიდამოებში. 1933 წელს, როცა ვხელმძღვანელობდი სსრ მეც. აკადემიის საქ. ფილიალის მიერ მოწყობილ ზოოლოგიურ ექსპედიციას, გაგზავნილ ზემო სვანეთის ფაუნის შესასწავლად, მე ვნახე ეს მღრღნელი სოფელ ივარის ალპურ საძოვრებზე და აგრეთვე სხვა ადგილებშიც. ამრიგად ყოველგვარ ეჭვის გარეშე სდვას მისი გავრცელება კავკასიის მთავარ ქედზე, დაწყებული საქართველოს სამხედრო გზიდან დასავლეთის მიმართულებით. მაგრამ ამავე დროს დაისვა საკითხი—გავრცელებულია ის თუ არა საქართველოს სამხედრო გზის აღმოსავლეთით და რა მანძილზე?

1938 წ. ივლისის თვეში, საჩალის მთის ფერდობებზე 2.500 მეტრის სიმაღლეზე, ჩემს მიერ ნაპოვნი იყო ამ მღრღნელის სორო, და მისი გათხრისას კი—ბუნაგიც. მრავალი სორო ნაპოვნი იყო წყლის პირათ, სუბალპურ ზონაშიც. სამწუხაროდ უამინდობამ ხელი შემიშალა მეწარმოებინა გათხრები ამ მღრღნელის დასაჭერად. ხევსურეთის ფარგლებში პრომეთეოსის თაგვის არსებობა საინტერესოა იმ მხრივ, რომ მჟღავნდება მისი გავრცელების არეალი საქ. სამხედრო გზის აღმოსავლეთითაც. ვინაიდან, მიუხედავად გულმოდგინე ძებნისა მე ეს მღრღნელი ვერ აღმოვაჩინე თუშეთში, ვფიქრობ, რომ ამჟამად მისი გავრცელების საზღვარი აღმოსავლეთის ხევსურეთია. 1939 წელს სრულიად მოულოდნელად ეს მღრღნელი ნაპოვნი იყო მცირე კავკასიონის მთებშიც. კურორტ ბახმაროს მიდამოებში 23/VII მასწავლებელმა ქეთევან თოხაძემ დაიჭირა რამოდენიმე ეჭვმპლარი, როგორც ასაკოვანი, ისე ახალგაზრდა პრომეთეოსის თაგვი. ეს ფაქტი ძირითადად ცვლის აქამდე არსებულ აზრს იმის შესახებ, რომ პრომეთეოსის თაგვი კავკასიონის მთავარი ქედის ავტოხტონია და აგრეთვე ეჭვის ქვეშ ისმება საკითხიც კავკასიისათვის მისი ენდემიურობის შესახებ. მეორეს მხრივ საინტერესოა რა გზით დაბინავდა ის კავკასიონის ქედზე. პრომეთეოსის თაგვის არსებობა მცირე კავკასიონზე შესაძლებლობას მძლევს პრობლემატურად დავსახო ეს გზა. ვფიქრობ, რომ ის გამოსულია მცირე აზიიდან და შემდეგ აჭარის მთებით და სურამის ქედით შეიჭრა კავკასიონის მთავარ ქედზე. აქ კი, როგორც ხმელთა-შუა ზღვის ნოტიო ქვე-ოლქის მცხოვრები, გავრცელდა დასავლეთით, რასაც ხელს უწყობდა შესატყვისი ეკოლოგიური პირობები (მომეტებული ტენიანობა და ამასთან დაკავშირებით ნიადაგის საჭირო თვისებები). მისი გავრცელება კავკასიის მთავარი ქედის აღმოსავლეთ ნაწილში



ნელა მიმდინარეობს შეგუების კვალობაზე და არა სავსებით ხელსაყრელად მიმდინარეობს ეკოლოგიურ პირობებთან.

*Lepus europaeus caucasicus* Ogn.

კ უ რ დ ლ ე ლ ი

კურდღელი ხევსურეთში გვხვდება თითქმის ყველგან, სადაც კი მოიპოვება მისი არსებობისათვის ხელსაყრელი პირობები, მაგრამ უფრო ხშირია პირაქეთ ხევსურეთში, რაც აიხსნება ეკოლოგიური პირობებით. ხევსურეთში კურდღელს ვხვდებით როგორც ტყეში, ისე სუბალპურ და ალპურ ზონაში, თითქმის მარადი თოვლის საზღვარზე. სწორედ ასეთ პირობებში კურდღლის ბაჭია ნახა ექსპედიციის ერთ-ერთმა წევრმა გ. ჩლაიძემ ნადირობის დროს. ტყის ზონაში კურდღელი უფრო ხშირია, ვიდრე ალპურ საძოვრებზე, რაც აიხსნება იმით, რომ ალპურ ზონაში ის ნაკლებად დაცულია მტრებისაგან, რადგანაც აქ უძნელდება თავშესაფარი ადგილის პოვნა. ზემოთ აღნიშნული ბაჭიის მოპოვება აქ აგვისტოს პირველ რიცხვებში მოწმობს მაღალ მთებში კურდღლის საკმარისად გვიან გამრავლებას; ვერტიკალური მისი გავრცელება 2300 მეტრამდე აღწევს. ის კურდღლები, რომლებიც ბინადრობენ ალპურ ზონაში შემოდგომის მეორე ნახევრიდან გაზაფხულის შუა რიცხვებამდე ცხოვრობენ ტყის ზონაში, რომელიც აძლევს მას თავშესაფარს და საკვებს.

კ ა ვ კ ა ს ი ი ს პ ა ტ ა რ ა მ უ რ ა დ ა თ ვ ი.

*Ursus arctos meridionalis* Sm.

კავკასიის პატარა დათვი საერთოდ იშვიათია ხევსურეთში. მაგრამ პირაქეთ ხევსურეთში ის შედარებით უფრო ხშირად გვხვდება, ვინემ პირიქეთში, რაც აიხსნება იმით, რომ დათვის მთავარი ადგილსამყოფელი ტყეები პირიქეთ ხევსურეთში თითქმის განადგურებულია. მისი სიმხდალე საკმაოდ ცნობილია, ხევსურეთში-კი ის განსაკუთრებით ფრთხილია, ვინაიდან აქ სასტიკად სდევნიან. დღისით ის მეტწილად იძყოფება ხეების გაუვალ შაბნარებში, ხოლო სადაც ასეთები არ მოიპოვება, იქ დათვს მთელი დღეობით სძინავს, და მხოლოდ ღამ-ღამობით გამოდის საკვების მოსაპოვებლად. მიუხედავად სიტლანქისა ის მარდათ ადის ხეებზე, რასაც ხელს უწყობს გრძელი მოკაუჭებული და საკმაო წვეტიანი ბრჭყალები. დათვი ულმობელი მტერია იმ ხეებისა და ბუჩქებისა, რომელთა ნაყოფითაც ის იკვებება. დაცლის რა ტოტებს ნაყოფისაგან ის ამოიღებს მათ ქვეშ და ამსხვრევს თავისი მძიმე სხეულით, ამიტომაც ის ხეები, რომელთაც დაუფლებია ის, შესაბრალისად გამოიყურებიან. ხევსურეთში დათვი გარეულ ხილით (შვინდი, ზღმარტლი, ალუჩა, გარეული ბალი და სხვა) არ იკვებება, მათი სიიშვიათის გამო, მაგრამ სამაგიეროდ ხარბად ეტანება ყოლოს, მარწყვს, ცირცელს და სხვ. დათვს ძალიან უყვარს წიწიბო და რკო. კარგ მოსავლიან წლებში ერთობ სუქდება ამ საკვებით. სანატრელ საკმელს წარმოადგენს აგრეთვე ყოველგვარი მწერი და მათი მატლები, ლოკოკინები, განსაკუთრებით კი ჭიანჭველების მოპოვების მიზნით, დათვი აბრუნებს

ქარიშხალით წაქცეულ ხეებს. მე არაერთხელ შემიმჩნევია პირაქეთ ხევსურეთში ასეთი მუშაობის კვალი. არ არის დატული მისგან გარეული ფეხქვეშა ვინაიდან დათვი დიდი ხალისით ეტანება თავს. აქ ადგილობრივმა ხელოსანმა არა ერთხელ შემომჩვილა, რომ დათვი თავს ესხმის მათ პირუტყვს მაგრამ დათვის ასეთი ოინები იშვიათია. ხევსურეთში დათვი ეძლევა ზამთრის ძილს, განსაკუთრებით თუ ზამთარი მკაცრი და სუსხიანია. აქ არ მოიპოვება საქართველოს მონადირეთა კავშირის განყოფილება და ამის გამო მე ვერ შევძელი შემეგროვებინა ცოტად თუ ბევრად ზუსტი ცნობები დათვის ყოველდღიური ყოფაცხოვრების შესახებ, ხოლო ადგილობრივ მცხოვრებთაგან მიღებული ცნობები იმდენად ურთიერთ საწინააღმდეგოა, რომ მასზე დაყრდნობა შეუძლებელია. საქართველოს მონკავშირის რწმუნებული მოქ. ამირაჯიბის სიტყვით, 1935 წელს ხევსურეთის ფარგლებში მოკლული იყო 12 დათვი. ეს ციფრი ჩემი ფიქრით არ არის გადამეტებული და სინამდვილეს შეეფარდება.

### მ გ ე ლ ი

#### *Canis lupus cubanensis* Ogn.

მგელი, როგორც ცნობილია, დიდ ზარალს აყენებს სასოფლო და სამონადირო მეურნეობებს და ამის გამო გულმოდგინე დევნას განიცდის. მთელ ხევსურეთში მგელი საკმაო რაოდენობით მოიპოვება, მაგრამ, როგორც გამოიკვეა ადგილობრივ მცხოვრებთა დაკითხვიდან, ის მაინც უფრო ხშირია პირაქეთ ხევსურეთში. ჩემის აზრით, ეს აიხსნება იმით, რომ პირაქეთ ხევსურეთი ესაზღვრება ფშავეთს, სადაც საპატიო ადგილი უჭირავს მეცხვარეობას, მგელი-კი, როგორც ცნობილია, ცხვრის თანამგზავია; მიუხედავად იმისა, რომ ცხვრებს თავგანწირულად იცავენ მეცხვარეთა ძალები, მგლები მაინც საკმაოდ დიდ ზიანს აყენებენ ცხვრის ფარებს.

ზაფხულობით მგელი ეტანება მაღალ მთებს, მოდის რა იქ პირუტყვთან ერთად; ზამთრობით-კი ეშვება ქვევით და აქ იწყებს ხეტიალს სოფლების მახლობლად. ამ დროს, განიცდის რა სიმშობას, მგელი განსაკუთრებით თავხედია, ივიწყებს ჩვეულებრივ სიფრთხილეს და ახლოს მიდის ადამიანის საცხოვრებელთან, როგორც ადგილობრივი გლეხები გადმოგვცემენ, ღრმა თოვლიან ზამთარში, ისინი კარზე მიდიან და თოფის უქონლობის გამო, გლეხები ქვით იგერიებენ მათ. ივლისის შუა რიცხვებში, შუა ღამისას, მე ზედიზედ რამდენიმე დღის განმავლობაში მესმოდა მგლების ზმუილი. დედის ღმუილზე უპასუხებდნენ ლეკვები. თუ რამდენ მგელს კლავენ ყოველწლიურად ხევსურეთში და რამდენად დიდია მისგან მიყენებული ზიანი, ამის შესახებ, სამწუხაროდ, ვერ შევძელი დამეგროვება ადგილობრივად საჭირო ცნობები, რადგანაც ხელისუფლებისა და გლეხებისაგან ვერ მივიღე საკმარისად ზუსტი ცნობები. მგელი აზიანებს აგრეთვე გარეულ ჩლიქოსან ნადირს, განსაკუთრებით ახალგაზრდა ეკემპლიარებს.





მ ე ლ ა

მელაბი ხევესურეთში წარმოდგენილია ორი ქვესახეობით

*Vulpes vulpes caucasica* Dinnik., *Vulpes v. alticola* Ogn.

პირველი მათგანი ბინადრობს პირიქეთ ხევესურეთში, მეორე-კი—პირაქეთ-ში. ეს ორი ქვესახეობა საკმარისად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან გარდა კრანეოლოგიური ნიშნებისა ბეწვის ხარისხითაც. (სიგრძე, სიხშირე, სინაზე). რაც შეეხება ბეწვის შეფერილობას, უნდა აღინიშნოს, რომ ის ერთობ ცვალებადია.

ხევესურეთში მელას საბინადრო სტაციად მიჩნეული უნდა იყოს ტყის მთელი ზონა; ზოგჯერ მელა სუბალპურ ზონაშიც გვხვდება. აქ მე ორჯერ მინახავს მისი სოროები. ერთხელ—საჩალის მთის კალთებზე, მეორეჯერ-კი—სოფელ არდოტთან მდებარე საძოვრებზე. აქ ის ზარალს აყენებს მეფრინველეობას, რომელიც აქ თუმცა არ არის საკმაოდ გავრცელებული, მაგრამ პირაქეთ ხევესურეთში კი წარმოადგენს გლეხის მეურნეობის დამხმარე დარგს. იმის გამო, რომ ხევესურეთის სოფელთა უმრავლესობა უშუალოდ ტყეებს ესაზღვრება, მელა ადვილად ახერხებს შინაურ ფრინველის მოტაცებას. გარეული სასარგებლო ცხოველებიდან მეტწილად მელა დიდ ზიანს აყენებს კურდღელსა და შვლის ნუკრებს, მაგრამ მის ძირითად და მასთან საყვარელ საკბილოს წარმოადგენენ მღრღნელები, ხევესურეთის პირობებში კი ტყის თაგვები და რუხი ზაზუნა. ხევესურეთში მონადირებული მელათა რაოდენობა დაახლოებითაც კი არ არის გაცნობილი. ჩემს მიერ დაგროვილი ცნობებით, მელას ზამთრობით საკმაო რაოდენობით იჭერენ.

კავკასიის ტყის კვერან

*Martes martes causicus* Dinnik.

ხევესურეთში, ისე როგორც ყველგან საქართველოში, კავკასიის ტყის კვერანა გვხვდება მხოლოდ და მხოლოდ მაღალ-ტანოვან, უღრან, როგორც ფოთლოვან, ისე წიწვიან ტყეებში, რაც ჩემის აზრით, აიხსნება იმით, რომ მის ძირითად საკვებს წარმოადგენს ციყვი, რომელიც უმთავრესად ბინადრობს წიფელს ტყეში. კვერანის საყვარელი საბინადრო სტაცია ხევესურეთში, ტყის ზონაა—2.500 მეტრამდე სიმაღლით, სადაც მრავლადაა ყრუ, ბნელი ხეები, მათში შეჭრილ კლდეებით. აქ ადამიანი და საქონელი იშვიათი სტუმარია. ტყის კვერანის საკვები საკმაოდ მრავალფეროვანია და შესდგება სხვადასხვა ცხოველები-საგან, მცენარეულობის ნაყოფიდან. ცხოველური საკვები, როგორც ნაჩვენებია იყო ზემოთ, შესდგება უმთავრესად მღრღნელებისაგან: ციყვი, ტყის თაგვი, რუხი ზაზუნა, მინდვრულები, კურდღლის ბაჭები და სხვა. რაც შეეხება მცენარეულ საკვებს, უნდა აღინიშნოს, რომ ის უფრო მრავლად მოიპოვება და უფრო სხვადასხვანაირია პირაქეთ ხევესურეთში.

ტყეში ნახული ექსკრემენტების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს მტაცებელი პირაქეთ ხევესურეთში არა იშვიათია, რაც არ შეიძლება ითქვას



პირიქეთ ხევსურეთის შესახებ, სადაც ტყეები—მათი მთავარი საბინადრო-სახეობაა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საგრძნობლად დაზიანდა ზედმეტად დაზარალებულ პლოტაციისაგან.

კვერნა წარმოადგენს რა ძვირფას სარეწაო ცხოველს, დიდ დვენას განიცდის. ხევსურეთში, ისე როგორც ამიერ-კავკასიის მრავალ ადგილას, ტყის კვერნას იჭერენ ძუის მახით, ხაფანგით და მხოლოდ იშვიათად თოფით მოინადირებენ. მათზე მახეებით ნადირობისას, მონადირე მხედველობაში იღებს წყალისადმი მის სიძულვილსა და ზნეჩვეულებას, რაც გამოიხატება იმაში, რომ ის მდინარეებსა და ნაკადულებს გადადის გადებული ხიდის მეშვეობით. ითვალისწინებენ რა ტყის კვერნის ასეთ ჩვეულებას, მონადირენი უგებენ მახესა და ხაფანგს გადასასვლელ ადგილებში, რაც ჩინებულ შედეგებს იძლევა.

მის კვალს ადვილად აკვლევენ თოვლში და მიყვებიან მას იმ ხემდე, რომლის ფულუროშიც კვერნა ისვენებს ღამის ნადირობის შემდეგ. მონადირე ცდილობს გამოდევნოს ის ფულუროდან ან კაკუნის, ან კვამლის ხმოების საშუალებით, ანდა ხის მოჭრით დაიჭიროს ის.

თუ რა რაოდენობით მზადდება კვერნის ტყავი ხევსურეთში, ამის შესახებ არ მოიპოვება ზუსტი ცნობები, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის დაკითხვის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ყოველწლიურად ხევსურეთში მზადდება 50-200 ტყის კვერნის ტყავი.

### კავკასიის თეთრ-შელა კვერნა

*Martes foina nehringi* Sat.

ეს მტაცებელი პირაქეთში, გაცილებით უფრო იშვიათია, ვინემ პირიქეთ-ხევსურეთში, რაც იხსენება მისი საცხოვრებელი საჭირო პირობებით. ნაკლებ ტყიანი პირიქეთა ხევსურეთი ამ მხრივ უფრო შეეფერება მას. აქ მოპოვებული ჩემ მიერ გასინჯული კვერნების ტყავი ეკუთვნოდა ამ სახეობას. ადგილობრივ მცხოვრებთა დაკითხვიდან გამოიჩნება, რომ ის აქ სჭარბობს ტყის ფორმას. ბუნაკს იკეთებს ხეებში და ხეების ფესვების ქვეშ.

ტყის კვერნისაგან განსხვავებით, ის ხშირად გვხვდება და ბინადრობს კიდეც ადამიანის ბინის მახლობლად; ასეთ შემთხვევაში, ნადირობს შინაურ ფრინველებზე, რითაც საგრძნობ ზიანს აყენებს მეფრინველეობას. რამდენიმე ასეთი შემთხვევა მიაშტეს სოფ. ბარისახოს მცხოვრებლებმა. არდოთის ერთ მცხოვრებელს აღმოაჩნდა ამ კვერნის ექვსი ტყავი. მათი შეფერილობა არაფრით არ განსხვავდებოდა ტიპური ფორმის ბეწვისაგან, ხოლო ზედა ნაწილი იყო რამდენიმედ უფრო თაღნი.

### ამიერ-კავკასიის მაჩვი

*Meles meles minor* Sat.

ამიერ-კავკასიის მაჩვი ბინადრობს პირაქეთ ხევსურეთის მთელ ტყიან ზონაში და იშვიათად აღის ხოლმე ალპურ ზონაშიც. აქ, სათიბებზე არაერთ-



ხელ მინახავს მისი სოროები, მაგრამ მაჩვი რიცხვობრივად სჭარბობს დასახლებულ ბუჩქნარებში, რომელთა ირგვლივაც მეტწილად მოთავსებულია ქარაი, კარტოფილის, მუხუდოს ნათესები, რომელთაც ის საგრძნობლად აზიანებს. როგორც ვიცით, მაჩვი მიეკუთვნება ყოვლისქამია ცხოველთა რიცხვს; უმთავრესად იკვებება მცენარეულობით განსაკუთრებით კენკრით, ნაყოფით, ფესვებით და აგრეთვე ნაირ-ნაირი მწერებით, მათი მატლებით და მოლუსკებით. არ ზოგავს მიწაზე ბუდის მკეთებელ ფრინველთა ბარტყებს და კვერცხებს. მას ახასიათებს საუკეთესოდ განვითარებული ყნოსვა, რომლითაც ის მეტწილად სარგებლობს ნადირობის დროს, ჩინებული სმენაც აქვს. ეს კი მას უადვილებს საჭირო საკვების მოპოებას. ზედმეტად არ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ მაჩვი ნადირობს მინდვრულუბზედაც. სოფ. ბარისახოს რაიონის ერთერთ მომკილ მინდორზე მე შემხვდა ჩვეულებრივი მინდვრულას მრავალი სორო, რომელთა ნაწილიც გადათხრილი იყო ხოლო მინდვრულას თავი მოწმობდა იმას, რომ ეს ცხოველები მაჩვის მსხვერპლი გამხდარან.

ადგილობრივი მცხოვრებთა დაკითხვიდან გამოიჩვენა, რომ პირაქეთ ხევსურეთში მაჩვი საკმარისად ჩვეულებრივია, პირიქეთში კი იშვიათია. აქ ცხოვრობს მაჩვის მეორე ფორმა, რომელიც ამიერ-კავკასიის ფორმისაგან განსხვავდება, როგორც სიდიდით, ისე კრანიოლოგიური ნიშანთვისებებითაც.

**კავკასიის ღებალოსი**

*Mustela nivalis caucasica* Bar.—Ham.

ეს მტაცებელი ყველაზე პატარა წარმომადგენელია კვერნების ოჯახიდან ამიერ-კავკასიაში. ცხოვრობს ყველგან ხევსურეთის ტერიტორიაზე და ვერტიკალური მიმართულებით აღწევს მუდმივი თოვლის ზოლამდე, მაგრამ უფრო ხშირად გვხვდება ტყის ზონაში, ვინემ სუბალპურ და ალპურ ზონებში, ვინაიდან აქ ის საკმარის საკვებს პოულობს. ეს ნადირი სპობს რა უამრავ რაოდენობით მაგენ მღრღნელებს, უდავოდ სასარგებლო ცხოველია ტყისა და სოფლის მეურნეობისათვის. ზიანი-კი, რომელსაც ის აყენებს სასარგებლო ფრინველებს მათი და მათი ბარტყების და წიწილების განადგურებით, უმნიშვნელოა. პირაქეთ ხევსურეთში მე ორჯერ ვნახე ეს ნადირი და ერთხელ-კი საინტერესო გარემოებაში, როცა ის ნადირობდა ტყის თავგზე. ტყეში მე შევამჩნიე, რომ ერთერთი უზარმაზარი წაქცეული წიფელას ტანადან გამოძვრა თავგი, რომელიც შეჩერდა და მალაყებზე შედგა, აქეთ იქით დაიწყო კვერა თითქოს რაღაცას ეძებდა. არ გასულა ერთი წუთიც, რომ იმავე ხის ტანიდან გამოძვრა დედალოსი; როგორც კი დაინახა ის, თავგი ხელახლად მოექცა ხის მორის ქვეშ. დედალოსი გამოედევნა მას. ბრძოლა არსებობისათვის საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა და თავგი დარწმუნდა რა, რომ ასეთი გზით ის მტერს ვერ გადარჩებოდა, აძვრა ხის ტოტზე და გაქცევით ცდილობდა თავის გადარჩენას. მას კვალ-და-კვალ დაედევნა დედალოსი და შემდეგ რამდენიმე ნახტომით დაეწია მას წვდა კეფაში და დაიჭირა. პირ-იქეთ ხევსურეთში გავრცელებულია *Mustela nivalis dinniki* Sat.


**კავკასიის ტყის ველური კატა**
*Felis silvestris caucasicus* Sat.

ეს ცხოველი მე არ შემხვედრია ხევსურეთში, ხოლო ადგილობრივი მცხოვრებლებისა და მონადირეთა მოწმობით ის თითქოს არ უნდა მოიპოვებოდეს აქ. თუ რომ ეს ცნობა სიმართლესთან ახლოა, პირიქეთ ხევსურეთისათვის, რომელიც ღარიბია უღრანი ტყეებით, ველური კატის საყვარელ ადგილ-სამყოფელო სტაციით, ეს არ ითქმის პირაქეთ ხევსურეთის შესახებ, რომელიც საკმარისად მდიდარია ტყეებით, ამიტომაც ეს ცხოველი მე შემეყავს ხევსურეთის ძუძუმწოვართა ფაუნის წარმომადგენელთა სიაში.

**კავკასიის ირემი**
*Cervus elaphus maral* Ogilby.

კავკასიის ირემი კავკასიის ტყის ფაუნის სიმშვენიერება. მისი ბედი პირიქეთ და პირაქეთ ხევსურეთში სხვადასხვაა. ის რქები, რომლებიც დაცული არიან შატლის ახლო მდებარე სალოცავებში, მოწმობენ იმაზე, რომ შორეულ წარსულში პირიქეთ ხევსურეთი საკმარისად მდიდარი იყო ამ ცხოველით, განსაკუთრებით მრავლად მოიპოვებოდა ირემი საჩეჩნოს მოსაზღვრე ტყეებში. უნდა ვიფიქროთ, რომ საუკეთესო რქები—მოზრდილი, მრავალ-ტოტიანი, მეფის დროს აქედან გაზიდული იყო. ამას ხელს უწყობდა ადგილობრივი ხელისუფლება. სოფ. შატლში ჩემ მიერ დათვალიერებული რქები ძალიან სუსტი რქებია და ტოტების რაოდენობა მცირეა. ამჟამად პირიქეთ ხევსურეთი თავისი ტყეებით, გაშიშვლებული ქედებით, ღრმა ხევეებით რა თქმა უნდა არ წარმოადგენს ირმისათვის სათანადო საბინადრო სტაციას. შეიძლება გამონაკლისი იყოს არხოტის ხეობა, სადაც კიდევ მოიპოვება საკმარისად კარგი ტყე. პირაქეთ ხევსურეთი კი, თავისი ბუნებრივი პირობებით, სავსებით ქმნის ირმისათვის საუკეთესო ეკოლოგიურ პირობებს. ამასთან ხევსურეთის ეს ნაწილი უშუალოდ ესაზღვრება ფშავეთს და გუდამაყრის ხეობას, სადაც ირემი კიდევ მოიპოვება ადვილად გასაგებია, რომ ის ხანდისხან შემოდის პირაქეთ ხევსურეთში. ამას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ირემს უყვარს ხეტიალი: ზაფხულში ის ადის მთაგრეხილების უმაღლეს მწვერვალებზე და აქ ის დაცულია სხვადასხვა მწერებისაგან, რომლებიც ზედმეტად აწუხებენ მას. ამასთან სიგრილე და საკმარისად უხვი საჭმელი, მთის საძოვრების სახით, ხელს უწყობს მის უდარდელ ყოფაცხოვრებას. უნდა ვიფიქროთ, რომ ნაწილი ირემებისა, პირაქეთ ხევსურეთის გავლით, გადადის კავკასიონის ჩრდილო ფერდობებზე; სადაც ჰავა უფრო გრილია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ირემს უყვარს ხეტიალი და განსაკუთრებით კი მამლებს, რომლებიც გაძევებული არიან უფრო მძლავრი მეტოქეებით ჯოგრიდან. დედლებს უფრო ჩვევია მუდმივი მობინადრე ყოფაცხოვრება. პირაქეთ ხევსურეთში ერთ-ერთ ხევეში, სოფ. გველეთთან ორი კილომეტრით დაშორებით, წყლის პირას მე ვნახე კარგად აღბეჭდილი კვალი მოზრდილი ირმისა.



სასურველია, რომ საქართველოს ბუნების დამცველმა კომიტეტმა მოქმედების კომისიარიატის დახმარებით, მიაქციოს სათანადო ყურადღება პირაქეთ ხევისსაფრთხეში მობინადრე ირმებს და მიიღოს ყოველგვარი ზომები მათი დაცვისათვის.

ზინდა ორიოდ სიტყვა ვსთქვა იმ ზიანზე, რომელსაც ირემი აყენებს ტყეს. ეჭვს ვარეშეა, რომ ის ღრმა და სუსხიანი ზამთრის დროს იკვებება ახალგაზრდა ტოტებით და აგრეთვე ახალგაზრდა ნარგავებით. ზიანს აყენებს აგრეთვე იმით, რომ როდესაც რქებიდან იცილებს ტყავს, ის ენახუნება ხეებს და აზიანებს მათ ქერქს; რა თქმა უნდა, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ არა თუ პირაქეთ ხევისსაფრთხეში, არამედ მთელ ამიერ-კავკასიაში ირმების რიცხვი უმნიშვნელოა, მაშინ ზიანის რაოდენობა უმნიშვნელოა.

ჯ ი ხ ვ ი

*Capra cylindricornis* Blyth.

მე მინდა საკმარისად შევჩერდე კავკასიის ფაუნის ერთ-ერთ ენდემურ ფორმაზე — ჯიხვზე. ხევისსაფრთხის ფარგლებში ბინადრობს ჯიხვების ოთხი სახეობიდან მხოლოდ დაღესტნის ჯიხვი. ადამიანის დაუზოგველმა დევნამ აიძულა ეს ცხოველი შეეფარა თავი მაღალ და ნაკლებად მიწვედომელ კლდოვან ადგილებში. თანახმად იმ ცნობებისა, რომლებიც მე დავაგროვე მონადირეთა შორის, ჯიხვი აქამდე მოიპოვება საჩქინოს და თუშეთის მოსაზღვრე მთებში და აგრეთვე იმ უმაღლეს მთიან მწვერვალების ახლოს, რომლებიც აღმართული არიან პირაქეთის და პირიქეთის ხევისსაფრთხის საზღვარზე. ცხადია, რომ ჯიხვმა აქ განიცადა დაუზოგველი დევნა ადამიანისაგან. ამის საბუთია ხევისსაფრთხის სალოცველობებში მრავლად დავროვებული ჯიხვის რქები, სამკაულის სახით. ადგილობრივი მონადირეები მოწმობენ იმას, რომ ჯიხვის რქები, ხევისსაფრთხის შემწვრავთ სხვადასხვა წმინდანებისთვის. რქები მეფის დროს ძალიან შემცირდა. ადგილობრივი ხელისუფლება საჩქარის სახით უგზავნიდა ზემდგომ მოხელეებს ჯიხვის საუკეთესო რქებს და აგრეთვე გაქონდა საქართველოს სამხედრო გზაზე, სადაც მათგან ყიდულობდნენ მრავალი ექსპურსანტები კავკასიაში მოგზაურობის სახსოვრად. დარჩენილი რქები არ წარმოადგენენ არავითარ ღირებულებას სიდიდის მხრივ. ხევისსაფრთხეში ჯიხვი გვხვდება ყველგან, სადაც კი მოიპოვება მისთვის ხელსაყრელი პირობები. მცირე რიცხვით. ხევისსაფრთხეში მობინადრე ჯიხვთა უმეტესი ნაწილი, პირიქეთ ხევისსაფრთხეში ბინადრობს. ეს ადვილად ასახსნელია თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ხევისსაფრთხის ეს ნაწილი მდიდარია თავისი ბუნებრივი პირობებით. ერთ-ერთი მაგალითი იმისა, თუ როგორ ცხოველს შეუძლია გამოიცვალოს თავისი ყოფაცხვერება გარემოს პირობების ნიხედვით, არის ჯიხვი. ლავოდების და განსაკუთრებით ზაქათალის ნაკრძალებში ჯიხვი თითქმის ტყის ცხოველია. აქ ის პოულობს როგორც ბინას, ისე საკვებსაც და მხოლოდ იშვიათად გამოდის საძოვრად სუბალპურ და ალპურ საძოვრებზე. უნდა ვიფიქროთ, რომ ჯიხვი, როგორც გარეული თხების უმეტესი ნაწილი, ტყის ცხოველია და თუ ის კავკასიაში ბევრ ადგილას ბინადრობს მაღალ, ნაკლებად მიუვალ მთებში, ეს უნდა ჩავთვალოთ როგორც მეორადი მოვლენა. ზამთარში ჯიხვები დიდი თოვლის და მკაცრი ყინვის გამო იძულებული არიან



საკმარისად ქვემოდ დაეშვან საკვების მოსაპოებლად და ამით ჩინონ თავი.

ამჟამად ნადირობა ჯიხვებზე ძალიან შემცირდა ხევსურეთში, განსაკუთრებით იმ მიზეზის გამო, რომ მათ არ მოეპოებათ სათანადო სანადირო იარაღი და აგრეთვე იმითაც, რომ ეს ცხოველი თავს იფარავს მალალ, ადამიანისათვის მიუწყდომელ, ადგილებში. ასეთ პირობებში ხევსურებსაც, მთების ნამდვილ შვილებს, უძნელდებათ ნადირობა მათზე. უნდა ვიფიქროთ, რომ ზემოთ აღნიშნული ცხოვრების პირობები და აგრეთვე ნადირობის შესახებ გამოცემული დადგენილება, მისცემენ საშვალებას ჯიხვს, კავკასიის ფაუნის მნიშვნელოვან ენდემიურ ფორმას, შეინარჩუნოს თავისი არსება.

### არჩვი

#### *Rupicapra rupicapra caucasica* Lydek.

ვერც ერთი ნადირი ვერ უძლებს გამანადგურებელ ნადირობას და ეს გასაგებიცაა; მაგრამ თუ ჩვენ მივცემთ საშვალებას ისეთ ცხოველებს, როგორიც არიან ირმები, რამოდენიმე წლის განმავლობაში გამრავლდნენ ხელსაყრელ პირობებში მაშინ, რა თქმა უნდა, ეს ნაკლი, რომელსაც ირმის, თუ სხვა სანადირო ობიექტის ჯოგს აყენებს ადამიანი, ადვილად ივსება. ამის მაგალითი ჩვენ გვაქვს: ზაქათალის ნაკრძალის დირექტორმა და ზოოლოგმა ნ. კ. ვერეშჩაგინმა, ზაქათალის ნაკრძალის ერთ-ერთ კუთხეში, სახელდობრ, რიჩუგში, ნახეს ჯიხვების ჯოგი, შემდგარი 235 ეკზემპლარისაგან. მათში სჭარბობდა მამლები 8-14 წლის ასაკამდე.

1936 წელს იმავე ნაკრძალში ჯიხვის-ჩაის და ბუნალუხ-ჩაის შუა მდებარე ქედზე ნახული იყო დედალი ჯიხვებიდან და მათი ნუკრებიდან შემდგარი დიდი ჯოგი (135 ცალი). ეს არ შეიძლება ვთქვათ არჩვის შესახებ. არჩვის დაზიანებული ჯოგი ძალიან ნელა ავსებს მიყენებულ ზარალს და დიდი ხანი უნდა, რომ იმ ადგილებში, სადაც წინად სასტიკად სდევნიდნენ არჩის, შეგვხვდეთ მისი მრავალ რიცხვოვან ჯოგს. რა თქმა უნდა, ამას აქვს თავის მიზეზები და ერთი, და მასთან შეიძლება ითქვას, მთავარი მიზეზია ის, რომ არჩვი ძნელად ეგუება არა ხელსაყრელ პირობებს. ამაზე მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ თბილისის ზოოპარკში, მიუხედავად საუკეთესო შექმნილ პირობებისა, ვერც ერთმა არჩვამ ვერ მოიკიდა ფეხი, მაშინ, როდესაც იმავე და უფრო უარეს პირობებში მყოფი ჯიხვი ადვილად შეეგუა ზოოპარკს და გამრავლდა.

საყურადღებოა ის მოსაზრებანი ამ მოვლენის შესახებ, რომლებიც მოყავს კავკასიის სანადირო ფაუნის ერთ-ერთ საუკეთესო მცოდნეს პ. ლ. მარკოვს. მისი აზრით არჩვები ადვილად ავად ხდებიან სხვადასხვა დაავადებებით (ბლერი, მუნი, თურქული და სხვ.), რომლებიც შეაქვს მთებში ცხვარს. რა თქმა უნდა არჩვი ვერ უძლებს ამგვარ დაავადებებს და მასიურად ისპობა. ჩემის აზრით არჩვების განადგურება შეიძლება ავხსნათ აგრეთვე იმ გარემოებითაც, რომ არჩვის სტაციით კავკასიის პირობებში არის ტყის ზონის ზედა და შუა ნაწილები. აქ მოზრდილი კლდეები ენაცვლებიან ტყეს, ხოლო ღრმა, დაჩრდილული ხევები კი ქვეტყეს და მალალ ბალახს.



არჩვი მისი ყოფაცხოვრების მიხედვით, არ შეიძლება აღიარებულა კავკასიის ალპების ცხოველად. ეს გარემოება ხელს უწყობს მასზე ნადირობას და ამის გამო, ის უფრო ხშირად ხდება მონადირის მსხვერპლი, ვიდრე ჯიხვი. ამავე მიზეზების გამო, არჩვი შეიქნა ხევისსაფრთხის იშვიათი ცხოველი. თანახმად ადგილობრივ მონადირეთა რწმუნებისა, ეს ცხოველი უმნიშვნელო რაოდენობით კიდევ მოიპოება არგუნის, არხოტის ხეებში და აგრეთვე სხვა ადგილებშიც, სადაც კი მათთვის ხელსაყრელი პირობებია.

**ნიამორი**

*Capra hircus L.*

საქართველოში ეს გარეული თხა მოიპოვება მხოლოდ თუშეთში და ხევისსაფრთხეში. ამ უკანასკნელში—მხოლოდ მის პირიქეთ ნაწილში. ამჟამად ის ბინადრობს აქ ძალიან მცირე რაოდენობით და ისიც იმ მთებში, რომლებიც მოსახლერე არიან ჩეჩნეთისა და თუშეთის. როგორც მე გადმომცეს ადგილობრივმა უხუცესებმა, და როგორც ამაზე მოწმობს ხატებში დაცული ამ თხის მრავალრიცხოვანი რქები, ის არც ისე შორეულ წარსულში საკმარისი რაოდენობით მოიპოვებოდა აქ. სოფ. შატილის მახლობლად ერთ-ერთ ხატში მე ვიპოვე 60 წყვილი რქა, შეწირული წმ. გიორგის სახელზე. მათ შორის არ აღმოჩნდა არც ერთი წყვილი, რომელიც ყურადღების ღირსი იყოს ოდენობის მხრივ, რა თქმა უნდა, ეს არ აიხსნება იმით, რომ ვითომც ადგილობრივ ნიამორებს ახასიათებს სუსტად განვითარებული რქები; ამის მიზეზია ჩემს მიერ ზემოთ აღნიშნული შეწირული რქების კოლექციების დაუზოგველი ცარცვა.

სოფ. შატილის ახლო, ერთ-ერთ ნაკრძალ ტყეში ადათის მფარველობის ქვეშ, ცხოვრობს ორი დედალი ნიამორი. ერთი მათგანი ექვსი წლის, ხოლო მეორე უფრო ახალგაზრდა. მამალი, რომელიც შემოხვევით გავიდა ნაკრძალი ტყის გარეშე, მოკლული იყო. ნიამორი საკმარისად დიდი რიცხვით მოიპოვება დაღესტანში და აქედან თუშეთის გავლით იჭრება ხევისსაფრთხეში, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ამ ცხოველის კავკასიაში გავრცელების არეალის დასავლეთ საზღვრათ.

ექვს გარეშეა, რომ ნიამორი, როგორც საქართველოს ფაუნის საინტერესო და იშვიათი წარმომადგენელი უნდა დაცული იყოს გამანადგურებელი ნადირობისაგან.



0. კ ა ზ რ ა ვ ა

შენიშვნა საქართველოს შუა ეოცენის ფაცციების შესახებ

გ. აბიხის მიერ (1) ლეჩხუმში აღნიშნული შუა ეოცენის ნუმულიტიანი და დისკოციკლინიანი კირქვები, როგორც შემდეგში გამოიჩვენა (5, 8, 9, 16), ფართო გავრცელებით სარგებლობენ დასავლეთ საქართველოში. კირქვებში გარდა ფორამინიფერებისა სხვა ნამარხებიც გვხვდება, მაგრამ მნიშვნელოვანი მაინც ნუმულიტებია, რომელთაგან ჩვეულებრივ *Nummulites atacicus* Leym., *Nummulites Murchisoni* Brun. და სხვ. ასახელებენ (5, 8).

კირქვებთან ერთად დ. საქართველოს შუა ეოცენის შედგენაში მერგელე-ბიც დიდ როლს თამაშობენ. ბევრგან აქ შუა ეოცენის ნუმულიტიან და დისკოციკლინიან კირქვებს შორის მერგელები მორიგობენ. არის ადგილები, სადაც შუა ეოცენი თითქმის მხოლოდ მერგელებით არის წარმოდგენილი. ამ უკანასკნელისათვის დამახასიათებელია მიკროფორამინიფერები, რომელთა შორის ბევრია პლანკტონური ფორმები.

ფაუნათა ასეთ განაწილებას ნალექებში აუზის ფსკერის რელიეფის თავისებურება თუ იწვევდა. ზღვის შედარებით ღრმა ნაწილში ალბათ მიკროფორამინიფერები ცხოვრობდნენ; სხვა ადგილებს, საფიქრებელია, დიდი ფორამინიფერები ეტანებოდნენ. ამ მხრივ ინტერესს მოკლებული არ იქნება ლეჩხუმში შემჩნეული ფაქტის აღნიშვნა, რომ იქაც მერგელებში მოიპოვებიან ნუმულიტები და დისკოციკლინები, მხოლოდ ესენი პატარა ტანის არიან, მაგრამ ფორამინიფერები კი, რომლებიც ასე დამახასიათებელია დ. საქართველოს სხვა ადგილების შუა ეოცენის მერგელებისათვის, აქ იშვიათად გვხვდებიან. ლეჩხუმში შუა ეოცენის ზღვა თხელი უნდა ყოფილიყო; ის ძირულის მასივის ახლო მდებარეობდა.

ანალოგიური სურათი უნდა გვქონდეს აღმ. საქართველოშიაც. ქართლის ბაქნის ჩრდილო პერიფერიულ ზოლში შუა ეოცენის ორ ფაციესს აგვიწერენ: ნუმულიტიან და დისკოციკლინიან კლასტიურ ქანებს და მიკროფორამინიფერებიან მერგელებს (14). ეს უკანასკნელნი საცხებით ჰგვანან დ. საქართველოს შუა ეოცენის მერგელებს და ლუტეციურად არის მიჩნეული. რაც შეეხება კლასტიურ წყებას, ის, როგორც ამის შესახებ აღნიშნულია (4, 17), ზედა ოცენის ასაკის უნდა იყოს. ქართლის ბაქნის სამხრეთ ნაწილში შუა ეოცენის კირქვებს ვხედავთ მტკვრის ხეობაში. ს. ურბნისთან თეთრი კირქვებია განვითარებული, რომლებშიც *N. distans* Desh. და სხვა გვხვდება. ვფიქრობთ, ეს კირქვები მტკვრის ხეობის ჩრდილოეთითაც ნაწილობრივ მაინც გრძელდებიან უფრო ახალგაზრდა ნალექებს ქვეშ; ისინი საცხებით, გადარეცხილი არ უნდა იყვნენ მომდევნო ტრანს-





გრესიების მიერ. როგორც ეხლა ვიცით, გორის რაიონში მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ოვერზულის ფუძის კონგლომერატში შუა ეოცენის თეთრი კირქვების (სუსტი ლიტანი და დისკოციკლინიანი) რიყისქვები არიან. აქვე მათ შორის ტუფოგენური კირქვების ნუმულიტიანი და დისკოციკლინიანი ლოდებიც მოიპოვებიან. ბუნებრივია, რომ სამხრეთისაკენ თრიალეთის შუა ეოცენის ვულკანოგენურ წყებასთან მიახლოებისას, ბაქნური შუა ეოცენის კირქვებში ვულკანური მასალა ეროდეს.

მტკვრის ხეობა თრიალეთის ვასწვრივ ის აღდილია, სადაც შუა ეოცენის ორგანოგენულ ფაციესს სამხრეთისაკენ ვულკანოგენური ქანები სცვლიან.

აღბათ ფაციესების ჭიდილის მაჩვენებელია გურიის მთების ჩრდილო ნაწილში შუა ეოცენის ვულკანოგენურ წყებაში მიკროფორამინიფერებიანი მერგელების ლინზების არსებობა (11).

გურიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში შუა ეოცენი სავსებით მერგელებით უნდა იყოს გამოსახული. ეს უკანასკნელი ჩრდილოეთით, რიონის დაბლობის შემდეგ, კირქვებით იცვლება (რაჭა-აფხაზეთის სინკლინური დებრესია).

ამრიგად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ბელტის ფარგლებში შუა ეოცენი ორგანოგენული (კირქვები და მერგელები) ფაციესით არის წარმოდგენილი. სამხრეთისკენ აჭარა-თრიალეთის ზოლში კი სულ სხვა ნალექებს ვხვდებით. ეს გარემოება ადრევე იყო ცნობილი, მაგრამ ანტიკავკასიონზე შუა ეოცენის თავისებურება მარტო ლითოლოგიით არ განისაზღვრება. აქ ნუმულიტოვანი ფაუნაც თავისებურია. თრიალეთზე ნუმულიტების ხორკლიანი ჯგუფის შემდეგი წარმომადგენლები იქცევენ ყურადღებას: *Nummulites laevigatus* Lam. და *N. gallensis* Heim. (3,6,4,18). ეს ნუმულიტები აქ ტუფოგენ ქანებთან არიან დაკავშირებული. შედარებით იშვიათად გვხვდება *N. atacicus* *N. distans* და *N. irregularis*. ნუმულიტების ხორკლიანი ჯგუფი, რომელიც ასე დამახასიათებელია აჭარა-თრიალეთის ოროგენისათვის, საქართველოს ბაქნურ ნალექებში ცნობილი არ არის. მეორეს მხრივ საყურადღებოა ნუმულიტების სიღარიბე ანტიკავკასიონის ოროგენულ ზოლში საქართველოს ბელტთან შედარებით. ეს გარემოება, აჟუზის გეოსინკლინურ ბუნებას უნდა მიეწეროს, რაც იმითაც კი მტკიცდება, რომ ბაქნებისაკენ (ჩრდილოეთით საქართველოს ბაქანი და სამხრეთით სომხეთის ბაქანი) ნუმულიტები სადაც კი გვხვდებიან ქანთმაშენია. ს. ურბნისის შუა ეოცენის ნუმულიტიანი კირქვები უკვე მოხსენებული გვაქვს. აქ უნდა დავასახელოთ ალგეთის ხეობის შუა წელიც, სადაც ასეთივე ნუმულიტიანი კირქვები იყო პოვნილი (2). ეს არის სომხეთის ბაქნის ჩრდილო-პერიფერული ნაწილი. როგორც ეხლა ვიცით (2,19) ბორჩალოს სამხრეთ ნაწილშიც ფართოდ არის გავრცელებული შუა ეოცენის ვულკანოგენური წყება რომლის ფუძეში ბაზალურ კონგლომერატის თავზე ნუმულიტიანი ქვიშაქვები და კირქვები გამოიყოფა. ესენი მდიდარია ნუმულიტებით: *N. distans* Desh, *N. irregularis* Desh. და *N. gallensis*

Heim (- *N. Partschi* de la Harpe. ზევით მოდის ვულკანოგენური რომლის საგებ გვერდში *N. gallensis* Heim (- *N. Partschi* de la Harpe) არის. თუ მთლად არა ყოველშემთხვევაში, ვულკანოგენური წყების ქვედა ნაწილი შ. ეოცენის ასაკის არის. ამრიგად ბორჩალოშიაც ისეა წარმოდგენილი შუა ეოცენი, როგორც თრიალეთზე, მხოლოდ ბორჩალოში ნუმულიტები უფრო დიდი ტანის არიან.

სომხეთის ბაქნის ვულკანოგენური წყება სამხრეთით სომხეთში გადადის, სადაც ნუმულიტები უფრო მრავალფეროვანია (13,7,10) სომხეთიდან ნუმულიტების მცირე ნაწილი გადმოსულა ჩვენში. აღსანიშნავია *N. leavigatus* Lam. *N. gallensis* Heim., რომლებიც ჩრდილოეთისკენ მოძრაობისას თრიალეთს არ ვასცილებიან. საყურადღებოა, რომ ამავე მიმართულებით ნუმულიტების ფაუნის გაღარიბებასთან ერთად ჩვეულებრივ ნუმულიტების ტანის სიდიდეც კლებულობს.

ამიერკავკასიის დასავლეთ ნაწილის ნუმულიტოვანი ფაუნის განაწილებას პირველად პ. მეფერტი შეეხო, მან შენიშნა, რომ ზოგიერთ დასავლ. საქართველოსათვის დამახასიათებელი ნუმულიტები მაგ: *N. globulus* Leym., *N. Murschisoni* Brum., *N. irregularis* Desli თითქოს სომხეთში არ მოიპოვებიან (10). ავტორის ეს დაკვირვება სავსებით სწორე არ უნდა იყოს, რადგან ს. კუზნეცოვი (7) სომხეთიდან აგვიწერს *N. globulus* და *N. irregularis*. ამას შეიძლება ისიც დაუმატოთ, რომ უკანასკნელი სახე დასავლეთ საქართველოში ძლიერ იშვიათი უნდა იყოს. (თვით ბ. მეფერტს დ. საქართველოს შუა ეოცენში ეს სახე აღნიშნული არ აქვს).

უფრო საყურადღებოა *N. distans* - ის გავრცელება. მას სომხეთში არასახელებენ. სომხეთის ბაქნის *N. distans* Desh. სიდიდით და სხვა ნიშნებითაც (ანომალური ფორმები) არ განირჩევა ყირიმის *N. distans* Desh-ისაგან. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ დ. საქართველოს შუა ეოცენის ნუმულიტებს შორის *N. distans* Desh მხოლოდ აფხაზეთის დასავლეთ ნაწილიდან იხსენიებენ (16) მაშინ, როდესაც დ. საქართველოს სხვა ნაწილებში (სამეგრელოსა და რაჭა-ლეჩხუმში) ის ჩვენ არ შეგვხვედრია, მიუხედავად იმისა რომ აქაც ფაციესი ისეთია, როგორც აფხაზეთში და ყირიმში, მაგრამ ეს სახე თრიალეთის ჩრდილოეთით ქართლის ბაქნის სამხრეთ პერიფერიაზედაც გვხვდება. თუ დადასტურდა, რომ ეს ფორმა სომხეთის შუა ეოცენში არ არის, (ყოველ შემთხვევაში ჯერ ის იქ არავის არ დაუსახელებია (იხ. 7,10,13,) მაშინ უნდა დაფუძვთ, რომ ის ჩვენში დასავლეთიდან შემოვიდა. როგორც ცნობილია, ყირიმის შუა ეოცენს ბევრი რამ საერთო აქვს საქართველოს შუა ეოცენტან. ერთად ერთი შესაძლებელი გზა კავშირისათვის ის ადგილები უნდა ვიგულისხმოთ, რომლებიც ეხლა შავ ზღვას უჭირავს, რადგან აფხაზეთსა და ყირიმს შორის კავკასიონის ჩრდილო დასავლეთ ნაწილში ეოცენი სულ სხვა ფაციესით არის წარმოდგენილი (ფლიში).

ამიერკავკასიის დასავლეთი ნაწილში სამხრეთი საქართველო (თრიალეთი და ბორჩალო) გარდამავალ ზოლს წარმოადგენს ერთი მხრივ სომხეთისა და მეორეს მხრივ საქართველოს ჩრდილო ნაწილის შუა ეოცენურ ნალექებს შორის. სამხრეთიდან აქ შემოდინ ნუმულიტების ხორკლიანი ჯგუფის წარმომადგენლები (*N. laevigatus* Lam. *N. gallensis* Heim.), მაშინ როდესაც *N. Distans* Desh., რომელიც საქართველო—ყირიმის ორგანოგენი ფაციესისათვის არის დამახასიათებელი, დასავლეთიდან უნდა მოსულიყო აქ.

ჩვენ, შუა ეოცენის ფაციესების დახასიათებისას, ნუმულიტების გარდა სხვა ფაუნა უყურადღებოთ დავტოვეთ. ეს იმით აიხსნება, რომ საქართველოს შუა ეოცენურ ნალექებში ნუმულიტები უნივერსალური გავრცელებით სარგებლობენ და გარდა ამისა ეს ფაუნა აქ კარგად არის შესწავლილი. საჭიროა ამ თვალსაზრისით სხვა ფაუნის შესწავლა, მაგრამ ეს მომავლის საქმეა.

---



I. KATSCHARAWA

## ZUR VERBREITUNG DER MITTELEOZÄNEN FAZIEN GEORGIENS

In dieser Mitteilung behandelt der Autor vorwiegend die Verbreitung der Nummulitenfauna des Mitteleozäns in Georgien.

In Süd-Georgien (Faltensystem von Adschara-Thrialeti und Bortschalo) sind für die vertretene mitteleozäne vulkanogenen Schichtenfolge *N. distans*, *N. laevigatus*, *N. gallensis* (*N. Partschii*), *N. irregularis*, *N. atacicus* charakteristisch.

Im nördlichen Teile des Georgiens lenkt in den entwickelten mitteleozänen organogenen Ablagerungen die andere Association der Nummuliten (*N. atacicus*, *N. Murchisoni*, *N. distans*) die Aufmerksamkeit auf sich. Es ist hervorzuheben, dass in diesen Teile Georgiens kein einziger Vertreter der granulierenden Gruppe von Nummuliten vorkommt. Der grösste Teil der Nummuliten soll aus Armenien nach Georgien übersiedelt sein (das Mitteleozän vor Bortschalo geht unmittelbar in das von Armenien über), nur muss darauf hingewiesen werden, dass die Nummulitenfauna nach Norden zu verarmt. Die granulierende Gruppe der Nummuliten tritt ausserhalb des Antikaukasus nördlich nicht auf, aber der für des georgische Mitteleozän charakteristische *N. distans* ist vorläufig in Armenien nicht bekannt. Er findet sich in grosser Menge in der Krim; es scheint dass er vom Westen aus zu uns gekommen ist. Diese Form ist nur im westlichen Teile der synklinalen Depression von Ratscha—Abchasien bekannt.



დ. ბ. წ ი რ ე თ ე ლ ი

ნეოზენის მაწოვართა „სამარხების“ ბათხრები გარეჯის  
ულაზნოში.

აღმოსავლეთ საქართველოს ზედა მესამეულის და კერძოთ ზედა სარმატის ნალექები მდიდარია ძუძუ-მწოვართა ნამარხი ფაუნით. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ბ. ს. დომბროვსკი (2) ელდარის ნავთის საბადოების შესწავლის დროს ელარ-ოულის ქედზე ძუძუმწოვართა ძვლების ლინზებს წააწყდა. ამ გარემოებამ დიდი ინტერესი გამოიწვია მაშინ. 1913 წელს, მეცნიერებათა აკადემიის დავალებით, აქ გათხრები აწარმოვა ნ. გ. პროხოროვი. მან დააგროვა დიდი მასალა, რომელიც მხოლოდ 1930 წ. იქნა დამუშავებული ა. კ. ალექსეევის მიერ (7). ავტორი ელდარის ზედა სარმატული ნალექებიდან ასახელებს შემდეგ ფორმებს:

*Achtiaria Borissiakii* Alek. *Tragoceras n. sp.* Alek. *Tragoceras valencienessi* Alek., *Tragoceras sp.*, *Gazella sp.*, *Sus Erymanthius* Roth. et Wag. *Hipparion aff. gracile* Kaup., *Dicerarhinus aff. orientalis* Schlosser, *Chalicotherium sp.*, *Dinotherium giganteum* Kaup., *Mastodon longirostris* Kaup, *Mastodon pentelici* Gaudry., *Mastodon sp.* და *Hyaena sp.*

შემდეგში აქ გათხრებს აწარმოებდნენ მ. ბაიარუნუსი (მეცნიერებათა აკადემიიდან) ს. მიხაილოვი, ს. ბერცელიუს — ნალჩაგაროვი და ვ. ბოგაჩევი (აზერბეიჯანიდან). უკანასკნელმა დამატებით აღწერა რამდენიმე ფორმა: *Aceratherium trancaucasicum* Bog. ex. gr. *incisivum* Kaup. *Tragoceras aff. Lescevi* Borissiak და *Hyaena eldarika* Bog.

ერთ დროს გამოითქვა აზრი ელდარის ხერხემლიანთა ნამარხი ძვლების სასუქად გამოყენების შესახებ (5), მაგრამ საკითხის ადგილზე შესწავლამ იმედები არ გაამართლა (6).

ბოლო ხანებში საქ. სახ. მუზეუმის გეოლოგიურმა განყოფილებამ განიზრახა ელდარის ველზე გათხრების წარმოება, რისთვისაც მიმართა უკრაინის მეცნიერებათა აკადემიას საერთო ძალით გათხრების ჩატარების შესახებ. მათ მიერ წინადადება მიღებული იქნა და 1938 წ. საქ. სახ. მუზეუმის გეოლოგიური განყოფილების მიერ უკრ. მეც. აკადემიის ბიოლოგიურ ინსტიტუტთან ერთად ჩატარებულ იქნა გათხრები ელდარზე. ელარ-ოულის ქედზე. გათხრას ხელმძღვანელობდნენ ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები: ნ. ა. ბურჩაკ-აბრამოვიჩი და ი. გ. პოდობლიჩკო. საქ. მუზეუმიდან მუშაობდა გეოლ. განყოფილების მეცნიერული თანამშრომელი მ. ფოფხაძე.

ექსპედიციამ დააგროვა მდიდარი მასალა, რომელიც თანაბრად იქნა გამოფილი (სადუბლო) საქ. მუზეუმსა და უკრ. აკ. ზოობიოლოგიურ ინსტიტუტს შო-



რის. საქ. მუზეუმის მასალებში, ნ. ო. ბურჩაქ-აბრამოვიჩის განსაზღვრებით შემდეგი ცხოველების ნაშთები აღმოჩნდა:

*Achtiaria Borissiakii* Alek, *Tragoceras sp.*, *Gazella sp.*, *Sus Erymantheus* Roth. et Wag., *Rhinoceros sp.*, *Aceratherium sp.*, *Hipparion gracile* Kaup, *Mastodon pentelici* Gaudry, *Mostodon sp.*, *Cetacea*, და *Carnivora*. თითქმის იგივე ცხოველები. რაც აღწერილი ქონდა ელდარის მასალებიდან ა. კ. ალექსეევს (7). აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ წლებში გეოლოგიურ ლიტერატურაში ხშირად იხსენიება ძუძუმწოვართა ჩონჩხებით მდიდარი შრეების გამსავლები გარეჯის უდაბნოს ნიღამოებში. ამ რაიონში მომუშავე გეოლოგი ნ. ა. გედროცი (11) აღნიშნავს, რომ გარეჯის მონასტრის მახლობლად მის მიერ ნახული იქნა ხერხემლიანთა ჩონჩხის ნაწილების დაგროვება და თითქმის ჰიპარიონის მთლიანი ჩონჩხიც კი. საქ. სახ. მუზეუმის თხოვნით, ნ. ბურჩაქ-აბრამოვიჩმა მოახდინა წინასწარი დაზვერვა გარეჯის მონასტრის მიღამოებში. მან იქ რამდენიმე წერტილი დანიშნა გასათხრელად. ამის საფუძველზე 1937 წ. სექტემბერში, საქ. სახ. მუზეუმის გეოლოგიურმა განყოფილებამ მოაწყო გარეჯის უდაბნოს მიღამოების ხერხემლიანთა „სამარხის“ გათხრები. ექსპედიციაში გათხრების ხელმძღვანელად მოწვეული იყო ნ. ო. ბურჩაქ-აბრამოვიჩი<sup>1</sup>. ექსპედიცია ადგილზე მუშაობდა სულ 18 დღის განმავლობაში, სამუშაოდ გათხრების ფართოდ გაშლას ხელი შეუშალა ადგილზე (ახლო სოფლებში) თავისუფალი მუშა-ხელის სიმცირემ და სხვა ტექნიკურმა დაბრკოლებებმა. გათხრების პარალელურად აქ სწარმოებდა მიღამოების დაზვერვა რაიონის გეოლოგიური აღწავლის და ახალი „სამარხების“ აღმოჩენის მიზნით.

გათხრა სწარმოებდა დიდ ხევში, რომელსაც სამხრეთით უდაბნოს ქედი გასდევს, რომლის უბაღლესი მწვერვალი მთა უდაბნო 898 მ აღწევს. აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით ხევს ესაზღვრება იაღლიჯის ქედი და დოდოს ქედი<sup>2</sup>. ამ ქედებს შორის მოთავსებული მშრალი ხევი და მის გარშემო მდებარე ადგილი ტაფობს მოგვაგონებს.

მორფოლოგიურად ტაფობი ხასიათდება მეტად თავისებური რელიეფით. შიგ ტაფობში გასდევს სერები, რომელთა სამხრეთი კალთები წარმოადგენენ თითქმის შევულ კედლებიან ქარაფებს და მასზე სრულებით ან იშვიათად ვხვდებით მცენარეულ სამოსელს.

ჩრდილო დამრეცი დაქანების კალთები კი დაფარულია ბუჩქნარი და ბალახეული მცენარეებით, რომელთა ამწვანება მხოლოდ გაზაფხულზე ხდება. ზაფხულის პერიოდში მცენარეულობა სრულიად იხრუკება დიდი სიციხეების გამო. ზედაპირზე ქანები ძალზე გამოფიტულია და გამოფიტვის ინტენსიურობა უშუალოდ დაკავშირებულია მათ ლითოლოგიურ შემადგენლობასთან. სამხრეთით მდებარე უდაბნოს ქედი თითქმის მთლიანად შესდგება შუა სარმატის მორთუბო სქელი და მკვრივი ქვიშა-ქვებისაგან, რომლებიც NO-ით არის დაქანებული 50-55 ეს ქვიშა-ქვები დიდ სივრცეზე არის გაშიშვლებული. აღნიშნულ

<sup>1</sup>) საქ. სახ. მუზეუმიდან ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: გეოლ. განყოფილებიდან დ. წ ე რ ე თ ე ლ ი (ჩქს. უფროსი), მეც. თანამშრომლები — მ. ფოფხაძე და ევ. გაბაშვილი.

<sup>2</sup>) ქედი, რომელზედაც არსებობს დოდოს მონასტრის ნანგრევები, მოსახლეობაში ამ სახელწოდებით იხსენიება.



ეროვნული  
მეცნიერებათა  
აკადემია

ქვიშაქვებში გაჭრილია ცნობილი ვარეჯის მონასტერი თავის მრავალსაფეხო კეპით და დარბაზებით.

უდაბნოს და დოდოს ქედებს შორის მოქცეული დებრესიის სიმაღლეთა შედარებით სავაობა 500-700 მ. აღწევს. ქვაბურში განვითარებულია თიხები, ქვიშა-ქვები და კონგლომერატები, რომლებიც ადვილად ემორჩილებიან გამოფიტვას. ეს განსაკუთრებით ეხება თახებს. იქ, სადაც ქვიშა ქვების და კონგლომერატების შრებია განვითარებული, იქმნება სერები, ხოლო თიხების გაფრცელების ზონაში—დებრესიები. ტაფობში ცალკეული სერები და ბორცვები გამოყოფილია ერთი მეორისგან მშობლიური ხეობით და ხრამებით, სადაც მხოლოდ დიდი წვიმების დროს გადის წყალი.

წყლებით ვარეჯის მიდამო ძალზე ღარიბია. ის უდაბნოს მოგვაგონებს. აქ მხოლოდ ერთი წყარო არის მონასტრის წყაროდ წოდებული. მხოლოდ წვიმების დროს ნიაღვრები თავს იყრის უდაბნოს ტაფობში და ავსებს ხევებს. წყალი ერთს ხანს დგება ხევის ადგილებში, სადაც თავისუფლად ხარობს ჩალა-კალამი და უღლუმის ბუჩქები.

რაიონის გეოლოგიური აღნაგობის გასარკვევად აქვე მოგვყავს გეოლოგიური ჭრილი ვარეჯის მონასტრის მერიდიანზე გაყვანილი უდაბნოს ქედიდან დოდოს ქედამდის.

1. უდაბნოს ქედზე განვითარებულია ქვიშა-ქვები რუხი მონაცრისფერო, მსხვილ-მარცლოვანი. შიგა და შიგ ვხვდებით თირიან ქვიშა-ქვებს და კონგლომერატებს. სქელი ქვიშა ქვები ნამარხებით ღარიბია, მხოლოდ მოყვითალო ფერის თირიანი ქვიშები, რომელიც მონასტრის კოშკის ძირში შიშვლდება, მდიდარია კარგად დაცული ფაუნით *Maetra vitaliana* dOrb, *Cardium*-ებით და სხვ. ამ ქვიშა-ქვებში არის გამოჭრილი მონასტრის სენაკები—სიმძლავრე 700-800 მეტრი. მონასტრის აღმოსავლეთით ხევში კარგად მოსჩანს სქელი ქვიშა-ქვების საზღვარი მომდევნო, შედარებით რბილ თიხების, ქვიშა-ქვების და კონგლომერატების მორიგეობასთან. მოწითალო შინდის ფერი თიხები, მოყვითალო და მორუხო ფერის ქვიშა-ქვები და კონგლომერატები შემდეგი თანამიმდევრობით გვხვდება.

2. მოწითალო აგურისფერი უნამარხო თიხები, სისქე . . . . . 10-15 მ.
3. მსხვილ-მარცლოვანი ქვიშა-ქვები, ზედაპირზე მორუხო-მოყავისფერო, მონატეხზე მუქი რუხი ფერის. შიგ გვხვდება ცუდათ დაცული *Solen suffragilis* . . . . . 4-5 მ.
4. ქვიშა-ქვები, შიგ ლინზების სახით კონგლომერატი წვრილი ფერადი კენჭებისგან შემდგარი, სისქე . . . . . 2-3 მ.
5. შინდის ფერი თიხები. სისქე . . . . . 8-10 მ.
6. მოყვითალო გამოფიტული ქვიშა-ქვები ზედაპირზე თირად ქცეული, სისქე . . . . . 2-3 მ.
7. წითელი ფერის თიხების სქელი წყება, ზედაპირზე ფხვიერი აყალოდ ქცეული. ახალ მონატეხზე მოწითალო მომწვანო ფერის, შიგ ვხვდებით კონკრეციებს 5-10 სან. დიამეტრით, სისქე . . . . . 45-50 მ.
8. კონგლომერატები მტკიცედ შეცემენტებული, კვარცის, იასპის და ქალ-




- ცედონის კენჭებით. დაქანება NO 45°, სისქე . . . . . 2-4 მ.
- მოყვითალო ფერის მსხვილ-მარცვლოვანი ქვიშა-ქვები. შიგ ნაგებობაში  
 ბი პატარა ზომის, დაქანება იგივე, სისქე . . . . . 8-10 მ.
10. მოწითალო თიხები ისეთივე, როგორც მე-7, მხოლოდ შედარებით  
 მეტი ცხიმოვანობით ხასიათდება, სისქე . . . . . 12-15 მ.
11. ქვიშაქვები მსხვილ-მარცვლოვანი მოზრდილი სფერიული კონკრეციე-  
 ზით. შიგ მიკრო-კონგლომერატის განშრეგებანი, რომელშიაც გვხვდება გაქვა-  
 ვებული ხის ნაშთი, დაქანების კუთხე NO 40°, სისქე . . . . . 30 მ.
12. თიხები ზედაპირზე მოწითალო, მონათხარზე მომწვანო-მოწითალო.  
 აქ საკმაოდ იქნა შეგროვილი ზედაპირზე ხერხემლიანთა ძვლების ფრაგმენ-  
 ტები. გათხრის დროს აღმოჩნდა მარტორქის ქვედა ყბა, სისქე . . . . . 15 მ.
13. მიკრო-კონგლომერატი, სისქე . . . . . 2-3 მ.
14. ქვიშაქვები ზედაპირზე მოშაო უდაბნოს გარუჯვით (пустинный  
 загар). ახალ მონატეხზე მორუხო-მოყავისფერო, სისქე . . . . . 3-4 მ,
15. თიხები მონაცრისფერო-მომწვანო თაბაშირის წვრილი ძარღვებით.  
 ახალ მონატეხზე ცხიმოვანი ელვარებით. შიგ გვხვდება ძუძუმწოვართა ჩონჩხის  
 ნაწილები. თავზე ადევს მოწითალო ფერის თიხები, სისქე . . . . . 15-20 მ.
16. ქვიშაქვები გამოფიტული, სისქე . . . . . 3-4 მ.
17. ფერადი, ნაცრისფერი, მოწითალო და მომწვანო თიხები,  
 სისქე . . . . . 20-25 მ.
18. კონგლომერატი მოზრდილი რიყის ქვებით, სისქე . . . . . 2-3 მ.
19. მოყვითალო მსხვილ-მარცვლოვანი ქვიშაქვები, სისქე . . . . . 4-5 მ.
20. მომწვანო მონაცრისფერო თიხები თაბაშირის წვრილი ძარღვებით,  
 გადადის მოწითალო თიხებში. შიგ ვხვდებით ქვიშა-ქვების სფერიულ კონკრე-  
 ციებს. ქანი ცუდად დაცულ მტკნარი წყლის ფაუნას შეიცავს, მათ შორის არის  
 Anodonta (?) და ძუძუმწოვართ ძვლები, სისქე . . . . . 10-12 მ.
21. კონგლომერატები წვრილი და მოზრდილი რიყის ქვებით მტკიცედ  
 შეცემენტებული ხერხემლიანთა ჩონჩხის ნაწილებით, სისქე . . . . . 0,6 მ.
22. მსხვილმარცვლოვანი ზედაპირზე გამოფიტული ქვიშაქვები ხერხემლიან-  
 თა ძვლების ნაშთებით, სისქე . . . . . 2-3 მ.
23. თიხები მომწვანო, რომელებიც გადადის მოწითალო ფერის თიხებ-  
 ში, კონგლომერატების და ქვიშაქვების შუაშრეებით. სისქე . . . . . 40-50 მ.  
 აქ ვხვდებით ხერხემლიანთა ძვლების ნაწილებს საკმაოდ ბლომად (მასტოდონ-  
 ნის კბილები, ჰიპარიონის ჩონჩხის ნაწილები, ჰიენის ძვლები და სხვ.) ამით  
 მთავრდება ფერადი წყება.
24. ფერად შრეთა კომპლექსს მოსდევს ნაცრისფერი ქვიშაქვების მძლავ-  
 რი წყება. საშუალო და მსხვილ-მარცვლოვან ქვიშაქვებში ხშირად არის კონ-  
 გლომერატის განშრეგებანი. აქაც სხვადასხვა ადგილას ვხვდებით სპორადიულ  
 ხერხემლიანთა ჩონჩხის ნაწილებს თვით დოდოს მონასტრის ნანგრევებამდე,  
 სისქე . . . . . 500-600 მ.
- ფერად წყებას ნ. კ უ ლ რ ი ა ე ც ე ვ ი (8) მიაკუთვნებს ზედა სარმატს. იგი აღ-  
 ნიშნავს, რომ „უდაბნოს რაიონში ზედა სარმატი წაარმოდგენილია ფერადი თიხე-



ბით (მწვანე, წითელი) და ყვითელი ფერის ქვიშაქვებით და ფეტვად  
გლომერატებით\*. ანალოგიურ აზრს გამოსთქვამს ამ წყების ასაკის შესახებ  
ნ. ა. გედროციცი (11). ეს აზრი ალბაუ სწორად უნდა ჩაითვალოს, რადგან  
ნაც წყება უშუალოდ შუა სარმატს მოსდევს და მათ შორის უთანხმოება არ ჩანს.

განსაკუთრებით ყურადღება მიიქცია მე-20, 21 და 22, შრებმა, რომელ-  
თა ზედაპირზე წავაწყდით ძუძუმწოვარ ცხოველების ჩონჩხის ნაწილების დაგრო-  
ვებას (ნამსხვრევების სახით). გათხრა დავიწყეთ მომწვანო ფერის და მოწითალო  
\* თიხებში (20-დე შრე) (იხ. რუკა). თიხა ძალზე დანაპრალიანებულია. ქანში შიგა  
და შიგ ვხვდებით თაბაშირის დიდ რაოდენობას. ქანში ხშირია ქვიშაქვის სფე-  
რიული კონკრეციები 3-10 სან. დიამეტრის. პეტროგრაფიულმა ანალიზმა გვიჩვენა,  
რომ ქანის შემადგენლობაში გვხვდება: მინდვრის შპატის გამოუფიტავი მარც-  
ვლები 16%, კვარცი 0,9-3%, ცოიზიტი, ეპიდოტი 15%, დიოპსიდი ღია მოქ-  
წვანო ფერის პრიზმისებური და ფურცლების სახით, რქა ტყუარა, მუსკოვიტი  
მაგნეტიტი და სხვა 6%. ყველაზე მეტი რაოდენობით 60% (?) გვხვდება არა მადნე-  
ული (განუსაზღვრელი) მინერალები, ქანში მოიპოვება მტკნარი წყლის უხერხემ-  
ლო ფაუნა თხელ ნიჟარიანი Anodonta (?) და სხვა. ნამარხების ამოღება დიდ  
სიძნელეს წარმოადგენდა, რადგან თხელი ნიჟარა ამოღებისთანავე იშლებოდა  
და მტვრად მიდიოდა. მათი განსაზღვრა დიდ სიძნელესთან არის დაკავშირებული.




ქვიშაქვების სფერული კონკრეციები

სამარხი №1

- 1. [Pattern] პალეოანთროპოლოგიური ძეგლები
- 2. [Pattern] ანთროპოლოგიური ძეგლები
- 3. [Pattern] ქვიშაქვები

შკ: 1:200 - 10 მ



№ 2

გათხრის დროს სამარხი № 1-ში აღმოჩნდა Mastodon-ის მენჯის ძვალი, რომელიც ძალზე დანაპრალიანებული და დაშლილია. ნაპრალეთა-შორისო ადგილები ამოვსებულია თიხით და ძვალი ადვილად სცილდება ერთი მეორეს. ამიტომ მთლიანად ამოღება შეუძლებელი შეიქნა. ძვალს გაუკეთეთ თა-



ბაშირის არტაშანი. მენჯის ძვალთან ერთად აქ ნაპოვნი იქნა რწყვილი ჩონჩხი სანთა ძვლების ნაწილებიც. ამ წერტილიდან 20 მ დაშორებით სამხრეთით, ვიპოვეთ მასტოდონის ეშვის ნაწილი მშრალ ხევში არა in situ.

დასავლეთით, ამავე შრეების გაგრძელებაზე, ზედაპირზე ნახული იქნა ადამიანის მაგვარი მაიმუნის ორი კბილი  $P_3$ ,  $M_1$ , (ნ. ო. ბ უ რ ჩ ა კ - ა ბ რ ა მ ო ვ ი ჩ ი ს წინასწარი განსაზღვრით) სამწუხაროდ ამ წერტილზე გათხრის წარმოების საშვალება აღარ გვქონდა.

სამარხ №1-ის სამხრეთით, მე-15-ე შრეში, მომწვანო და აგურისფერ თიხებში ნაპოვნი იქნა ერთ ადგილას თავმოყრილი ხორთუმიანის ჩონჩხის ნაწილები. აქ დაწარმოეთ გათხრა (სამარხი № 2, იხ. რუკა). ზედაპირზე გამოჩენილი ძვლის ნაწილები სრულიად ნამცეცებათ იყო ქცეული.

გათხრის დროს აღმოჩნდა, რომ სამარხში თავმოყრილი იყო ხორთუმიანის წინა კიდური ძვლები, მკლავის, იდაყვის და სხავის ძვლები. ამ წერტილიდან 5,5 მეტრის დაშორებით ამავე თიხიან ქანში ამოღებულ იქნა შედარებით კარგად დაცული, ხორთუმიანისავე ბარძაყის და მენჯის ძვლები.

სულ გათხრილი იქნა 10 კვ. მეტრი 2 მ. სიღრმით. სამარხში ამ ფართობზე სხვა არაფერი აღმოჩენილა. სამარხ № 2 სამხრეთით 25 მ. დაშორებით გაითხარა მე-12-ე შრე. მოწითალო თიხების და ქვიშა-ქვების საზღვარზე ამოღებული იქნა მარტორქის ქვედა ყბა კარგად დაცული კბილებით. აქვე ზედაპირზე შეგროვილი იქნა სხვადასხვა მაწოვრების ჩონჩხის ნაწილები (მასტოდონის ხერხემლის შალი, ჰიპარიონის კბილები ანტილოპის კიდური ძვლის ნაწილები და სხვ). ამ შრეთა გაგრძელებაზე დასავლეთის მიმართულებით 0,5 კილ. მანძილის დაშორებით ნაპოვნი იქნა მასტოდონის კბილი საკმაოდ გადაცვეთილი ბორცვებით.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ გარეჯის ქვაბურში თითქმის ყოველ შრეში გვხვდება ხერხემლიანთა ჩონჩხის ნაშთები მეტი თუ ნაკლები რაოდენობით, მაგრამ ნამდვილი ლინზა აქ არ შეგვხვედრია.

გარეჯის მონასტრის ნიღამოების ფერად წყებაში დაკროვილი იქნა შედარებით მცირე რაოდენობის, მაგრამ საინტერესო ძუძუმწოვარ ხერხემლიანთა მასალა. წინასწარი განსაზღვრით (ნ. ბ უ რ ჩ ა კ - ა ბ რ ა მ ო ვ ი ჩ ი ს დახმარებით. შეგროვილ მასალაში შემდეგი ფორმები აღმოჩნდა; *Achtiaria*, *Troqoceras Gazella sp.*, *Cervus sp.*, *Sus*, *Hipparion gracile Kaup.*, *Aceratherium Mastodon*, *Dinotherium*, *Hyaena sp.*, და აგრეთვე წვრილი მტაცებლების და მღრღნელების კბილები. ყველაზე მეტად საყურადღებო არის ამავე ფერად შრეებში ნახული უმაღლესი მაიმუნის კბილები ( $P_3$ ,  $M_1$ ). უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ კბილების პოვნის ადგილას საფუძვლიანი გათხრები მეტ მასალას მოგვცემს.

რაც შეეხება ძუძუმწოვარ ცხოველთა შემცველ შრეების ასაკს, როგორც ზემოდ გვქონდა აღნიშნული, მათ ზედა სარმატად სთვლიან (8,11). ავტორების ეს დასკვნა სწორი უნდა იყოს, რადგან გარეჯის ფერადი წყების ძუძუმწოვართა ფაუნა ძლიერ მოგვაგონებს ელდარის ზედა სარმატის მაწოვართა ფაუნას.



დასასრულს ორიოდ სიტყვა გარეჯის ხერხემლიან ცხოველთა გენეზის ხების პირობების შესახებ.

გარეჯის უდაბნოს მეზობლად მდებარე ელდარის ველის ხერხემლიანთა სამარხებში ძვლების დაგროვების შესახებ ბ. დომბროვსკის (2) მიერ გამოთქმული მოსაზრებანი ნაწილობრივ უდგება გარეჯის პირობებს. ბ. დომბროვსკის მიხედვით ელდარის მაწოვართა ძვლები დაგროვილია აუზის სანაპირო ზოლში. აუზში, ხმელეთის ცხოველთა ძვლები და ლეშები ალბად მდინარეს ჩამოქონდა. ამ საკითხის ირგვლივ საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული პროფ. ვ. ვ. ბოგაჩევს, რომელიც ხერხეულიანთ, ძვლების ერთ ადგილას დაგროვებას აწერს კატასტროფიულ მოვლენებს—ნიადვრებს.

გარეჯის უდაბნოს ხერხემლიანების სამარხთა პირობებიც ერთის მხრივ წაგავს ელდარისას. აქაც ადგილი აქვს ფერად წყებაში ხშირ ფაციალურ ცვალებადობას სხვადასხვა ფერის თიხების კონგლომერატების და ქვიშა-ქვების თხელ შრეთა მორიგეობის სახით. აქვე დროს საკმაოდ სჩანს კონტინენტის გავლენა მოწითალო ფერის თიხების წარმოშობაში. გარეჯის ცხოველთა ძვლები, რომელიც მეტწილად სპორადიულად გვხვდება თიხიან და ქვიშაქვებიან შრეებში და გადამუშავება არ ეტყობა; ცხადია ეს მასალა შორიდან არ უნდა იყოს მოტანილი.

საქურადღებოა, რომ კ. ნ. ანდრიანოვი და ნ. ი. ლარინი, (6) ემყარებიან რა ჰიპაროინის, ჟირაფების და ანტილოპების ძვლების დიდ გავრცელებას ელდარის ნალექებში, ასკენიან, რომ ელდარში ზედა სარმატულის დროს სტეპური პირობები იყო გამეფებული. ეს დასკვნა სავსებით სწორია, მხოლოდ გარეჯის ფერად წყებაში ნახული ხის მორები საშვალებას იძლევა დავასკვნათ, რომ გარეჯის ზ. სარმატულის დროს მტკნარ აუზების ირგვლივ ტყეც ხარობდა.

ციტირებული ლიტერატურა

1. Рябинин, А. Геологические исследования в Ширакской степи и ее окрестностях. Тр. геол. комитета, нов. серия, вып. 93, 1913 г.
2. Домбровский, Т. С. Заметка о геологических условиях нахождения костей ископаемых млекопитающих в местности Эльдара (Тифл. губ.). Тр. геол. музея Ак. наук., т. VII, вып. 14, 194 г.
3. Богачев, В. В. Отчет об осмотре местонахождения костей на Эльдаре. Изв. Кавк. музея; т. XII, 1918 г.
4. Богачев, В. В. Палеонтологические заметки о фауне Эльдара, Изв. о-ва обслед. и изучения Азерб., № 5, 1927 г.
5. Акентьев, С. К. Фосфориты и фосфоросодержащие породы Эльдара. Мин. ресурсы Грузии, 1933 г.
6. Андрианов К. С. и Ларин, Н. И. Условия залегания костей верхне-сарматских позвоночных степи Эльдара. Бюллетень Моск. о-ва испыт. природы, отд. геологии, т. XIII (4) 1935 г.
7. Алексеев, А. К. Верхнесарматская фауна млекопитающих Эльдара. Тр. геологического музея Ак. наук СССР., т. VII, 1930 г.,
8. Кудрявцев, Н. А. Геологические исследования в между-речья Алазани и Куры. Тр. Нефтяного геол.-разв. Института, сер., Б., вып. 32, 1932 г.
9. Гедроиц, Н. А. Краткий геологический отчет за 1931-32 г., Рукоп. фонд Грузнефти.
10. Симонович, С. Геологические наблюдения в области междуречного водораздельного плоскогорья р. р. Иоры и Куры в пределах Тифлис—Самухе. Мат. для геологии Кавказа, серия 3, кн. 1., 1898 г.
11. Н. А. Гедроиц, Предварительный отчет о работе Арам-даринской геол. разв. партии, 1932 г. рукоп. фонд Грузнефти.

Т. К. КВАРАЦХЕЛИА

## ИСТОРИЯ КУЛЬТУРЫ ЧАЙНОГО РАСТЕНИЯ В ГРУЗИИ

### 1. История происхождения чая и его географическое распространение

Китай—классическая страна, давшая миру как слово чай, так и самый напиток. Начало культуры чая и его первоначальная история теряются в глубокой древности. История чая переплетена с мифами и сказками и можно только догадываться, что является правдой и что—вымыслом. Точно также, как кофе было известно и употреблялось как пища и напиток в Эфиопии с незапамятных времен, также китайцы знали чайное растение и употребляли его листья в пищу (приготовляли в рассоле), а экстракт (отвар) в качестве напитка с незапамятных времен. Китайцы в своих легендах относят появление чая ко времени царствования легендарного императора Шен Нунга, который жил за 2737 лет до нашей эры, как говорят сказания. Древние изображения и молитвы китайцев приписывают открытие многочисленных медицинских растений, и среди них чайного растения, этому Шен Нунгу. Согласно данным д-ра Бретшнейдера, в 730 г. нашей эры была опубликована „Книга о чае“ (*Ch'a Ching*); автором книги был Лю-ю; до опубликования этой книги идеография (надписание) *Ch'a* для чая не употреблялось. Китайцы в древности называли чай разными именами, заимствованными от других кустарниковых растений. В китайском лексиконе, относящемся приблизительно к 350 г. нашей эры имеется общее определение чая под именем *Kia* или *Ku* и *tu* с дополнительным сведением, что напиток приготовлен из листьев кипячением их. Там же упоминается о сборе чайных листьев. Многие авторитеты считают на основании этой записи, что чайное растение было принято в культуру около 350 г. нашей эры. Чайный напиток того времени был медицинским лечебным отваром, возможно горьким, из ферментированных зеленых листьев чая. Позднее, в китайском лексиконе в 535 г. имеется справка, что собранные чайные листья были приготовлены в плитки в округе Ху-пей и Ше-Чуан; плитки поджаривались до покраснения, толклись на очень мелкие куски и помещались в фарфоровый чайник, где заливались кипятком, после чего добавлялись чеснок, имбирь и апельсин.

В пятом столетии чай становится товаром, им платят дань императору. В девятом веке н.э. арабы упоминают о китайском чае. Арабские путешественники Солеман, Абу-Зенд-эль Гассан и др.,



посетившие Китай в IX веке н. э., упоминая о распространении чая в Китае, описывают чайное растение, также сухой чай, его производство и полезные свойства.

В Иран (Персию) чай проник непосредственно из Индии, еще задолго до того времени, когда арабские путешественники проникли в Китай.

Перевод китайского слова ch'a словом чай на всех языках начался с самых ранних времен продажи чая. Так, арабы называли его shai и турки chay. Японцы приняли китайскую транскрипцию ча; персы и португальцы также называли его cha; русские—чай, согласно произношению, принятому в северном Китае; голландцы и за ними англичане приняли написание thee и tea; голландцы последовали диалекту племени Амои в южном Китае, которые писали t'e, а произносили tau. В Англии слово чай встречается в литературных произведениях впервые только в 17 веке (1645 г.).

В Грузии чай носит два названия: 1) cha (ჩა), заимствованное у персов и у португальцев, и 2) chai (ჩაი), заимствованное у арабов. Последнее слово chai укрепилось под русским влиянием и получило всеобщее распространение. Первое же название осталось местами, особенное же распространение имеет в Гурии.

В Европу чай попал очень поздно, португальские мореплаватели доставили чай в Европу в 1517 г. В Голландию чай был завезен на кораблях Ост-Индской Голландской компании лишь в первой половине 17 столетия. В Англии чай получил широкое распространение только к концу 18 века.

В Россию первые сведения о чае были привезены казачьими атаманами — Петровым и Ялышевым, побывавшими в Китае в 1567 г. В Сибири было известно потребление чая еще раньше; когда русские проникли за Байкал, то нашли у бурят кирпичный чай. Чай был привезен в Россию впервые в 1638 г., когда московский посол Василий Старков привез около 4-х пудов чая в подарок царю от монгольского хана; в 18 веке чай уже продавали в московских лавках.

Родиной чайного куста издавна было принято считать Китай. Позднее дикорастущий куст был найден в Ассаме, на северо-востоке Индии (1825 г.), почему родиной чая стали считать Ассам. С другой стороны, в провинции Манипури в Бирме и в горной провинции Шан у северной границы Сиама попадают также дикорастущие кусты крупнолистной формы чайного растения, а также в лесах Тонкина, Лаоса и Аннама (Индо-Китай). Кроме того, мелколистная форма чая, близкая к китайской, произрастает в горных лесах на границе Юн-наня и Тонкина. Английский путешественник Е. Вильсон полагает, что родиной чая является пояс горных лесов, который пользуется постоянными дождями и умеренно теплым климатом в западном и юго-западном Китае. Но могло быть и несколько центров происхождения. Большинство ботаников поддерживает точку зрения, впервые высказанную А. Де-Кандолем, что чайное растение происходит из Предтибетских горных областей. По наблюдениям

Де-Кандоля и других исследователей, дикорастущие чайные растения встречаются в долинах больших рек и в странах, омываемых этими реками, каковы: Ян-цзы-цзян в Китае, Красная река в Юн-нане и Тонкине, р. Меконг в Юн-нане, Сиаме и Индокитае, р. р. Салуен и Иравади в Юн-нане и Бирме и р. Брампутра в Ассаме. Все эти реки берут начало в горах восточной части Тибетского плоскогорья, которое поэтому и может считаться центром происхождения чайного растения. (см. карту, рис. 1)




Рис. 1. Основные районы распространения чайного растения в Индии и Китае.

В диком виде чайное растение встречается между 15° и 40° северной широты, но в культуре его распространение вышло да-



леко за эти пределы. Древнейшим центром широкой культуры чая является Китай, откуда эта культура распространилась в другие страны Востока, а позднее и Запада.

Чайный округ Китая расположен вдоль течения р. Ян-цзы-цзян (Голубая река) и распадается на два района: восточный и западный. Восточная группа чайных плантаций занимает восточный край Китая между Нанкином и Фучефу, к югу от нижнего течения р. Ян-цзы-цзян. Район этот простирается в ширину километров на 500, а в длину километров на 600 с востока на запад. Производство чая сосредоточено в шести густо населенных провинциях собственно Китая: Фу-цзян, Киан-Нань, Кианг-си, Че-кианг, Го-нань и Гу-Куанг. Плантации занимают здесь узкую географическую полосу между 27° и 32° с. ш. В этом районе производятся лучшие „сорта“ чая. Наиболее известным центром чайной культуры является округ города Ханькоу на р. Ян-цзы-цзян в провинции Ху-Пэй в центральной части Китая.

Западный район расположен ближе к Тибету и не имеет такого значения, как первый. Западная группа чайных плантаций лежит за 300-400 километров от восточной, вдоль верхнего течения р. Ян-цзы-цзян между 25° и 31° с. ш. Район этот тянется в длину от бассейна р. Кианг-киан до границы Тибета. Полоса разведения чая здесь несколько шире, но плантации расположены реже. В эту полосу входят три провинции: Юн-нань, Су-чуан и Куэй-чеу, но чай разводится не повсеместно. В этом районе производятся более низкие „сорта“ чая.

Из Китая чайная культура очень быстро перешла в Японию в IX веке (805 г.) нашей эры; в Японии чайная культура распространилась до 40° с. ш., но лучше чай удается на юге Японии. Лучшие сорта чая производятся в округах Киото, Уджи и Огура. Культура чая введена была китайцами и на о. Формоза и широко поддерживается там японцами в настоящее время. На о. Формоза имеется специальная опытная чайная станция. Такая же станция имеется и в Японии (Макино-Хара в районе Шизуока). Там же издается специальный журнал по чаю.

Корни азиатской культуры чая теряются в глубокой древности. Европейская же культура чайного растения в Азии имеет короткую, но точно установленную историю.

Голландское колониальное управление в 1825 г. выписало вперые семена чайного куста из Японии и Китая и основало чайные плантации на Яве, а затем на Суматре. Англичане в Индии основали чайные плантации в 1834 г. Все эти первые плантации были заложены китайской формой чая. Впоследствии китайская форма была вытеснена ассамской крупнолистной, более теплолюбивой формой чайного растения.





Высокие культурные достоинства ассамского куста были известны и эта форма была введена в культуру европейцами на Яве только в 1872 году. На Яве имеется Бейтензоргская чайная опытная станция. Начиная с 50 г. г. 19 века англичане заняли в Индии большие площади земли под чайную культуру и создали огромнейшие предприятия, дающие около 45% мировой продукции чая.

В настоящее время под культурой чая в северо-восточной Индии занято около 256 тысяч га, из которых 172 тыс. га расположено в провинции Ассам и около 80 тысяч га находится в провинции Бенгал. В Ассаме культура чая сосредоточена, главным образом, в долинах рек Брамапутры (112 тыс. га) и Сурмы (60 тыс. га). В Бенгале основные чайные районы Дарджилинг, Доарс и Терай расположены по склонам и у подножья Гималайских гор.

В Ассаме имеется Токлайская чайная опытная станция.

На о. Цейлоне чай стали разводить с 1842 г. и в настоящее время там чайная культура широко развита. Имеется чайный исследовательский институт. Чайный куст на Цейлоне уже в первые годы его культуры развивался хорошо, но промышленное развитие встречало препятствия вследствие большого распространения кофе в тропических странах. Но в 60-х годах, вследствие болезни кофейного дерева, чайное дело получило уже широкое развитие. Многие кофейные плантации были превращены в чайные, которые притом можно разводить на большей высоте, что так важно в тропических странах. Во Французском Индо-Китае (Тонкин) разведение чая в промышленном масштабе было начато в 1825 г. на плантациях, заложенных по образцу английских и голландских. Культура чая распространена, главным образом, в южной низменной части провинции Тонкин и в горах Аннама, расположенных вдоль восточного берега полуострова. Научная работа сосредоточена на опытной станции Phu-tho в Тонкине.

Небольшие чайные насаждения имеются на Малайском полуострове и на островах Малайского архипелага, на о. Ямайке, в восточной Африке (Ниасаленде, Натале, Кении), в южной Бразилии.

Были попытки разведения чайного куста в САСШ в 1828 г. (Теннеси, Южная Каролина, Техас, Калифорния и др.); в Мексике, Камеруне, Узамбаре; на островах: Азорских, Маврикия, Бурбонских, Св. Елены, Филиппинских, Фиджи, Гавайских, в Австралии. Во многих из этих указанных стран и подобных им чайная культура оказалась неудачной, из-за недостатка осадков и влажности воздуха.

В 90-х годах 19 столетия китайская чайная промышленность, разделив-обычную участь мелкого производства при столкновении с круп-



ным капиталистическим производством, была вытеснена с мирового рынка. Индия и Ява стали в центре чайной промышленности, Китай, владеющий всеми преимуществами древней культуры, при условии обобществленного способа производства в будущем, может обновить и рационализировать свою промышленность, подняв ее на более высокую ступень, и сделать ее снова важным фактором экспорта чайной продукции.

При рассмотрении вопросов систематизации чая, Де-Кандолль отмечает наличие 4-х основных групп чайного растения (*Camellia sinensis*), имеющих производственное значение. Того-же мнения придерживаются Коген Стюарт и Деусс.

К первой группе относятся мелколистный китайские формы чая (разновидность *Bohea*), распространенные в Китае, Японии и на Формозе.

Вторую группу образуют крупнолистный формы (*Macrophylla*), встречающиеся в Ше-Чуане и Юн-нане.

